



Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Arn. Chikobava Institute of Linguistics

**Issues of Georgian Speech
Culture**

Book XXV

**Tbilisi
2025**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

წიგნი
ოცდამეხუთე

თბილისი
2025

ოცდამეხუთე წიგნი (ისევე როგორც წინა წიგნები) მოიცავს წერილებს ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსისა და ლექსიკა-სტილისტიკის სხვადასხვა საკითხის შესახებ. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე მწერლის ენასა და სტილზე.

სარედაქციო კოლეგია: ავთანდილ არაბული, თეა ბურჭულაძე (მდივანი), გიორგი გოგოლაშვილი, ქეთევან დათუკიშვილი, თამარ ვაშაკიძე (რედაქტორი), მაკა ლაბარტყავა, ვახტანგ მაღრაძე, ნანა მაჭავარიანი, სალომე ომიძე, თეა ტეტელოშვილი, ლია ქაროსანიძე, მედეა ღლონტი, ვაჟა შენგელია, ნინო ჯორბენაძე

ტექნიკური რედაქტორი – ლევან ვაშაკიძე

ოპერატორი – რუსუდან რატიანი

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

ს ა რ ზ ე ვ ი

ნოდარ არდოტელი – ნახური ეთნონიმები და მათი ტრანსლიტერაცია ქართულში	9
Nodar Ardoteli – <i>Nakh</i> Ethnonyms and Their Transli- teration into Georgian	17
თეა ბურჭულაძე – კომპოზიტის შემადგენელ ნა- წილთა დაკავშირების ერთი სახეობისათვის	18
T e a B u r c h u l a d z e – On One Type of Linking Between the Components of a Compound	22
გიორგი გოგოლაშვილი – ენის დაწმენდა უდიდე- სი ამოცანაა (ერთი პოლემიკის გახსენება)	24
G i o r g i G o g o l a s h v i l i – Language Purification as a Paramount Task (Revisiting a Polemic)	40
ქეთევან დათუკიშვილი – ფუძეუკვეცელი სახე- ლების ნათესაობითის ფორმათა ასახვისათვის ბრუნე- ბის პარადიგმაში (თანამედროვე ქართული სალიტერა- ტურო ენის მონაცემთა მიხედვით)	42
K e t e v a n D a t u k i s h v i l i – On the Representation of Genitive Forms of Nouns with Irreducible Stems in the Declension Paradigm (Based on the Material of Contempo- rary Literary Georgian Language)	47
თამარ ვაშაკიძე – ემფატიკური ხმოვანი „და“ კავში- რით შეერთებულ ფუძეუკვეცელ სახელებთან	50
T a m a r V a s h a k i d z e – The Emphatic Vowel with Non- Truncated Nouns Joined by the Conjunction <i>da</i> (“And”)	62
მაკა ლაბარტყავა – ორზე მეტი კომპონენტით წარმოდგენილი რთული სიტყვების მართლწერისა- თვის	63
M a k a L a b a r t k a v a – On the Orthography of Compound Words Containing More than Two Components	70

ვახტანგ მაღრაძე – ბარბარიზმები. I.	71
Vakhtang Maghradze – Barbarisms	86
ვახტანგ მაღრაძე – ორი ფრაზეოლოგიური კალკის შესახებ	87
Vakhtang Maghradze – On Two Phraseological Calques	92
თამარ მახაროზიძე – „ქრისტე აღსდგა“ თუ „ქრისტე აღდგა“?	94
Tamar Makharoblidze – „kriste aysdga“ or „kriste aydga“?	97
მარიამ ორკოდაშვილი – აბსტრაქტული და კონ- კრეტული სახელების მნიშვნელობა ნეიროპლასტიკუ- რობის განვითარებაში	98
Mariam Orkodashvili – The Importance of Using Abstract vs Concrete Nouns for the Development of Neuro- plasticity	100
თეა ტეტელოშვილი – ერთი ტიპის კომპოზიტა მართლწერისათვის	102
Tea Teteloshvili – On the Orthography of One Type of Compound Words	106
ნათია ტყემალაძე – ინტერვიუს სტილური მახასია- თებლებისათვის	108
Natia Tkemaladze – The stylistic features of one interview	113
ლია კაროსანიძე – ო-ზე ფუძედაბოლოებულ საზო- გადო სახელთა მართლწერა (ნორმის პროექტისათვის)... ..	114
Lia Karosanidze – On the Morphophonological Status of Nouns Ending in -i in Georgian	118

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – მრავლობითობის <i>-ებ</i> ფორმანტი გეოგრაფიულ სახელებთან თანამედროვე მეტყველება- ში	120
Manana Chachanidze – The Plural <i>-eb</i> Formant at the Geographical Names in Modern Speech	123
ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – სმენითი იმიტაციური სი- ტყვეები რევაზ ინანიშვილის მოთხრობებში	125
Nineli Chokhonelidze – On Auditory-Imitative Words in Revaz Inanishvili's Works	140
ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი – ბრბოსიტყვის ისტორიისათვის	142
Nino Khakhiaшvili – On the Etymology of the Word <i>brbo</i> (“Crowd”)	149
ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე – დიდი დედის კულტის ტრან- სფორმაცია ძველი აღმოსავლური ევადან წმინდა ნინო- მდე და „ნან“ ძირის ეტიმოლოგია მსოფლიო კულტურა- თა კონტექსტში	150
Nino Jorbenadze – From the Old Testament Eve to Saint Nino: The Transformation of the Cult of the Great Mother and the Etymology of the Root “Nan” in a Cross-Cultural Perspective	159

ნახური ეთნონიმები და მათი ტრანსლიტერაცია ქართულში

ვიანახურ ენობრივ გარემოცვაში მოქცეულ მკვიდრ კავკასიური მოდგმის ხალხთა აღსანიშნავად, ზოგ სხვა მონათესავე ეთნოსებისაგან განსხვავებით, ოდითგანვე დასტურდებოდა **დურძუკი** (> **ძურძუკი** – ასიმილაცია), რომელიც ჩეჩენთა და ინგუშთა წინაპრების საერთო ეთნიკური სახელი უნდა ყოფილიყო. „ქართლის ცხოვრებაში“ იხსენიება „დურძუკეთი და მეფენი დურძუკთანი“ (5, II, 111; 183, 2). ამ ეთნონიმის ლოკალიზაცია და ეტიმოლოგია გაურკვეველია, თუმცა მისი წარმომავლობის დადგენის ცდები არ გვაკლია [ხალიდოვი და სხვ. 2013: 24]. დღევანდელ ჩეჩენთა ავტოეთნონიმად **ნოხჩუ** (მრ. **ნოხჩი**) გვხვდება, რომელიც ჯერ კიდევ VII ს-ში იჩენს თავს, ხოლო ინგუშების ძველი თვითსახელწოდება იყო **ღალღამ**, რომელსაც სპეციალისტთა ნაწილი საცხოვრებელი ციხე-კოშკის სახელ ღალა-ს უკავშირებს [დემერეივი 1963: 54; დოლაქოვა 1967: 210; ჩუხუა 2009: 10-11...]. როგორც ჩანს, **ღალღამ**-ის ფორმაცვალებით არის მიღებული **დილღვი** (მდრ. დილღველი < დილღოელი), ამ უკანასკნელი ფორმის ქართული ტრანსლიტერაციით (ტრანსპოზიციით) კი – **ღლიღვი**.

რაც შეეხება ჩეჩნების აღმნიშვნელ ეთნონიმს **ნოხჩუ**, მის შესახებ მ. ოსმაევი წერს: «В «Армянской географии», написанной в VII веке нашей эры, перечисляется 53 названия кавказских народов. Среди них встречаются «нахчиматяны», т.е. «чеченцы» («нахчи мотт» – чеченский язык), «кусты» («кисты» – от племенного названия «кей/кий», где «ст» – топонимический суффикс) – так называли горных чеченцев грузины» [ოსმაევი 2016: 23].

ნახური ეთნონიმები არა მარტო ქართული ტრანსლიტერაციისა და მართლწერის თვალსაზრისით, არამედ ეთნოგენეზისის კუთხითაც არსაკმარისად არის შესწავლილი. ამ გარემოებაზე სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ მახვილდება ყურადღება:

„Однако специального исследования и системного описания этнонимии нахов с самого начала ее возникновения не существует до сих пор“ [ხალიდოვი და სხვ. 2013: 20]. ერთგვარად ამითაც უნდა იყოს გამოწვეული ის ფონეტიკური ნაირგვარობა და ფორმათა სიჭრელე, რაც მჟღავნდება შესაბამისი ეთნიკური სახელების უმართებულო ქართული დაწერილობით როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ და პოპულარულ სამეცნიერო ლიტერატურაში. კერძოდ, დ. გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგისა, გ. ჯაბუშანურის თხზულებებში და ფოლკლორში უპირატესად გამოიყენება **ქისტი**, თუმცა იშვიათად **ღლიღეს** და **ღიღღველსაც** ვაწყდებით. საილუსტრაციო მაგალითები:

- (1) თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, **ღლიღვი**, დიდო, **ქისტი**,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თვითო
ქიშტი“.
(დავით გურამიშვილი)

- (2) „გაღმა სჩანს **ქისტის** სოფელი არწივის ბუდესავითა;
საამო არის საცქერლად დიაცის უბესავითა“.

- (3) „ვის გაუყიდავ სტუმარი? **ქისტეთს** სად თქმულა ამზადა?!“
(ვაჟა)

ანდა:

- (4) „მალე შააგდო ალუდამ **ქისტების** ნავალს თვალიო,
მარჯვედვე გადაეწია, თოფმა გაიღო ჩქამიო;
ერთს ქურდ-კანტალას **ღიღღველსა** ცუდი დაუდგა წამიო“.
(ვაჟა)

- (5) „მიმიღე, როგორც მკვიდრი **ღიღღველი**
და ვყაროთ რამღი ჩვენი ხვალისა...“

ანდა:

- (6) „როგორც **ქისტებმა**, კარგა ხნის წინათ,-
დატოვეს ღიღლო არხოტელებმა“.

(გ. ჯაბუშანური)

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ალ. ყაზბეგი, მიუხედავად მის მშობლიურ კილოში ფართოდ გავრცელებული **ქისტისა**, თავის მხატვრულ ნაწარმოებში ჩეჩენ-ინგუშთა აღსანიშნავად ხან **ჩეჩენს** იყენებს, ხანაც – **ჩეჩნელს**:

(1) „როგორც ბუნებით მხნე, ისე მხიარული **ჩეჩნები** დღეს გაჩუმებულიყვნენ ისე, როგორც ქარიშხლის წინათ ჰაერი...“

(2) „– დაღონებული, დაღონებული! – მწუხარებით წარმოსთქვა **ჩეჩნელმა**...“

(3) „**ჩეჩნელები** მიახლოვდნენ ვლადიკავკაზს“.

(ალექსანდრე ყაზბეგი)

რაც შეეხება უცხოელ მკვლევრებსა და მოგზაურებს, მათ ნაშრომებში ვაინახები მეტწილად ეთნონიმით „**ქისტი**“ მოიხსენიება. კერძოდ, კ. კოხი და ო. სპენსერი წერენ: „ალაზნის ერთ მხარეს სოფელი ხორბალო მდებარეობდა, სადაც **ქისტების**... ოცი ოჯახი ცხოვრობდა“ [კოხი, სპენსერი 1981: 251-252]. გერმანელი მკვლევარი და მთამსვლელი გუსტავ მერცბახერი აღნიშნავს: „...იმ მძაფრ მტრობას, რომელიც მოგვიანებით, ერთ მხრივ, **ქისტებს** (ხაზი ჩემია – ნ. ა.), ხოლო, მეორე მხრივ, თუშებსა და ხევსურებს შორის ჩამოყალიბდა, სავარაუდოდ მხოლოდ მაშინ დაედო სათავე, როცა ქისტები უკვე ისლამზე იყვნენ გადასულნი“ [მერცბახერი 1901: 112] და ა. შ.

ვაინახების აღსანიშნავად ყურადღებას იქცევს ეთნიკურ სახელთა სხვადასხვაობა, რაც ქისტისა და დურძუკის (ჩეჩენ-ინგუშთა) დაპირისპირებით გამოიხატება: „**ქისტნი, ღლიღნი და ძურძუკნი** პირველ იყვნეს ენითა ქართულითა მოზრახნი და ქრისტეანენი“. ანდა: „ხოლო შემდგომად კულად განიყო ძურძუკეთი **ძურძუკად, ქისტად და ღლიღუად**“ [ვახუშტი 1973: 633]. არნოლდ ზისერმანი აღნიშნავს: „მართალია, **ქისტები** ქრისტიანებს ურჯულოებს ეძახიან, მაგრამ თავყანს სცემენ წმინდა გიორგის... მთიელი ჩეჩნები არ ასრულებენ ნამაზს, არ აქვთ მეჩეთები და არ ჰყავთ მოლები“ [ზისერმანი 1879: 198].

ზემოწარმოდგენილი მონაცემებით ნათელი ხდება, რომ თავდაპირველად მაინც „**ქისტი**“ გამოყენებულ იქნა ჩეჩნეთის მთიანეთში ხევსურების მეზობლად მცხოვრები ჩეჩნურ-ინგუშური მოსახლეობის აღსანიშნავად, შემდეგ კი განზოგადდა ვაინახურ ეთნიკურ სა-

ხელად. ამ თვალსაზრისით, სავსებით სწორია ალ. ჭინჭარაულის მოსაზრება, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს ემყარება: „აქედან ცხადია, რომ ქართველი მთიელები და ვაინახები ერთნაირი ქრისტიანები იყვნენ და ერთსა და იმავე წმინდანებს ლოცულობდნენ“ [ჭინჭარაული 2004: 20; იხ. მისივე, 2005: VII].

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სხვა კავკასიელთა ანალოგიურად, ნახური მოდგმის ხალხების აღსანიშნავად უპირატესად სამგვარი ეთნონიმი გამოიყენება: 1) **ეგზოეთნონიმები**, 2) **ენდოეთნონიმები**, 3) **ტოპოეთნონიმები**.

1) ეგზოეთნონიმური სახელებიდან ერთობლივად ვაინახი ხალხის აღსანიშნავად ქართულში ფართოდ გამოიყენება ალოეთნონიმი **ქისტ**-ი (მრ. **ქისტ**-ებ-ი, **ქისტ**-ეთ-ი „ქისტების ქვეყანა“), რომელიც კარგად არის ცნობილი „ქართლის ცხოვრებიდან“, ქართული ისტორიოგრაფიიდან და მწერლობიდან. ჩეჩნებსა და ინგუშებში ეს ტერმინი არ დასტურდება, მარტოოდენ პანკისში ჩამოსახლებულ ჩეჩენთა მეტყველებაში, ე. წ. პანკისის ქისტურში მოიკიდა ფეხი: **ქისტაე** „ქისტი“ (მრ. **ქისტია**). საყურადღებოა ტენდენცია, რომ ქისტურ დიალექტში ეს ტერმინი, თვითსახელწოდებად (ავტოეთნონიმად) გადაზრიანების შემდეგ, ენდოეთნონიმად იქცეს, რაც მოულოდნელი იქნება [ფარეულიძე 2022: 8].

გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი უნდა უკავშირდებოდეს **ქრისტ**-ს (< **ქრისტე**) და ვაინახების გაქრისტიანებასთან უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული [ჭინჭარაული 2004:]. ი. ალიროვეის ეტიმოლოგიით: „ეთნონიმი ქისტი...წარმოიქმნა უძველესი ვაინახური თემის სახელწოდებიდან, რომელიც ესაზღვრებოდა საქართველოს და ქიჲ-ს უწოდებდნენ, ე. ი. ქიჲსთ (< ქიჲ+სთ ტოპონიმის საწარმოებელი სუფიქსი...)“ [ალიროვეი 1978: 11]. საფიქრებელია, რომ ეს უძველესი ვაინახური ტომის სახელწოდება ქიჲ წარმოადგენდეს **ქრისტეს** ჩეჩნური ტრანსლიტერაციის ერთგვარ ვარიანტს და გადაზრიანებით ერთ-ერთი თემის სახელად იყოს ქცეული. ამ შემთხვევაში იქნებოდა არა **ქისტ** < ***ქიჲ-სთ** (შდრ. **მელხი+სთა**), როგორც ეს ვ. ვინოგრადოვს, კ. ჩოქაევს და ი. ალიროვეს ჰგონიათ, არამედ **ქრისტ** > **ქირსტ** > **ქიჲსტ** > **ქიჲსთ**. სხვა შემთხვევაში ამ მოსაზრებას ბევრი დაბრკოლება ელობება: ა) არ დასტურდება **ქიჲ-სთა** ფორმით (შდრ. **მელხი+სთა**), ბ) მოულოდნელია **ჲ**-ს დაკარგვა, დ) საანალიზო ეთნონიმი, **მ'აჲსთა**-ს

ანალოგიურად (შდრ. ხევს. **მაისტი**), არ გვხვდება ფოლკლორსა და ქართული ენის მთის დიალექტებში და ა. შ.

ყველაზე მრავალრიცხოვანი ნახი ხალხის ეთნიკურ სახელად ქართულში გამოიყენება ალოეთონიმი **ჩეჩენ**-ი//**ჩაჩან**-ი, რომელთაგან ამჟამად რუსული ენის ძლიერი გავლენით პირველი ფორმა იოლად იკაფავს გზას, თუმცა ისტორიულად მეორე ნაირსახეობა უფრო ფართოდ იყო გავრცელებული (XIII ს.), მაგ.: ქართ. **ჩაჩანი**, ხუნძ. **ჩაჩან**, დიდ. **ჩაჩანი**¹, ოს. **ცაცან**, თურქ. **ჩაჩან** (<***ჩეჩან**, შდრ. **ჩეჩანა** „აულის სახელი“), არაბ. **შიშან** და მისთ.

ჩეჩენი აზრით, თუ საანალიზო ეთნონიმი გარკვეული ალბათობით მართლაც უკავშირდება ზემომოყვანილი აულის სახელს – **ჩეჩანას** (შდრ. წ.-თ. **ჩეჩნოვ** < ***ჩეჩანოვ** „ჩეჩენი“), მაშინ ამ საცილობელი ფორმებიდან ორივე დასაშვები იქნება და უნდა მიეკუთვნოს ტოპონიმურ ეთნონიმთა რიცხვს. ამასთანავე, ამ თვალსაზრისის საფუძვლიანობა ეჭვქვეშ დგება იმის გამო, რომ ზემოხსენებული აულის სახელწოდებაზე გაცილებით ადრე შეიძლება სათანადო საანალიზო ეთნონიმს **ჩეჩენი**//**ჩაჩანი** ეარსება[(ხალიდოვი და სხვ. 2013: 26].

ისტორიულად ჩეჩნების აღსანიშნავად ქართველების მიერ ჯერ კიდევ 2000 წლის წინანდელი ეთნიკური სახელი **დურძუკი** ადრეულ შუა საუკუნეებამდე შემორჩა, რომელსაც შემდეგ **ქისტი** შეენაცვლა.

დასტურდება ეგზოეთნონიმი **ინგუში**, რომელიც XVIII ს.-ში იჩენს თავს და მას ინგუშური აულის სახელს (**ანგუშტ**/**ინგუშტ**) უკავშირებენ, რისი გაციარება, არასაკმარისი არგუმენტაციის გამო, გაძნელებულია. ვარაუდობენ, რომ იგი შერქმეული და შემდეგ რუსულში გავრცელებული უნდა ყოფილიყო ყაზარდოელთა მიერ, რომელთა ნაწილიც ამ პერიოდისთვის ვაინახებსა და ოსებს შორის ცხოვრობდა.

რაც შეეხება ეთნონიმთა ტრანსლიტერაციას, ვაინახური ენობრივი სამყაროდან ქართულ ენაში გადმოტანისას მართებულ ეგზოეთნონიმურ ფორმებად მიიჩნევა: **ქისტ**-ი (მრ. **ქისტ-ებ**-ი), **ჩეჩენ**-ი//**ჩაჩან**-ი (მრ. **ჩეჩენ-ებ**-ი//**ჩაჩან-ებ**-ი), **დურძუკ**-ი (მრ. **დურძუკ-ებ**-ი), **ინგუშ**-ი (მრ. **ინგუშ-ებ**-ი).

¹ შეიძლება ქართული ნასესხობაც იყოს.

2) ენდოეთნონიმურ სახელთა რიცხვს მიეკუთვნება ნახური მოდგმის ხალხების აღსანიშნავად გამოყენებული **ნოხჩურ** (მრ. **ნოხ-ჩიი**), რომელიც ჯერ კიდევ VII ს-ის მიწურულს **ნახჩამათეანე** (= **ნახჩა-** „ნახი“ + **მათ-** „ენა“ + **-ანე** „-ებ-“) ფორმით მოვსეს ხორენაცის „სომხეთის გეოგრაფიაში“ იხსენიება, თუმცა მისი ეტიმოლოგია უცნობია. სავარაუდოა, იგი კომპოზიტური აგებულებისა იყოს (**ნახ-ჩა** < ***ნახ+ჩან** „ხალხ+ჩანი“) ისევე, როგორც ზემონახსენები ეგზოეთნონიმი (**ჩაჩან** < ***ჩან+ჩან**). ამასთან, ხელოვნური ტერმინი Нахские языки ზ. მაღსაგოვის გავლენით გავრცელდა, არადა მიზანშეწონილი იქნებოდა ეთნონიმის **ქისტური** მნიშვნელობა არ დავიწროვებულიყო და ქართულ სინამდვილეში მაინც გვქონოდა ნახური ენების გამომხატველი ზოგადი ტერმინი. სპეციალურ ლიტერატურაში ეს ხელოვნური ტერმინი – **ნახური** სამართლიანად არის დაწუნებული: «Поэтому с уверенностью можно сказать, что введенное когда-то лингвистами условное наименование трех народов («нахи») так и останется принадлежностью словаря ученых и не будет принято самими «нахами» [ხალიდოვი 2013: 36].

ინგუშთა უძველესი ავტოეთნონიმის (**დალღაი**) შესახებ სხვადასხვაგვარი ეტიმოლოგიებია წარმოდგენილი: ა) უკავშირდება ერთ-ერთ ინგუშ მეციხოვნეთა გვარს [დემურიევი 1963: 54]; ბ) წარმოქმნილია სახელიდან **დალა** „ციხე“ [დოლაქოვა 1967: 210; ჩუხუა 2009: 11...]; გ) უკავშირდება მზისა და ცის ღვთაება **„დალ“-ს** **-და** სუფიქსის (**-ხა** სუფიქსის ვარიანტი) დართვით [ჩოქაევი 1991: 125] და ა. შ.

საცნაურია, რომ ქართულ სინამდვილეში მათ აღსანიშნავად გამოიყენება შედარებით ძველი **ღლიღვი** და მოგვიანო ხანის **დილღველი**. ეს უკანასკნელი უფრო წარმომავლობის სახელია (დილღო > დილღ-ელ-ი), ვინემ ეგზოეთნონიმი.

წოვათუშების (resp. წოვების) ენდოეთნონიმს წარმოადგენს **ბაცავ** „ბაცბი“ (მრ. **ბაცბა**). ბაცბების სახელით ცნობილი ხალხი წარმოდგენილია სხვა სახელითაც **წოვა/წუა**, რომელიც ეტიმოლოგიურად თეონიმური წარმომავლობისად მიიჩნევა. კერძოდ, საკუთარი სახელი **წოვა/წუა**, რომელსაც შეიძლება უკავშირდებოდეს წოვათუშების გამომხატველი ეთნონიმი, თავის მხრივ, გენეზისურად თეონიმთან პოულობს პარალელს: ინგ. **წუვ**, ჩეჩნ. **წუ** „ქურუმი“, „ღვთაება“ [პრელაშვილი 2002: 12].

ამჟამად არსებული და ფართოდ გავრცელებული ენდოეთნონიმების მართლწერა ასე გვესახება: **ნახ**-ი (მრ. **ნახ-ებ**-ი), **ღლიღვ**-ი (მრ. **ღლიღვ-ებ**-ი), **ბაცბ**-ი (მრ. **ბაცბ-ებ**-ი), **წოვა/წოვათუშ**-ი (მრ. **წოვ-ებ**-ი // **წოვათუშ-ებ**-ი) და ა. შ.

3) რაც შეეხება ტოპონიმურ ეთნონიმებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რომელიმე მხრის ჩეჩნებს ან ინგუშებს (ღილღო – ღილღვ-ელ-ი, მაისტი – მაისტ-ელ-ი...), მაშინ გვრჩება ერთი ეთნონიმი, რომელიც წყაროენიდან შემდეგნაირად გადმოიტანება და დაიწერება: იჩქერია „ჩეჩნეთი“, **იჩქერი-ელ-ი** ხალხი, **იჩქერი-ულ-ი** ენა [ჩუბუა 2007: 10].

ამრიგად, ნახური მოდგმის ხალხების აღსანიშნავად სამი სახის ეთნონიმები გამოიყენება: 1) **ეგზოეთნონიმები**, 2) **ენდოეთნონიმები**, 3) **ტოპოეთნონიმები**.

1) ვაინახური ენობრივი სამყაროდან **ეგზოეთნონიმების** ქართულ ენაში გადმოტანისას მართებულ ფორმებად მიიჩნევა: **ქისტ**-ი (მრ. **ქისტ-ებ**-ი), **ჩეჩენ**-ი//**ჩაჩან**-ი (მრ. **ჩეჩენ-ებ**-ი//**ჩაჩან-ებ**-ი), **ინგუშ**-ი (მრ. **ინგუშ-ებ**-ი), ისტ. **დურბუკ**-ი > **მურბუკ**-ი (მრ. **დურბუკ-ებ**-ი > **მურბუკ-ებ**-ი).

2) **ენდოეთნონიმების** მართლწერა ასე გვესახება: **ნახ**-ი (მრ. **ნახ-ებ**-ი), **ღლიღვ**-ი (მრ. **ღლიღვ-ებ**-ი), **ბაცბ**-ი (მრ. **ბაცბ-ებ**-ი), **წოვა/წოვათუშ**-ი (მრ. **წოვ-ებ**-ი//**წოვათუშ-ებ**-ი).

3) რაც შეეხება **ტოპონიმურ ეთნონიმს**, იგი წყარო-ენიდან შემდეგნაირად გადმოიტანება და დაიწერება: **იჩქერია** „ჩეჩნეთი“, **იჩქერი-ელ-ი** (ხალხი, ერი...) და სხვ.

ცხადია, ეთნონიმთა გადმოქართულებისას თითოეული ეთნიკური სახელის მართლწერას ექცევა მეტი ყურადღება, თუმცა ტერმინის ისტორიას და გამოყენების ტრადიციასაც ეწევა გარკვეული ანგარიში.

ლიტერატურა

აღიროვეი 1978 – И. Ю. Алироев, Нахские языки и культура, Грозный.

დეშერიევი 1963 – Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Грозный.

ვახუშტი 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი.

ზისერმანი 1879 – А. Зисерман, Двадцать пять лет на Кавказе, Ч. I, СПб.

კოხი, სპენსერი 1981 – ვ. კოხი, ო. სპენსერი, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (გერმანულიდან თარგმნა ლონდა მამაცაშვილმა), თბილისი.

ოსამაევი 2016 – М. К. Осамаев, Чеченцы: обычаи, традиции, обряды (историко-культурные аспекты проблемы), Грозный.

ფარეულიძე 2022 – რ. ფარეულიძე, ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტი, თბილისი.

ჩიქობავა 1965 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი.

ჩოქაევი 1991 – К. З. Чокаев, Вайн мотт – вайн истории, Грозный.

ჩუხუა 2009 – მ. ჩუხუა, ინგუშური (ლლიღვური) ენა (ფონეტიკა-ფონოლოგია), I, თბილისი.

ჭინჭარაული 2004 – ალ. ჭინჭარაული, ქართველებისა და ვაინახების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ზოგი საკითხი, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ჭრელაშვილი 2002 – ვ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბილისი.

ხალიდოვი და სხვ. 2013 – А. И. Халидов, А. Д. Тимаев, М. Р. Овхадов, Грамматика чеченского языка, Т. I, Грозный.

***Nakh* Ethnonyms and Their Transliteration into Georgian**

Summary

To designate the peoples of the Nakh group, three categories of ethnonyms are distinguished: 1) exoethnonyms, 2) endoethnonyms, and 3) topoethnonyms.

1. When transferring exoethnonyms from the Vainakh linguistic world into Georgian, the following forms are considered standard: *kisť-i* (pl. *kisť-eb-i*), *čečen-i* // *čačan-i* (pl. *čečn-eb-i* // *čačn-eb-i*), *durzuķ-i* // *zurzuķ-i* (pl. *durzuķ-eb-i* // *zurzuķ-eb-i*), *inguš-i* (pl. *inguš-eb-i*).

2. The orthography of endoethnonyms is represented as follows: *naxi* (pl. *nax-eb-i*), *γliyv-i* (pl. *γliyv-eb-i*), *bacb-i* (pl. *bacb-eb-i*), *çova* // *çovatuš-i* (pl. *šov-eb-i* // *çovatuš-eb-i*).

3. As for topoethnonyms, these are transferred from the source language and rendered as follows: *ičkeria* ("Chechnya"), *ičkeri-el-i* (people, nation, etc.), and others.

It is evident that when Georgianizing ethnonyms, particular attention is given to the orthography of each ethnic name; however, the historical development of the term and its traditional usage are also taken into account.

თეა ბურჭულაძე

კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა დაკავშირების ერთი სახეობისათვის

თანამედროვე ეპოქაში ახალი ტექნოლოგიების შემოსვლამ თუ უცხო სიტყვების დანერგვამ არაერთი რთული სიტყვა დაამკვიდრა. განვიხილავთ ისეთ კომპოზიტებს, რომელთა პირველი ნაწილი შემოკლებითაა მიღებული და **ო**-ზე ბოლოვდება. დაწერილობის თვალსაზრისით სიჭრელეა: დასტურდება როგორც დეფისიანი, ისე ერთად დაწერის შემთხვევები.

წარმოებისა და ფუძის თვალსაზრისით გამოიყოფა:

1. რთულფუძიანი სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი შემოკლების გზით არის მიღებული და **ო**-ზე ბოლოვდება: მორფო-სინტაქსი, მორფოსინტაქსური, მორფოფუნქციური, მორფოსემანტიკა... (შემოკლებულია სიტყვა მორფოლოგიური – მორფო); ეთნოკულტურა, ეთნოლინგვისტური, ეთნონაციონალური, ეთნოსახლი... (შემოკლებულია სიტყვა ეთნოლოგიური – ეთნო); ონკოპაციენტი, ონკოქირურგია, ონკოცენტრი... (შემოკლებულია სიტყვა ონკოლოგიური – ონკო). ფსიქოანალიზი, ფსიქოფიზიკური, ფსიქოსოციალური (შემოკლებულია სიტყვა ფსიქოლოგიური – ფსიქო); აგროტექნიკა, აგროდამუშავება, აგროპროდუქცია, აგროსესხი ... (შემოკლებულია სიტყვა აგრონომიული – აგრო); ბიოკატაკლიზმი, ბიოსფერო, ბიოტექნიკური, ბიოპროდუქტი, ბიონარკოტიკი, ბიოსადგური... (შემოკლებულია სიტყვა ბიოლოგიური – ბიო). როგორც ცნობილია, ბიო რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილია და გარდა იმისა, რომ სიცოცხლესთან, სიცოცხლის პროცესთან დაკავშირებულს აღნიშნავს (მაგალითად, ბიოლოგია, ბიოგრაფია), ის ასევე გამოხატავს შინაარსს **ბიოლოგიური**. დასახელებული სიტყვების პირველი კომპონენტები სწორედ ამ უკანასკნელს აღნიშნავს. ელექტროპროდუქცია, ელექტრომანქანები, ელექტრომდაზია (შემოკლებულია სიტყვა ელექტრონული – ელექტრო); ასეთივეა ნეორეალიზმი, ნეოპლატონიზმი, ნეოლიბერალიზმი, ნეოკლასიციზმი, ნეოკონსერვატიზმი... ტიპის სიტყვებიც. **ნეო** რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილია

და ნიშნავს ახალს. მოხმობილი რთული აგებულების სიტყვები ასეა მიღებული. მიკროორგანიზმი, მიკროკლიმატი, მიკროანალიზი, მიკროსაფინანსო: **მიკრო** რთული ფუძის პირველი შემადგენელი ნაწილია და მას რამდენიმე განმარტება აქვს: 1. ძალიან პატარა, წვრილი (მიკროორგანიზმი); 2. რაც დაკავშირებულია ძალიან პატარა საგნების, სიდიდეების შესწავლასთან (მიკროანალიზი); 3. მემილიონედი ნაწილი ზომის ძირითადი ერთეულისა, რომელიც მოცემულია სიტყვის მეორე ნაწილში (მიკროვოლტი) (ქეგლი).

მოყვანილი შემთხვევები საჭიროებს მართლწერის საკითხების მოგვარებას, რადგან საქმე გვაქვს რთული აგებულების სიტყვებთან. აქ უნდა ვიხელმძღვანელოთ პრინციპით: ის კომპოზიტი, რომლის პირველი ნაწილი უცხოური ენიდან შემოსული ერთეულია (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე), დაიწერება ერთად, დეფიქსის გარეშე, თუ მის შემადგენელ ნაწილებს შორის აზრობრივად არ ჩაისმის და კავშირი. რადგან ამგვარი რთულფუძიანი სიტყვის პირველი კომპონენტი შემოკლებული ფორმაა, შესაბამისად, ასეთი კომპოზიტები ერთად დაიწერება: მორფოსინტაქსური, ეთნოკულტურა, ონკოცენტრი, ფსიქანალიზი, აგროტექნიკა, ბიოპროდუქტი, ელექტროტექნიკა, მიკროანალიზი, ნეოლიბერალიზმი და მისთ.

2. რთულფუძიანი სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი შემოკლებულია და მეორე სიტყვას **ო** ხმოვნით უერთდება: ლექსიკოსემანტიკური/ლექსიკოსემანტიკური, ლექსიკო-გრამატიკული/ლექსიკოგრამატიკული... (შემოკლებულია სიტყვა ლექსიკური – ლექსიკო**ო**); სოციო-კულტურული/სოციოკულტურული, სოციო-ეკონომიკური/სოციოეკონომიკური, სოციო-ემოციური/სოციოემოციური (შემოკლებულია სიტყვა სოციალური – სოცი**ო**).

მოყვანილ კომპოზიტებში სხვადასხვაგვარი დაწერილობის შემთხვევები დასტურდება: დეფიქსით და ერთადაც: ლექსიკო-სემანტიკური/ლექსიკოსემანტიკური; სოციო-კულტურული/სოციოკულტურული... ამგვარ სიტყვებში პირველი შემადგენელი ნაწილი შემოკლებულია და ისიც ერთად უნდა დაიწეროს: ლექსიკოსემანტიკური, ლექსიკოგრამატიკული; სოციოკულტურული, სოციოეკონომიკური, სოციოემოციური, სოციოლინგვისტიკა და მისთ. აქ ერთი მომენტიცაა აღსანიშნავი: ლექსიკოსემანტიკური, ლექსიკოგრამატიკული ტიპის კომპოზიტების შემთხვევაში უფრო ბუნებრივია მათი გამოყენება

პირველი ნაწილის შეუმოკლებლად, ვრცელი ფორმის სახით გადმოცემით: ლექსიკურ-სემანტიკური, ლექსიკურ-გრამატიკული. თუმცა განსხვავებით შემოკლებული ვარიანტის დაწერილობისა, ის დეფისით დაიწერება, რადგან ამგვარი კომპოზიტების შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკე დამოუკიდებელი მნიშვნელობისანი არიან და, შესაბამისად, დეფისით გაფორმდება: ლექსიკურ-სემანტიკური; ლექსიკურ-გრამატიკული...

გარდა დასახელებული შემთხვევებისა, ასევე დასტურდება ისეთი განსხვავებული წარმოების კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილი შემოკლებითაა მიღებული და ო-ზე ბოლოვდება, მაგალითად, ლათინოამერიკული, მეტალოპლასტმასა. ლათინოამერიკული ძირითადად გამოიყენება ცეკვების, ლიტერატურის, მწერლობის, საკრავებისა და ფილმების მსაზღვრელ სიტყვად: „ესაა ლათინოამერიკული ცეკვების პირველი სტუდია“; „ლათინოამერიკული ტელენოველები 90-იანი წლების შემდეგაც ინარჩუნებენ პოპულარობას“; „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ლათინოამერიკული ტურნეს ერთ-ერთი მთავარი მიზანი მიგრაციის საკითხის განხილვაა“; „მკვლევარმა განიხილა ლათინოამერიკული ლიტერატურის მთავარი მხატვრული ტენდენციები“ და სხვ.

ამის პარალელურად ზეპირმეტყველებაში ხშირად გამოიყენება შემდეგი სიტყვათშეხამებანი: ლათინო საღამოები, ლათინო რიტმი, ლათინო ბიჭები და მისთანანი.

დასახელებული სიტყვები წარმოების თვალსაზრისით არ ჰგავს ზემოთ გაანალიზებულ კომპოზიტებს, მხოლოდ გარეგნული ფორმით შეიძლება მსგავსებაზე მსჯელობა. აქ ვერც დაწერილობის მართებულობა-მცდარობაზე ვიმსჯელებთ (დეფისით დაიწეროს თუ ერთად), რადგან თვითონ წარმოებაა არასწორი. საქმე ისაა, რომ ლათინოამერიკული ტიპის კომპოზიტში არ არის მართებულად შემოკლებული პირველი კომპონენტი – სიტყვიდან **ლათინური** ვერ მივიღებთ შემოკლებას ლათინო, რადგან ფუძეში არ არის **ლ** ხმოვანი. შევადაროთ, ეთნოკულტურა – ეთნოლოგიური კულტურა, აგროწარმოება – აგრონომიული წარმოება, რომლებშიც ფუძეშია **-ლ** ხმოვანი და ამიტომ ბუნებრივია მათი **ლ**-ზე დასრულებით შემოკლება. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბოლო წლებში გამოცემულ ლექსიკონებში – „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილიტიკური ლექსიკონი, I“, მართლწერის ლექსიკონი

მედიისათვის“, „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ – იმთავითვე აღინიშნა, რომ დასახელებული კომპოზიტი მცდარია და გაფორმებულია შემდეგნაირად: ლათინურ-ამერიკული [და არა ლათინოამერიკული]. ცხადია, ლათინურ-ამერიკული დეფისით იწერება, როგორც ორცნებიანი კომპოზიტი.

ასეთივეა **მედიკობიოლოგიური**. არსებობს ამ სიტყვით შედგენილი ორგანიზაციათა სახელწოდებებიც: მედიკობიოლოგიური სამეცნიერო ცენტრი, მედიკო-ბიოლოგიური კოლეჯი. დაწერილი გვხვდება როგორც დეფისით, ისე ერთად გაფორმებულიც. აქაც უცხო ენის გავლენა ჩანს და წარმოებით მცდარი ფორმაა. მისი მართებული ვარიანტია სამედიცინო-ბიოლოგიური. „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში, II“ (2010 წ.) იგი მცდარ ფორმადაა შეტანილი და ნაჩვენებია მართებული ვარიანტი [მედიკო-ბიოლოგიური კი არა სამედიცინო-ბიოლოგიური].

ანალოგიურია **მეტალოპლასტმასიც**. აქაც არაა მართებული შემოკლება და წარმოება. ამიტომ დასახელებულ ლექსიკონებში მითითებულია: [მეტალოპლასტმასა კი არა] მეტალოპლასტმასა. მოხმობილ სიტყვებში კომპოზიტების შემადგენელი ნაწილების -ო ხმოვნით დაკავშირება ქართული წარმოება არ არის. კერძოდ, ის რუსული ენის გავლენა ჩანს. ცნობილია, რომ რუსულში **о** ხმოვანი ზოგჯერ ფუნქციით სიტყვათშემადრთებელი, ე. წ. **соединительный** ხმოვანია, რომელიც წარმოთქმის გასამარტივებლად და კომპონენტების გასაერთიანებლად გამოიყენება ხოლმე. სწორედ მისი ანალოგიით ჩანს ქართულში **ლათინოამერიკული** და **მეტალოპლასტმასი** ტიპის სიტყვები, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, უმართებულოა.

კიდევ ერთ შემთხვევაზე გავამახვილებთ ყურადღებას, კერძოდ, **აფროთი** ნაწარმოებ რთული აგებულების სიტყვებზე: აფროამერიკელი, აფროამერიკული. როგორც ცნობილია, აფროამერიკელი განიმარტება, როგორც ამერიკის მცხოვრებნი, რომლებიც ნეგროიდული რასის აფრიკელების სრული ან ნაწილობრივი მემკვიდრეები არიან. ზოგადად, ეს ტერმინი, როგორც აღნიშნავენ, პოლიტკორექტულობის შედეგია – მათ ადრე შავკანიანებს უწოდებდნენ, ეს ტერმინი მოიცავს XVII-XIX საუკუნეებში ამერიკაში შეყვანილი აფრიკელი მონების შთამომავლებს. დასახელებული სიტყვაც წარმოების თვალსაზრისით არასწორია, ფუძეში არ გვაქვს -ო ხმოვანი, რომ შემოკლებისას ის დარჩეს. აქაც რუსულის გავლენა ჩანს: **Афроамериканец**,

რომელშიც **ო** ხმოვანი ასევე სიტყვათშემაერთებელი ხმოვანია. წესით, ის ორ დამოუკიდებელ სიტყვად უნდა იწარმოებოდეს: აფრიკელი ამერიკელი, თუმცა ენაში ის დამკვიდრდა ამგვარი დაწერილობითა და გამოთქმით – აფროამერიკელი, აფროამერიკული.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ ენაში საკმაო რაოდენობითაა ისეთი კომპოზიტები, რომლებიც პირველი ნაწილის შემოკლებითაა მიღებული და **ო**-ზე ბოლოვდება. შესაბამისად, მათი მართლწერა-მართლმეტყველების საკითხებიც სათანადო ყურადღებასა და დაწერილობისა თუ წარმოთქმის წესებს მოითხოვს.

ლიტერატურა

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე), 2011, თბილისი.

საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე), 2017, თბილისი.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის (რედ. თ. ვაშაკიძე), 2016, თბილისი.

ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილიტიკური ლექსიკონი, I (რედ. თ. ვაშაკიძე), 2010, თბილისი.

ქეფლი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII (არნ. ჩიქოზავას საერთო რედაქციით), თბილისი.

Tea Burchuladze

On One Type of Linking Between the Components of a Compound

Summary

The paper examines compounds in which the first component is a shortened form ending in *-o*. From the perspective of derivation and base structure, two types are distinguished:

1. **Compounds with complex bases**, in which the first component is obtained through abbreviation and ends in *-α*: *morposinṭaksi* “morphosyntax”, *etnolingviṣturi* “ethnolinguistic”, *onḡokirurgia* “oncologic surgery”, *psikoanalizi* “psychoanalysis”, etc.

2. **Compounds with complex bases**, in which the first component is abbreviated and joins the second word via the vowel *α*: *leksokosemantikuri* “lexicosemantic”, *sociokulturi* “sociocultural”, etc.

Recommendations are provided regarding the correct orthography of such compound words.

გიორგი გოგოლაშვილი

ენის დაწმენდა უდიდესი ამოცანაა

(ერთი პოლემიკის გახსენება)

XX საუკუნის ქართულს **მიხეილ ჯავახიშვილმა** „ჯვარცმული ენა“ უწოდა. დედაენის ბედის ამგვარმა გააზრებამ ათქმევინა მწერალს: „უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა, ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვესო...“ მიხეილ ჯავახიშვილს მხარი **კონსტანტინე გამსახურდიამ** აუბა... ეს იყო თავდადებული ბრძოლა ქართული ენის დასაცავად... იბრძვიან და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთსაც უპირისპირდებიან...

ღირს გახსენება ამ ბრძოლისა და დაპირისპირებისა, როგორც მაგალითისა დედაენისადმი თავდადებისა...

მაშ ასე, პაექრობენ კლასიკოსები – მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია...

შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვებს: (ა) როგორია ენობრივი ვითარება XX ს-ის დასაწყისის საქართველოში, რამაც კლასიკოსებს ეს გადაწყვეტილება მიაღებინა და (ბ) რა გზებს ეძებენ კლასიკოსები დედაენის გადასარჩენად?

* * *

ამ კითხვებს რომ პასუხი გაეცეს, მე-20 საუკუნის დასაწყისის ენობრივ ვითარება უნდა გავიხსენოთ. შესაფასებლად მთავარ მოღვაწეებს მოვიშველიებთ: **ივანე ჯავახიშვილს, მიხეილ ჯავახიშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიას:**

1938 წელს თბილისის უნივერსიტეტის 20 წლისთავის იუბილზე **ივანე ჯავახიშვილმა** მოიგონა, როგორი იყო ვითარება იმჟამად, როცა დაიწყო ფიქრი და ზრუნვა უნივერსიტეტის დაარსებაზე:

„საქართველოში მოსპობილი იყო ქართული ენა, როგორც სავალდებულო ენა. მე-19 საუკუნის განმავლობაში, არაერთხელ აღძრულა საკითხი უნივერსიტეტის, ან, საერთოდ, უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ, მაგრამ **მაშინ ქართულ უმაღლეს სასწავ-**

ლებელზე კი არ ოცნებობდნენ, – რომლის განხორციელება იმ პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ სწავლება ქართულად არ შეიძლებოდა, – არამედ ეს უნდა ყოფილიყო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი სავალდებულო **რუსული ენით**, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოს მოსახლეობისათვის, ხალხისათვის გაუგებარი იქნებოდა. მეტის თქმა შემიძლია: **ქართველმა ინტელიგენციამ თვითონ არ იცოდა ხეირიანად ქართული ლაპარაკი**. თქვენ, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენთ ასეთ მდგომარეობას ამჟამად, მაგრამ ჩვენს თაობას უნახავს, თავისი ყურით მოუსმენია ისეთი კრება, – მთავრობის მიერ მოწვეული კი არა, – სადაც არც ერთი სიტყვა ქართულად არ ყოფილა წარმოთქმული. მეტიც: ქართველ ინტელიგენციას, საყველპურო ლაპარაკის გარდა, სხვა საგანზე ქართულად ლაპარაკი არ ეხერხებოდა. ეს ჩვეულებრივი იყო და, თუ გნებავთ, ამის გამო ქართული ენა არასავალდებულოდ ცხადდებოდა, ის იკითხებოდა მესამე კლასამდე ან მეექვსე გაკვეთილად ან იმ დროს, როდესაც გერმანულს და ფრანგულს ასწავლიდნენ, და ამ არასავალდებულო საგანს თითქმის არავინ სწავლობდა.

ამგვარად, ქართველი ინტელიგენცია სრულიად დაშორებული იყო ხალხს, ხალხისა და ინტელიგენციისათვის გაუგებარი იყო ხშირად ზრახვები, რომლებიც მათ ჰქონდათ. მე, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ პოლიტიკურ საკითხებს, – პოლიტიკური საკითხები გაშუქებული იყო და პრესაშიაც მოიპოვებოდა, – მე ვგულისხმობ სამეცნიერო მწერლობას და სამეცნიერო ჯიხრებს.

ამის გახსენება სჭირდებოდა ივანე ჯავახიშვილს იმისათვის, განემარტა, რატომ იყო საჭირო **ქართული უნივერსიტეტის** დაარსება...

ვითარებას ასე უნდა შევხედოთ: კი, რაც გაკეთდა, შთამბეჭდავი იყო, მაგრამ გვქონდა კი დამშვიდების უფლება? ასე ვთქვათ, XIX საუკუნის ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია, მაგრამ იყო საკმარისი?

გაკეთებულმა გასაკეთებელი უკეთ წარმოაჩინა, სად უჭირდა ქართულ ენას მეტად და სად – ნაკლებად...

თუ XIX საუკუნეში უფრო ინტელიგენციის როლი იყო გამოკვეთილი, წიგნიერი საზოგადოებისა. XX საუკუნეში უშუალოდ მწერლებისა და მწერლობის როლი წამოსწია წინა პლანზე.

დედაენისათვის საბრძოლო დროშა **მიხეილ ჯავახიშვილმა** დაიჭირა ხელში... მანვე დასვა „დიაგნოზი“ და სცადა შეფასება სიტუაციისა – ენობრივი ვითარებისა:

მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს ფუნდამენტური ნაშრომიდან „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ (1928) (ვიმოწმებთ გამოცემიდან: მ. ჯავახიშვილი, წერილები, 2001).

„დღევანდელი ქართულიც ზრდისა და გარდატეხის პერიოდს განიცდის, ამიტომ სწრაფ ზრდას და განვითარებას, როგორც მუდამ ყველგან და ყველადღერში, ფეხდაფეხ ნაკლიც მოსდევს.

ქართულ სალიტერატურო ენას ქართველი ინტელიგენცია ჰქმნიდა და ეხლაც იგივე ჰქმნის, მაგრამ თუ რამ ირყევება და ღებება, ესეც უმეტესად მასვე უნდა მიეზღოს. უფლებაც მისია და პასუხისმგებლობაც. Атаману первая чарка, ему же первая палка.

ამ ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი თითქმის დამუწვდა: ენას უკიდებს, ბორძიკობს, წამებით ეძებს სიტყვას, ძლივს პოულობს, უმაღლვე ჰკარგავს და ისევ ეძებს, მუდამ ეძებს.

მისი ქართული გახმა, მოიკრუნჩხა, დაიხლართა. აღარც ძველი ნათელობა შერჩა, არც გამჭვირვალება, არც მკაფიობა და მოქნილობა. რაც ხუთი სიტყვით ითქმის, ათი ძლივსდა ჰყოფნის.

ამდღერეული და ბნელი მეტყველება ამდღერეულივე აზროვნების ნიშანია. აზრი სიტყვას ეძებს და, რომ ვერ პოულობს, უმაღლად ფართხალებს და მახინჯდება. მრავალ ერთან შედარებით ჩვენ ბედნიერები ვართ: ერთი მხრით ჩვენი სალიტერატურო და სახალხო ენები ერთ-იგივეა, ხოლო მეორე მხრივ დღევანდელი და იაკობ ხუცესის ქართულიც ბევრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ხალხის ერთ ნაწილს ქართული მეტყველების ეს განუწყვეტელი ჯაჭვი ვერა შველის, მისთვის იგი დაწყდა, დაიფლითა, მან თითქო ვეღარ ზიდა სამემკვიდრო განძი და ხელიდან დააგდო. ამ საყვედურს უმეტესად ლიტერატორების, მეცნიერების და ჟურნალისტების ერთ ნაწილს ვუგზავნით.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ამათ არც თავიანთი ენა იციან, არც სხვისი, ან სხვისი საკუთარზე უკეთ იციან. ქართულის უმეცარნი

ქართულსაც აწვალებენ, თვითონაც წვალობენ და მკითხველსაც ამა-
ხინჯებენ. მათი ნაწერების მიხედვით ჩვენს ენასაც თითქო ალჟირუ-
ლის ბედი მოელის: უმზგავსი ნაზავია არაბულის, ებრაულის, ფრან-
გულის, მალტურისა და საბირულის“.

მიხეილ ჯავახიშვილი სხვაგან წერს:

„ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას სიკ-
ვდილის შემდეგ ქართული მწერლობა თითქოს დადაბლდა. ქართუ-
ლი ენა ბნელ კუნჭულში მიიკრუნჩხა, ხოლო ათიოდე სკოლა კი სა-
თვალავშიც არ არის ჩასაგდები“...

ასე **მიხეილ ჯავახიშვილი** ხედავს და აფასებს XX საუკუნის და-
საწყისის სიტუაციას...

* * *

როგორ ჩანს ყოველივე ეს მეორე კლასიკოსის – **კონსტანტინე
გამსახურდიას** – სამუხრიდან?

კ. გამსახურდია პრობლემაზე საუბრისას სამთავრობო პოზი-
ციას მოიშველიებს (ფფიქრობ, ეს ტაქტიკური ნაბიჯია და არა აგიტა-
ცია მთავრობის სასარგებლოდ):

„სრულიად საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე
მახარაძემ გულისტკივილით შესჩივლა ყრილობას: ქართული ენა
ჩვენს თვალწინ მახინჯდებაო.

ეს აღინიშნა აგრეთვე სხვა ორატორების მიერ.

როგორც სახელმწიფო უწყებათა მეტყველებაში, ისე პრესაში,
მწერლობაში და თვით სამეცნიერო გამოცემებში შეუწყნარებელი
თვითნებობაა მართლწერის მხრით გამეფებული.

იცემა აუარებელი ლექსიკური მასალა, **სახელმძღვანელოები**,
და ყველას თავისებური მართლწერა აქვს, ყველა ისე სწერს, როგორც
მოეპრიანება“.

მართალია მწერალი, როცა ამის მიზეზებს ჩვენშივე ეძებს:

(წინასწარ შევნიშნავთ: კ. გამსახურდიას ეს პოზიცია ილია ჭავ-
ჭავაძის პოზიციითაა შეპირობებული. გავიხსენოთ: ილია კითხვას
სვამს, რატომ არ ვსწავლობთ ქართულ ენას ჩვენი კლასიკოსებისგანო.
„**დაუდევნელები ვართ ქართველები** და კიდევ ეს მოგვიღებს ბოლოს,
თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე“...). ეს ილიამ
თქვა...

კ. გამსახურდია განაგრძობს: „**დაუდევრობა უდიდესი სენია დღევანდელი**. სწორედ **მეტყველებაში იჩენს** უწინარესს ყოვლისა ამ დაუდევრობას ქართველი კაცი. მე ხშირად საათი დამინიშნავს ქართველ ინტელიგენტთან საუბრის დროს...

იგი ერთი საათის განმავლობაში შვიდგზის შეიცვლის ენას. არც ერთი იცის და არც მეორე.

არა აქვს ენის კულტი არც ქართველ მწერალს, არც ქართველ მსახიობს, არც ქართველ პროფესორს, ქართველ ქალსა და ქართველ მკითხველს.

ქართველ ინტელიგენტს არა აქვს ორგანული სიყვარული არც ქართული წიგნისა, არც ქართული ჟურნალისა და გაზეთისადმი.

იგი მთელს თავის სიგლახეს და უხასიათობას უმაღლეს სხვას გადააბრალეებს და მორთავს წუწუნს: რა ვქნათ, ასე გაგვზარდეს, ძველმა სკოლამ შეგვრყვნაო. აქვე დანაშაულს გადააპირებს ან ხელი-სუფლებას, ან სომეხს, რუსებს და სხვ.“

* * *

ასეთი იყო ენობრივი სურათი XX საუკუნის დასაწყისისა დიდი მეცნიერის (ივანე ჯავახიშვილს) და კლასიკოსი მწერლების (მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას) თვალით დანახული...

და ეძებენ გზებს ვითარების გამოსასწორებლად.

ქართული უნივერსიტეტი იყოო საჭირო, თქვა მეცნიერმა და უთავკაცა უნივერსიტეტის დაარსებას...

მწერლობის როლსა და მნიშვნელობაზე მწერლებმა ისაუბრეს...

უფრო სწორად, ბრძოლას სათავეში მწერლები ჩაუდგნენ, თავიანთი მიზანი ასე განმარტეს:

მიხეილ ჯავახიშვილი: (ვთქვით ზემოთაც) – „უდიდესი ამოცანაა **ენის დაწმენდა**, ამ საქმის პირველი **მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყოს**, ხოლო ამ უკანასკნელს რომ შეეძლოს სხვათა მხილება, ჯერ თვით უნდა განიკურნოს“...

ანუ: „ქართველი მწერალი განუწყვეტლივ, დღედაღამ უნდა თავს დასტრიალებდეს ქართულ სიტყვას, თორემ უმაგისოდ ვისაც კარგი გამართული ქართული არა აქვს, მითქვამს და ვიმეორებ, გენიოსი რომ იყოს, მისი გენიალობა განახევრდება“.

ჩვენი ენის ბუნების ამღვრევა უდიდეს ზიფათს უქადის ჩვენს მწერლობას, ამიტომ ჩვენი მიმართულება **დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს ქართული ენის გადამგვარებელ ძალებს**“...

„ყველა მწერალი მოვალეა, მკაცრად შეებრძოლოს ამ სამწუხარო მოვლენას“...

კონსტანტინე გამსახურდიასათვის, რა თქმა უნდა, მისაღებია ეს პოზიცია. მეტიც, იგი პირდაპირ საბრძოლო მოწოდებებით გამოდის...

„ჩვენ – ქართველმა **მწერლებმა ხმალი უნდა ვიშიშვლოთ მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავად**“...

„**მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა**“...

ნუ ვიფიქრებთ, რომ მხოლოდ შეფასებებითა და სიტყვიერი მოწოდებებით კმაყოფილდებოდნენ ჩვენი კლასიკოსები. იწყება სერიოზული ზრუნვა და ფიქრი მდგომარეობის გამოსასწორებლად...

ესეც ის შემთხვევაა: მიზანი რომ ერთია, **მიზნისაკენ სავალი გზა – ზოგჯერ სხვადასხვა... ეს გახდა საფუძველი მათ შორის გამართული დისკუსიისა...**

XX საუკუნის I ნახევარში **მიხეილ ჯავახიშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიას** შორის ენობრივ საკითხებზე წარმართული დისკუსია იყო გამორჩეული...

ეს იყო უჩვეულო შემთხვევა: 20-იან და 30-იან წლებში სალიტერატურო ენის ასპარეზზე გვერდიგვერდ დგომისა, გამუდმებული ოპონირებისა და კრიტიკისა ერთისთვის მიუღებელი მეორის აზრისა... ეს იყო დედაენაზე გამუდმებული ფიქრისა და ზრუნვის თვალსაჩინო მაგალითი...

ჩვენ შევეცდებით ამ დაპირისპირების საერთო სურათი აღვადგინოთ...

მაშ, ასე: **პაექრობენ კლასიკოსები**

შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს **კონსტანტინე გამსახურდია მწერალთა და ენათმეცნიერთა კონფერენციის** მოწვევაში ხედავს და მწერალთა ყრილობაზე ამ იდეას ახმოვანებს.

1926 წელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს უკვე არსებობს ქართული უნივერსიტეტი თავისი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტით და ქართული ენის კათედრით, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხის მოგვარებას მწერალთა კავშირი იღებს ხელთ. ამ აზრს გაუჟღერია მწერალთა ყრილობაზე პარტიული ხელმძღვანელის – **ფილიპე მახარაძის** – გამოსვლაში. ამავე ყრილობაზე საინტერესო სიტყვა უთქვამს **პავლე ინგოროყვას**. ორი საკითხი წამოუწევია წინა პლანზე: მწერალთა კავშირთან ქართული სიტყვის ინსტიტუტის დაარსება და ქართული ენის აკადემიური ლექსიკონის გამოცემა:

„მორიგი ამოცანაა აგრეთვე **მწერალთა კავშირთან დაარსება ქართული სიტყვის ინსტიტუტისა**, რომელსაც ექნება სამეცნიერო გამოკვლევითი ხასიათი. ქართულ მხატვრულ სიტყვასთან დაკავშირებული პრობლემები სრულებით შეუსწავლელია; ასეთი ინსტიტუტის დაარსების საჭიროება უკვე სავსებით მომწიფებულად უნდა ჩაითვალოს... საქმის გასაძლელად სათანადო ძალებიც მოეპოება მწერალთა კავშირს“.

პ. ინგოროყვა მწერალთა კავშირის როლსა და მნიშვნელობას კიდევ უფრო აკონკრეტებს:

„მწერალთა კავშირმა და კერძოდ ქართული სიტყვის ინსტიტუტმა, რომელიც მწერალთა კავშირთან უნდა დაარსდეს, უნდა იზრუნოს ქართული ენის გაწმენდისათვის. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. ყველა გამოცემებში და განსაკუთრებით ყოველდღიურ პრესაში ადგილი აქვს ქართული ენის სისტემატიურ დამახინჯებას. ამ გარემოებას ქართულმა მწერლობამ უნდა გაუწიოს ანგარიში და იზრუნოს ქართული ენის სიწმინდისათვის“.

თუ სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის პრობლემა მწერალთა კავშირის მოსაგვარებელ საქმედ რჩება, ლექსიკონის შედგენა-

გამოცემის საქმეში სამეცნიერო წრეების მონაწილეობას აუცილებლად მიიჩნევს პ. ინგოროყვა:

„მორიგ საკითხს წარმოადგენს აგრეთვე ქართული ენის აკადემიური ლექსიკონის გამოცემა. პირდაპირ ნაციონალურ სირცხვილად უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთი ლექსიკონი დღემდე არ მოგვეპოვება. საჭიროა შესდგეს სათანადო კოლეგია, როგორც მწერალთა კავშირის, ისე სამეცნიერო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც შეასრულებს ამ მორიგ მუშაობას.“

იდეა მწერალთა კავშირთან ქართული სიტყვის ინსტიტუტის დაარსებისა და ლექსიკონის შედგენისა იმდენად საინტერესო გამოდგა, რომ ყრილობის რეზოლუციაშიც აისახა:

„1) ვინაიდან ქართული მხატვრული სიტყვის პრობლემები დაუმუშავებელი და შეუსწავლელია, – **დაარსდეს მწერალთა კავშირთან ქართული სიტყვის ინსტიტუტი**. დაევალოს ამავე ინსტიტუტს, იზრუნოს ქართული ენის გაწმენდისათვის და კერძოდ ყურადღება მიექციოს ფაქტს ენის სისტემატიურად დამახინჯებისას, რომელსაც ადგილი აქვს ქართულ პრესაში და ქართულ გამოცემებში.

2) ამავე მიზნით საჭიროთ იქნას მიჩნეული, რათა მწერალთა კავშირის წარმომადგენელი მიწვეულ იქნას უმაღლეს სამეცნიერო საბჭოში.

3) ყრილობას აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია შესდგეს მწერალთა კავშირის ინიციატივით და უახლოესი მონაწილეობით სპეციალური კოლეგია ქართული აკადემიური ლექსიკონის დამუშავებისა და გამოცემისათვის.

4) ვინაიდან ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობისათვის, ყრილობა გამოისტეჟამს სურვილს, რათა ქართულ უნივერსიტეტს მიეცეს საშუალება გააძლიეროს ქართული და უცხოეთის ლიტერატურის ისტორიის დარგი“.

* * *

აი, აქ იჩინა თავი **კონსტანტინე გამსახურდიას** ინიციატივამ **„ქართული მართლწერის მოსაგვარებელი კონფერენციის“** მოწვევის შესახებ. მწერალი გაზეთ „კომუნისტში“ (1928 წ. 26 მარტი) აქვეყნებს საგანგებო წერილს (ჩვენ ვსარგებლობთ მწერლის რვატომეულის VIII ტომში გამოქვეყნებული ვარიანტით, თბ., 1967).

მწერალი ამას ყრილობის დავალებად მიიჩნევს:

„საქართველოს **მწერალთა უკანასკნელმა ყრილობამ** დაავალა ქართველ **მწერალთა ფედერაციის საბჭოს**, მიმდინარე წელს, სახელმწიფო **უნივერსიტეტთან შეთანხმებით**, მოიწვიოს **ქართული მართლწერის შემმუშავებელი კონფერენცია**“.

ფაქტობრივ ეს იყო სადისკუსიო წერილი. და დაიწყო სერიოზული, არგუმენტირებული და საქმიანი პოლემიკა **კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჯაფარიშვილს** შორის.

ეს იყო XX საუკუნის 20-იან წლებში სალიტერატურო ენის საკითხებით დაინტერესებული **ორი ქართველი კლასიკოსის პრინციპული დაპირისპირება**.

წინასწარ ვიტყვი: ისეთი შთაბეჭდილება რჩება, კ. გამსახურდიას დასავლურ-ქართული სულსწრაფობა ამოდრავებს, ხოლო მ. ჯაფარიშვილი მოვლენას ქართლური სიდინჯით უყურებს. საინტერესო პოლემიკაა...

ერთი შეხედვით, ლოგიკურია კ. გამსახურდიას პოზიცია:

„ენა ხომ ხალხის საკუთრებაა. მისი ერთობლივი მეტყველება.

ამ მეტყველებას ერთნაირი ყალიბი უნდა, ერთ დიდ ხუროთმოძღვრების გეგმაზე აგებული.

ვინ იქნება ეს ხუროთმოძღვარი?

მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენცია.

ამ კონფერენციაზე დიდი ენერგიის გაღება დასჭირდება ქართულ მწერლობას“.

თავიდან ისე ჩანს, თითქოს თანაბარ ფუნქციას ანიჭებს მწერალსა და ენათმეცნიერს ამ საშურ საქმეში, მაგრამ არა. კ. გამსახურდია მწერლობას მაინც გადამწყვეტ პასუხისმგებლობას აკისრებს... ამას იმიტომ მივანიშნებთ, რომ მსჯელობასა და მოქმედებაში ეს უპირატესობა გამოიკვეთა და მწერალთა პრიორიტეტს ამ საქმეში უდავოდ მიიჩნევს...

შექმნილ ვითარებაში („ქაოსი“, „დუღილი“) საჭიროა სალიტერატურო ენისათვის ყალიბის მიცემა. ეს უნდა შეძლონ მწერლებმა და ენათმეცნიერებმა. ანუ: „მწერლებისა და ენათმეცნიერების“ კონფერენციამ.

„ამიტომაც ძლიერ საშუროა ამ კონფერენციის მოწვევა. ცხადია, მართლწერის კონფერენციის დასკვნებს ხელისუფლება დააკანონებს და აღსდგება ქართული ენის სისადავე და მშვენება“.

ამ მნიშვნელოვანი მოვლენის ხელმძღვანელობას კონსტანტინე გამსახურდია თავის თავზე იღებს:

მოვიყვან ვრცელ ამონარიდს წერილიდან „ქართული მართლწერის კონფერენციისათვის“. ეს არის დასკვნითი ნაწილი წერილისა – „კონფერენციის სახელმძღვანელო იდეებისათვის“:

„უეჭველია, ამ კონფერენციაზე ფილოლოგები უთუოდ განაახლებენ უკანასკნელ ათეულ წლებში გამართულ პოლემიკას ქართული ენის ამერ-იმერულ ბუნების შესახებ.

ქართული ენა არც ამერლებს შეუქმნია და არც იმერლებს. ცალ-ცალკე არც ერთსა და არც მეორეს.

არც თუ მარტოოდენ ქართლის მეტროპოლიას შეუქმნია იგი.

ქართული ენა შექმნილია ყველა ქართულ დიალექტზე მეტყველ ქართულ ტომებისა და მათ ნაშიერების მიერ.

ყოველი დიდი ოსტატი ქართული ენისა უწინარეს ყოვლისა თავის კუთხეში დაგროვილი სიტყვის მარაგით ამდიდრებდა და ამკობდა ქართულ მეტყველებას.

დავით გურამიშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, ივანე მაჩაბელმა ქართლისა და კახეთის პროვინციული მარაგი შემოიტანეს ქართულში.

ვაჟა-ფშაველამ, რ. ერისთავმა, ალ. ყაზმეგმა მთიანი საქართველოს მეტყველების უჯიათობა და სიმკაცრე შესძინეს მას.

აკაკიმ, ე. ნინოშვილმა, დ. კლდიაშვილმა იმერეთის ბარის ქართულის სინაზე და სიღბო მოუმატეს ყოველსავე ამას.

თანამედროვე ოსტატები ქართული სიტყვისა ერთგულად მისდევნენ კვალდაკვალ ქართულ სიტყვის გამმართველების ამგვარ ტრადიციას.

ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ ცენტრალიზაციას ლოგიკურად მოჰყვება ქართული კულტურის ცენტრალიზაცია.

ნამდვილ ლიტერატურულ ქართულსაც ჩვენს თვალწინ ეყრება საძირკველი.

მე მეგონა, ცნება კლასიკოსი, საერთოდ პირობითია. ასე უწოდებდნენ გერმანელ და ფრანგ მწერლებს, რომელთაც ბერძნულ-რომაული პოეტური მოტივი და სტილი მიაჩნდათ სანიმუშოდ.

დღევანდელი ქართველი იოლად გაიგებს გ. მერჩულის, იაკობ ხუცესის ენას, და ეს სასიხარულო მოვლენად მიაჩნია ზოგიერთს.

ეს უფრო იმის მომასწავებელია, რომ ქართული ენა საუკუნეების განმავლობაში სათანადოდ არ განვითარებულა, არ გაზრდილა. ან წელის ნაბიჯით მიიწევდა წინ მისი განვითარება.

ჯერ არ დაწერილა ქართული სტილის ისტორია, მაგრამ საკმარისია თვალი გადაავლოთ ქართული ენის განვითარებას და თქვენ უმალ დარწმუნდებით, რომ გ. მერჩულის და იაკობ ხუცესის თავისუფალი, სპონტანური, დარბაისლური, სავსებით დახვეწილი ენა ქართული რეგრესის გზით უკან იხევდა თვით რუსთაველამდის. რუსთაველიდან ხომ დიდი მანძილია დავით გურამიშვილამდის!

დავით გურამიშვილი და საბა ორბელიანი უდიდესი მწვერვალებია ქართული ენის განვითარების მანძილზე.

ხოლო აქედან იწყება გასაოცარი დაქვეითება ქართული ენისა“...

ამ წერილს („ქართული მართლწერის კონფერენციისათვის“) კ. გამსახურდია საინტერესოდ ასრულებს – ხატავს „იდეალური ლიტერატურული ქართულის“ წარმოსახვით სურათს:

„ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიდარბაისლე, ხოლო აკაკიმ იმერულის სილბო. XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშავურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული.

ქართული ენის სინთეტური ქმედების პროცესი დიდი ხანია რაც დაწყებულია და სწორედ ეს გარემოებაც ზედმეტჯერ გვავალებს ადრევე ვიფიქროთ ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისათვის“.

იმდენად არის კ. გამსახურდია გატაცებული ამ იდეით, რომ დანაშებით წერს, „ჩვენს წრეებში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ამ კონფერენციის დროულობის, საჭიროების გამო“...

კ. გამსახურდია უპირველესად მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს გულსხმობს. ფაქტობრივ კ. გამსახურდიას იდეას მ. ჯავახიშვილი არ-გუმენტირებული პოზიციით დაუპირისპირდა.

მ. ჯავახიშვილი 1928-1929 წლებში აქვეყნებს ვრცელ (თითქმის მონოგრაფიულ ნარკვევს „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“

(„მნათობი“, №11, 12, 1928 წ.; №1, 1929 წ.). ამ ნაშრომის თაობაზე გვითქვამს თავის დროზე (იხ. ჩვენი „ენა მწერლის ბალავარია“, 2021); ამჯერად ის მონაკვეთი გვაინტერესებს, „მართლწერის კონფერენციას“ რომ შეეხება:

„სადაო ბევრი დაგვიგროვდა. ფორმათა სიმრავლემ ანარქია შემოიტანა. დაირღვა საერთო გრამატიკა, დაიშალა მთლიანი ქართულიც, და მისი აღდგენისათვის, ზოგის აზრით, საჭიროა მოწვევა ენის მცოდნეთა კონფერენციისა.

ჩემი რწმენით კონფერენციის მოწვევა ნაადრევია“.

თემა რომ დიდად ფასეულია მიხეილ ჯავახიშვილისათვის და გაცნობიერებული აქვს თავისი საწინააღმდეგო აზრის არსი, იმითაც ჩანს, რომ საკმაოდ ვრცლად ცდილობს დაასაბუთოს თავისი თვალსაზრისი; პუნქტობრივ ჩამოაყალიბოს, რატომ ეწინააღმდეგება კონფერენციის მოწვევას:

„პ ი რ ვ ე ლ ი: საერთო ცენტრალიზაციას, მისვლა-მოსვლისა და კავშირის სისწრაფის არაჩვეულებრივ ზრდას თან მოჰყვა საერთოდ კულტურის ცენტრალიზაციაც და კერძოდ – სალიტერატურო ენის გავლენის გაძლიერებაც. იგი ასჯერ უფრო სწრაფია, ვიდრე შორეულში იყო, და გაცილებით ძლიერი, ვიდრე წარსულ საუკუნეში, რკინის გზისა და ტელეგრაფის გაყვანამდე. ახლა კი საქართველო რადიოთი და ტელეფონითაც დაიქსელა.

ოცდაათიოდე წელიწადში წიგნისა და გაზეთის ტირაჟმა ოცჯერ თუ ორმოცჯერ იმატა (სწორედ ესენი ავრცელებენ საერთო ქართულსაც), და მეც მჯერა, რომ უზარმაზარი განათლების ტალღა მახლობელ მომავალში კიდევ გაიზრდება. ცხადია სალიტერატურო ქართულიც გეომეტრიული პროგრესით მატულობს.

მ ე ო რ ე: ყოველგვარ კულტურას, და საერთო ენასაც, ქალაქები ჰქმნიან. უფრო კი დედა-ქალაქი. ეხლა უმეტესად ტფილისშია დაგროვილი ჩვენი ტვინი: ლიტერატურა, პრესა, მეცნიერება, ხელოვნება, მთავარი სახელმწიფო აპარატი და ყოველივე და ყველანი, ვინც და რაც კი საერთო სალიტერატურო ქართულისათვის მუშაობს, **ტფილისში თავს იყრის** (მხოლოდ ეხლახანს მოიყარა) ყველა ჩვენი კილო: ქართული და იმერული, მთიულური და გურულ-აჭარული, რაჭული და მეგრული და დღევანდელი ქართულიც ჩვენს თვალწინ სდუღს და ყალიბდება.

ტფილისი ჩვენი ენისათვის მოსკოვიც არის და პარიზიც, ამიტომ საჭიროა მოვიცადოთ, სანამ ამ ქალაქში თავმოყრილი მრავალი კილო გადაიხარშება და ერთ ყალიბში გამოიჭედება.

მ ე ს ა მ ე: ცხოვრების ყველა დარგში შესაძლებელია და **ზოგ-ჯერ საჭიროც არის, რომ კანონი წინ უძღოდეს ფაქტს**. მაგრამ **ძალიან სახიფათოა თუ ენის დარგშიც კანონმა გაუსწრო ფაქტს**.

ძალიან ადვილია ამა თუ იმ ფორმის დაკანონება, მაგრამ უფრო ძნელია მისი გადახალისება, თუ იგი სინამდვილემ მოითხოვა, და ანარქიის მოსპობის ნაცვლად არევდარევა უფრო გაძლიერდება.

მ ე ო თ ხ ე: ფორმათა სიმრავლემ ანარქია შემოიტანა, მაგრამ უკანასკნელ წლებში იგი ცხადად კლებულობს, ე. ი. კლებულობს სადაო რიცხვიც, ე. ი. დუღილი ნელდება და საერთო ქართულიც ყალიბდება. შეადარეთ დღევანდელი ქართული მახლობელ ქართულს, თუნდაც ს. ხუნდაძის უკანასკნელი და წარსული გრამატიკები, და უმაღლვე დარწმუნდებით, რომ დღევანდელი ქართული დიდი სისწრაფით პოულობს სტატიურობას და გარკვეულ ფორმებს. და **როცა ძალთა ურთიერთობის წყალობით დამკვიდრდება ცხადი უპირატესობა ამა თუ იმ ფორმებისა, კონფერენციამ მაშინდა უნდა დაადასტუროს არსებული ფაქტი**.

ჩვენ ვერ ავცდებით უცხოელთა აკადემიების მტკიცე ჩვეულებას: ამა თუ იმ სიტყვას ან ფორმას მხოლოდ მაშინ დააკანონებენ ხოლმე ქალაქდზე, როცა ის მტკიცედ მოიკიდებს ფეხს სინამდვილეში“.

მიხეილ ჯავახიშვილის ასეთი პოზიცია, ფაქტობრივ, კონსტანტინე გამსახურდიას ინიციატივის ჩავარდნას ნიშნავდა... იმ დროისათვის მიხეილ ჯავახიშვილის ავტორიტეტი განუსაზღვრელი სიდიდისა იყო... ცნობილი ფაქტია, ერთ-ერთ ოფიციალურ სხდომაზე, როცა განიხილებოდა საკითხი ზმნაში რომელი დაბოლოებისათვის მიეცათ უპირატესობა (-**ნენ** თუ -**ენ**), ცნობილი ენათმეცნიერის, არნოლდ ჩიქობავას მოხსენება იქნა მოსმენილი ამ დაბოლოებათა ისტორიის შესახებ და მასალის ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა: უპირატესობა უნდა მიეკუთვნოს -**ენ** დაბოლოებას (მოვიდ-ენ, აკეთებდ-ენ...)... ეს დაბოლოება უფრო მეტად დასავლეთში იყო გავრცელებული და არაბუნებრივად ჟღერდა მიხეილ ჯავახიშვილისათვის. არ დაეთანხმა მწერალი ენათმეცნიერს და შეიცვალა დასკვნა, ისტორია საკითხისა უცვლელი დარჩა...

მიხეილ ჯავახიშვილის ავტორიტეტმა დააკანონა **ნენ** დაბო-
ლოება ნაცვლად შემოთავაზებული **ენ** დაბოლოებისა...

ეს არის მაგალითი მიხეილის შეუვალი ავტორიტეტისა...

კონსტანტინე გამსახურდია მიხეილ ჯავახიშვილის არგუმენ-
ტირებულმა წინააღმდეგობამ „კონფერენციის მოწვევის საქმეში“
ეტყობა ძალიან გააღიზიანა...

„უნდა მოგახსენოთ, მე სავსებით არ ვიზიარებ ბელეტრისტ
მ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, თითქოს დღეს ქართულ ენაში არსე-
ბულ დუდილს ათეული წლით დავუცადოთ და ქართულ სიტყვას ყა-
ლიბი მერმე მივცეთო. წინამდებარე შენიშვნები რამდენიმე თვით ად-
რე მქონდა მოსაზრებული, ასე რომ მე არ მინდა აქ გამოთქმულ მო-
საზრებებს პოლემიკის იერი მივცე“...

კ. გამსახურდია განსაკუთრებულ ყურადღებას მ. ჯავახიშვი-
ლის ამ არგუმენტზე ამახვილებს: არ არის სწორი მ. ჯავახიშვილის
ანალოგია: „უცხოეთის აკადემიები მხოლოდ მაშინ დააკანონებენ ამა
თუ იმ სიტყვას ან ფორმას, როცა ის მტკიცედ მოიკიდებს ფეხს სინამ-
დვილეში“. უცხოეთის აკადემიის ტრადიციას ვერც ჩვენი კონფერენ-
ცია ასცდება, მაგრამ თუ მ. ჯავახიშვილს ფრანგული ან გერმანული
სამეცნიერო აკადემიები აქვს მხედველობაში, აქ ქართული ენის ბედი
მოსატანი არ არის.

ასი წლის განმავლობაში ქართული ენა სახელმწიფო ენათა სი-
იდან გამორიცხული იყო. ქართული ენა სტიქიურად იზრდებოდა,
როგორც გაურანდავი ჟვერი: არც მომვლელი ჰყავდა მას და არც ყა-
ლიბის მიმცემი.

ფრანგულსა და გერმანულ ენებს რამდენიმე საუკუნის განმავ-
ლობაში უვლიდნენ, აყალიბებდნენ და სწმენდნენ სალიტერატურო ინ-
სტიტუტები და სამეცნიერო აკადემიები“.

ეს არის ორი, ევროპულად განსწავლილი მწერლის პაექრობა
დედაენის ბედზე.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, კ. გამსახურდია უფრო ზოგადი
შეგონებითა და პოზიციებით ცდილობს მ. ჯავახიშვილის კონკრე-
ტული მსჯელობის გაბათილებას.

ამ თემაზე კამათისას სწორედ ასეთი ზოგადი დასკვნა გამოაქვს
კ. გამსახურდიას:

„აქ ერთი მომენტიც საგულისხმოა:

ჩვენს საუკუნეს ყველაზე მეტად ახასიათებს: გამოთქმის სიზუსტე და მატერიის ეკონომია.

ზუსტი, ნორმებში ჩამოყალიბებული მეტყველება უფრო ნაკლებ სიტყვისა, დროისა, მელნისა და ქალაქის დახარჯვას მოითხოვს, ვიდრე უთავბოლო აჭია-ბაჭია.

სიტყვის უდიდესი ოსტატები თქმის სიმკვეთრესა და სიმოკლეს გვასწავლიდნენ მუდამ.

რუსთაველი: „გრძელი სიტყვა ოკლედ ითქმის“ და სხვ.

გოეთე: „მოკლედ თქმაში გამოჩნდება მხოლოდ ოსტატი“.

ამასვე გვასწავლის შექსპირი („ჰამლეტი“).

გამოთქმის სიზუსტე და მატერიის ეკონომია მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ხალხის ენას ყალიბში მოაქცევს ოსტატი“.

რაც შეეხება მ. ჯავახიშვილს, მისი მსჯელობა უფრო პრაქტიკულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

„მირითადი აზრი ის არის, რომ „დღევანდელი ქართული ჩვენს თვალწინ სდუღს და ყალიბდება“. და ეს პროცესი დუდილისა სანამ არ განელდება, „სანამ არ გადაიხარშება და ერთ დიდ ყალიბში გამოიქედება“, მანამ საშიშია ხელოვნური ჩარევა.

აქ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მ. ჯავახიშვილის უაღრესად მნიშვნელოვან, სადღეისოდაც დიდად ფასეულ შეგონებაზე:

„მართალია, **ზოგჯერ საჭირო არის, რომ კანონი წინ უძღოდეს ფაქტს**, მაგრამ ძალიან **სახიფათოა, თუ ენის დარგშიც კანონმა გაუსწრო ფაქტს**“ და კიდევ: „ძალიან ძნელია ამა თუ იმ ფორმის დაკანონება, მაგრამ უფრო ძნელია მისი გადახალისება, თუ იგი სინამდვილემ მოითხოვა“...

ჩვენ გვქონია შემთხვევები, როცა „ენის დარგში კანონმა გაუსწრო ფაქტს“ (მაგალითად -ავ და -ამ თემისნიშნთან გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის შემთხვევაში...), მაგრამ ენამ მაინც თავისი გზით იარა და ამან მხოლოდ გაართულა საქმე...

მ. ჯავახიშვილი მსჯელობას ასე განაგრძობს:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ათიოდე წელიწადში, შეიძლება უფრო ადრეც, სადავოს უმეტესი ნაწილი თავისთავად გადაწყდეს და კონფერენციის მოწვევასაც მაშინღა ექნება აზრი და გამართლება“.

ეტყობა, მიხეილ ჯავახიშვილის თვალსაზრისს მხარი ენათმეც-
ნიერებმაც დაუჭირეს...

კონფერენციის მოწვევის იდეა აღარ განვითარებულა...

ესეც ერთი ეტაპი კლასიკოსთა პოლემიკისა.

* * *

1937 წელს მიხეილ ჯავახიშვილი „გავიდა“ საბრძოლო ასპარე-
ზიდან... კონსტანტინე გამსახურდია განაგრძობს ბრძოლას... ოღონდ
ერთია: **მიმართულება შეცვალა ბრძოლისა**: კითხვა ასე დასვა: **ვის
ეკუთვნის პრიორიტეტი, მწერალს თუ ენათმეცნიერს...**

ეს კითხვა არაერთგზის დაისვა მის წერილებში... შემაჯამებე-
ლი ხასიათისაა ეს პუბლიკაცია: 1956 წელს „ლიტერატურულ გაზეთ-
ში“ (№28) დაიბეჭდა კ. გამსახურდიას ვრცელი წერილი „ქართული
სალიტერატურო ენის მეურნეობისთვის“ (იხ.: მწერლის თხზულება-
თა რვატომეული: „ქართული ენის მეურნეობისათვის“, ტ. VI, 1963).
წერილში კ. გამსახურდია არაორაზროვნად წერს:

„ქართული სალიტერატურო ენის საქმეებში მთლად დალაგე-
ბული მეურნეობა არ არის. გაჟეჟილს გატეხილი სჯობია და აქ პი-
რუთვნელად უნდა ითქვას, ზოგ შემთხვევაში ზოგიერთმა ჩვენმა
ენათმეცნიერმა მიიტაცა ის პრეროგატივები, რომელნიც აღემატებოდა
კიდევაც ენათმეცნიერების კომპენტენციას და უფლებას“.

კ. გამსახურდიას წერილს უპასუხა არნ. ჩიქობავამ იმავე გა-
ზეთში (№229, 1956 წ.). წერილის სათაურია „ობიექტური საზომისა-
თვის სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა დადგენისას“. ერთ
ფრაგმენტს მოვიყვანთ საპასუხო წერილიდან:

„ქართველ ენათმეცნიერებს პრეტენზია არა ჰქონიათ სალიტე-
რატურო ენას ჩვენა ვქმნითო. **სალიტერატურო ქართული ენის შექმნა
ქართველი მწერლების დიდი და საპატიო მოვალეობა იყო (და არის);**
ქართველი **ენათმეცნიერი კი ქართული ენის მსახურია ხეირიანი თუ
უხეირო, მაგრამ ერთგული მსახური.** სხვანაირად, რამდენადაც ვი-
ციტ, საკითხი არ მდგარა და არცა დგას“...

თუმცა ეს უაღრესად საინტერესო და საკმაოდ ვრცელი დისკუ-
სია მწერალსა და ენათმეცნიერს შორის ცალკე მოსათხრობი ამბავია...

ლიტერატურა

გამსახურდია 1967 – კ. გამსახურდია, „ქართული მართლწერის მოსაგვარებელი კონფერენციის“ მოწვევის შესახებ: ტ. VIII, თბილისი.

გოგოლაშვილი 2021 – გ. გოგოლაშვილი, „ენა მწერლის ბალავარია“ (ფიქრები მიხეილ ჯავახიშვილზე), თბილისი.

გოგოლაშვილი 2021 – გ. გოგოლაშვილი, „ენა ერის თავდაცვის იარაღია“ (ფიქრები კონსტანტინე გამსახურდიაზე), თბილისი.

ჩიქოზავა 2011 – არნ. ჩიქოზავა, ობიექტური საზომისათვის სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა დადგენისას: შრომები, ტ. V, თბილისი.

ჯავახიშვილი 1971 – ი. ჯავახიშვილი, ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის: თბილისის უნივერსიტეტის შრომებში: B1(138), ჰუმანიტარული მეცნიერებანი, თბილისი.

ჯავახიშვილი 2001 – მ. ჯავახიშვილი, „ახალი სალიტერატურო ქართულსათვის“: წერილები, თბილისი.

Giorgi Gogolashvili

Language Purification as a Paramount Task (Revisiting a Polemic)

Summary

In nineteenth-century Georgia, efforts to resolve the problems of the Georgian literary language were placed on a sound and productive trajectory. Numerous issues were systematized and addressed, although many remained unresolved. At the beginning of the twentieth century, leadership in the movement for linguistic purification was assumed by Georgian writers themselves. Mikheil Javakhishvili and Konstantine Gamsakhurdia emerged as the principal figures in this struggle. On certain issues, their views were in direct opposition to one another. One

particularly significant point of contention concerned an initiative proposed by K. Gamsakhurdia, who argued that the resolution of linguistic problems required the convening of a conference of writers and linguists. This position was sharply challenged by Mikheil Javakhishvili, who, through a series of counterarguments, effectively refuted Gamsakhurdia's reasoning in this engaging debate. At a later stage, K. Gamsakhurdia returned to the issue, albeit from a different perspective, asserting that in matters concerning the preservation of linguistic purity, priority should be accorded to the writer rather than to the linguist. This polemical stance was subsequently addressed by the academician Arnold Chikobava. In the present paper, this latter issue is introduced in the form of a preliminary announcement.

ქეთევან დათუკიშვილი

ფუძეუკვეცელი სახელების ნათესაობითის ფორმათა ასახვისათვის ბრუნების პარადიგმაში (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით)

როგორც ცნობილია, ფუძეუკვეცელი სახელები ნათესაობით ბრუნვაში სამი განსხვავებული ფორმით დასტურდება: **წყაროს, წყაროსა და წყაროსი**. ეს ვარიანტები თანამიმდევრულად უნდა იყოს ასახული ბრუნების პარადიგმაში.

სანამ უშუალოდ პარადიგმებს შევხებით, განვიხილავთ ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ალომორფებსა და მათ დისტრიბუციას. ცნობილია, რომ ამ ტიპის სახელებში **ს** ძველ ქართულშივე დასტურდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად, სავრცობი **ა**-ც ძველი მონაცემია, **ი** ხმოვანი კი შედარებით გვიან არის გაჩენილი. ამ უკანასკნელის წარმომავლობა და ფუნქცია მრავალ მკვლევარს აქვს შესწავლილი, გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი მის შესახებ.

ნ. მარი ნათესაობითი ბრუნვის სი დაბოლოებაში **ი**-ს მიიჩნევდა **ის** ბრუნვისნიშნისეულ **ი**-დ, რომელიც გადასმულია ისევე, როგორც მოქმედებითი ბრუნვის **თი** დაბოლოებაში: წყარო-**ის** → წყარო-**სი**, წყარო-**ით** → წყარო-**თი**. ეს მოსაზრება არ არის გაზიარებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. გამოთქმულია შემდეგი განსხვავებული ვარაუდები **ი** ხმოვნის ფუნქციის შესახებ.

1. **ი** არის სახელობითი ბრუნვის ნიშანი (ვ. თოფურია, ა. შანიძე).
2. **ი** ხმოვანს სავრცობის ფუნქცია აქვს (არნ. ჩიქობავა).
3. **ი** წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშანია, აქვს ემფატიკური ხმოვნის ფუნქცია (თ. უთურგაძე, ლ. ნოზაძე).

ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ **ი** წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშანია და შემდეგ ემფატიკური ხმოვნის ფუნქცია შეიძინა. **ი**-ს ამ მნიშვნელობით გამოყენება საკმაოდ შორს წასული პროცესია დიალექტებში, სადაც ნათესაობითის სი დაბოლოება თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კვეცად სახელებშიც

დასტურდება. ლ. ნოზაძეს დაწვრილებით აქვს შესწავლილი დიალექტთა მონაცემები, მისი დასკვნით, „**ო-ს დისტრიბუცია ქართულში, ძირითადად, ემთხვევა ა-ს დისტრიბუციას**“ [ნოზაძე 1990: 30].

ჩვენ განვიხილავთ ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა დისტრიბუციას თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. ამ საკითხსაც ბევრი მკვლევარი ეხება. უნდა აღინიშნოს, რომ დიალექტებისგან განსხვავებით, სალიტერატურო ქართულში **სა** და **სი** დაბოლოებებს მსგავსი დისტრიბუცია არა აქვთ. წარმოვადგენთ იმ პოზიციებს, რომლებშიც გვხვდება ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის სამი ვარიანტი: გაუვრცობელი, ახმოვანდართული და ი-ხმოვანდართული: **წყაროს, წყაროსა, წყარო-სი**.

1. **ს** ალომორფი (გაუვრცობელი ვარიანტი) გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც ნათესაობითი ბრუნვის ფორმა პრეპოზიციური მსაზღვრელია: **წყარო-ს** წყალი;

- თანდებულებისა და თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართების წინ: **წყაროს** შესახებ, **წყაროს** გამო, **წყაროს** წინ, **წყაროს** გარშემო...

2. **სა** ალომორფი გაუვრცობელი (ს-სუფიქსიანი) ვარიანტის პარალელურად გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

- სუფიქს-თანდებულების წინ: **წყარო-ს(ა)-თვის**, **წყარო-ს(ა)-კენ**, **წყარო-ს(ა)-გან**...

- **და // თუ** კავშირების წინ, როდესაც კავშირის შემდეგ ისევ ნათესაობითის ფორმაა გამოყენებული: **წყარო-ს(ა)** და მდინარის წყლები.

3. **სი** ალომორფი გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც ნათესაობითი ბრუნვის ფორმა პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით არის გამოყენებული: წყალი **წყარო-სი**;

- როდესაც ნათესაობითი ბრუნვის ფორმა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია: **წყარო-სი-ა**;

- ზმნურ შესიტყვებებში **ეშინია** ტიპის ზმნებთან: **წყარო-სი** ეშინია;

- სუფიქს-ნაწილაკების წინ: **წყარო-სი-ც**, **წყარო-სი-ვე**, **წყარო-სი-და**;

• სხვათა სიტყვის ნაწილაკების წინ: წყარო-**სი**-ო, წყარო-**სი**-მეთქი, წყარო-**სი**-თქო...

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, **სი** ალომორფის პო-ზიციები განსხვავდება **ს** და **სა** ალომორფთა პოზიციებისაგან. ისინი ერთმანეთს არ ჩაენაცვლება. წყაროსათვის (დაუშვებელია *წყაროსი-თვის*), წყაროსაკენ (დაუშვებელია *წყაროსიკენ*)... წყაროსია (დაუშვებელია *წყაროსაა* – ნათესაობითის მნიშვნელობით) და ა. შ. ამასთან, როგორც ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშებიდან ჩანს, **ა**-სავრცობიანი ფორმების პარალელურად ხშირ შემთხვევაში დასტურდება გაუვრცობელი ფორმებიც: წყარო-**სა**-თვის / წყარო-**ს**-თვის, წყარო-**სა**-კენ / წყარო-**ს**-კენ და ა. შ., ხოლო **სი**-დაბოლოებიან ფორმებს პარალელური გაუვრცობელი (**ს**-ნიშნის) ვარიანტები არცერთ პოზიციაში არა აქვთ. დაუშვებელია: წყალი წყაროს... წყაროს-ც, წყაროს-ვე, წყაროს-ლა, წყაროს-ო (სამი უკანასკნელი მაგალითი მიცემითი ბრუნვის ფორმა)...

წარმოდგენილი დისტრიბუციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არის ტენდენცია **სი** იქცეს ისეთივე დაუშლელ ელემენტად, როგორიც არის **თი** მოქმედებით ბრუნვაში. დღევანდელი მონაცემების მიხედვით კი **ი** ასრულებს სავრცობის ფუნქციას ისევე, როგორც **ა** ხმოვანი.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი და სავრცობი ხმოვნები (**ა**, **ი**) ბრუნების პარადიგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს თანამიმდევრულად: თუ პარადიგმა სავრცობის გარეშეა მოცემული, მაშინ არცერთი ხმოვანი არ უნდა იყოს ასახული, ხოლო თუ სავრცობიან ვარიანტებს წარმოვადგენთ, მაშინ ორივე ხმოვანი უნდა იყოს მოცემული პარადიგმაში. სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმები. განვიხილავთ განსხვავებულ ვარიანტებს.

ა. შანიძე

სახ.	წყარო
მოთხ.	წყარო- მ , - მა
მიც.	წყარო- ს (ა)
ნათ.	წყარო- ს (ა)
მოქ.	წყარო- თი
ვით.	წყარო- დ (ა)

წოდ. წყარო-3
(წყარო)

ამ პარადიგმაში ზუსტად არის ასახული ა. შანიძის პოზიცია: ავტორს **o** ხმოვანი მიაჩნია სახელობითი ბრუნვის ნიშნად, ამიტომ ნათესაობითში მხოლოდ **ს**-ნიშნიანი ფორმა (წყაროს) და მისი გავრცობილი ვარიანტი (წყაროსა) არის წარმოდგენილი.

არნ. ჩიქობავა

სახ. წყარო
მოთხრ. წყარო-მ
მიც. წყარო-ს-ა
მიმართ. წყარო-დ-ა
ნათ. წყარო-ს-ი
მოქმ. წყარო-თ-ი

ამ პარადიგმაში ნათესაობითში მხოლოდ **o**-სავრცობიანი ფორმაა დასახელებული, **ა**-სავრცობიანი ვარიანტი კი – არა. ჩვენი აზრით, რადგან მიცემით და ვითარებით ბრუნვებში წარმოდგენილია **ა**-დართული ფორმები (წყარო-ს-ა, წყარო-დ-ა), იმავე პარადიგმაში ნათესაობითის **ა**-სავრცობიანი ფორმაც უნდა იყოს ასახული.

ქ. ფეიქრიშვილი

სახ. წყარო
მოთ. წყარო-მ
მიც. წყარო-ს
ნათ. წყარო-ს(ი)
მოქ. წყარო-თ(ი)
ვით. წყარო-დ
წოდ. წყარო-ვ

ა. არაბული

სახ. წყარო
მოთ. წყარო-მ
მიც. წყარო-ს
ნათ. წყარო-ს(ი)

მოქ.	წყარო-თი
ვით.	წყარო-დ
წოდ.	წყარო-ვ

ჟ. ფეიქრიშვილისა და ა. არაბულის პარადიგმებში გავრცობილი ფორმა მოცემულია მხოლოდ ნათესაობით ბრუნვაში. დანარჩენ ბრუნვებში სავრცობიანი ვარიანტები არ არის წარმოდგენილი. ვფიქრობთ, ერთგვარობისთვის სავრცობი არცერთ ბრუნვაში არ უნდა იყოს დასახელებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფეიქრიშვილის პარადიგმის მოქმედებით ბრუნვაში წარმოდგენილი **წყაროთ(ი)** ვარიანტი გამართლებულად არ მიგვაჩნია. უნდა იყოს **წყარო-თი**.

ჩვენი აზრით, თუ სავრცობიანი ფორმები იქნება დასახელებული პარადიგმაში, მაშინ ნათესაობითი ბრუნვა ასე უნდა აღიწეროს: ნათ. წყარო-ს (ა /ი). სრული პარადიგმა კი ამგვარად იქნება წარმოდგენილი:

სახ.	წყარო
მოთხ.	წყარო-მ(ა)
მიც.	წყარო-ს(ა)
ნათ.	წყარო-ს(ა /ი)
მოქმ.	წყარო-თი
ვით.	წყარო-დ(ა)
წოდ.	წყარო(ვ)

თუ გავრცობილი ფორმები არ აისახება, მაშინ პარადიგმა ამგვარ სახეს მიიღებს:

სახ.	წყარო
მოთხ.	წყარო-მ
მიც.	წყარო-ს
ნათ.	წყარო-ს
მოქმ.	წყარო-თი
ვით.	წყარო-დ
წოდ.	წყარო(ვ)

ლიტერატურა

არაბული 2016 – ა. არაბული, ახალი ქართული ენა. წიგნი I, სალიტერატურო ენის მორფოლოგია. თბილისი.

ნოზაძე 1990 – ლ. ნოზაძე, ემფატიკური **o** ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXIX, თბილისი.

უთურგაძე 1986 – თ. უთურგაძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი.

ფეიქრიშვილი 2018 – ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბილისი.

ჩიქობავა 1956 – არნ. ჩიქობავა, ფუძეუკვცეველ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი.

Ketevan Datukishvili

On the Representation of Genitive Forms of Nouns with IrreducibleStems in the Declension Paradigm (Based on the Material of Contemporary Literary Georgian Language)

Summary

The given paper focuses on the distribution of allomorphs of the genitive case of nouns with irreducible stems in the contemporary literary Georgian language. Numerous scholars have analyzed this issue. It should be noted that, unlike dialects, in the literary Georgian, the endings **sa** and **si** have different distributions. We will present those positions in which we find three variants of the genitive case of nouns with irreducible stems: unexpanded, expanded by means of the vowel **a**, and expanded by means of the vowel **i**: *cqaros*, *cqarosa*, *cqarosi*.

The positions of the allomorph **si** differ from the positions of the allomorphs **s** and **sa**. They do not replace one another. *çqarosatvis* (it is impossible to say *çqarositvis*), წყაროსაკენ *çqarosaken* (it is impossible to say *çqarosiken*)... *çqarosia* (it is impossible to say *çqarosaa* – in the meaning of genitive) and so on. Besides, as we have seen in the examples above, parallel to the forms with the expansion **a**, unexpanded forms are also frequent: *çqaro-sa-tvis* / *çqaro-s-tvis* (for the spring), *çqaro-sa-ken* / *çqaro-s-ken* (towards the spring) etc. However, the forms ending in **si** do not have parallel unexpanded forms (with the marker **s**) in any position. The following forms are inadmissible: *çqali çqaros*, *çqaros-c*, *çqaros-ve*, *çqaros-ya*, *çqaros-o* (the last three examples are forms of the dative case)...

Based on the distribution presented above, we can observe the tendency of contemporary literary Georgian to transform **bo** into an indivisible element like the instrumental case marker **oo**. Currently, **i** performs the function of an expansion, similar to the vowel **a**.

The genitive case marker and the expansion vowels (a, i) should be presented in the declension paradigm subsequently: if the paradigm is given without the expansion, neither of the vowels should be represented, but if we present expanded versions, both vowels should be reflected in the paradigm.

If the expanded forms are given in the paradigm, the genitive case should be described as follows: gen. *çqaro-s* (a /i). The entire paradigm will be presented as follows:

nominative	çqaro
ergative	çqaro-m(a)
dative	çqaro-s(a)
genitive	çqaro-s(a/i)
instrumental	çqaro-ti
adverbial	çqaro-d(a)
vocative	çqaro(v)

If the expanded forms are not reflected, the paradigm will have the following form:

nominative	çqaro
ergative	çqaro-m
dative	çqaro-s
genitive	çqaro-s
instrumental	çqaro-ti
adverbial	çqaro-d
vocative	çqaro(v)

ემფატიკური ხმოვანი „და“ კავშირით შეერთებულ ფუძეუპყვეცელ სახელებთან

წინამდებარე სტატია შეეხება ერთ კონკრეტულ საკითხს – ემფატიკური ხმოვნის გამოყენებას **და** კავშირის წინ მდგომ ფუძეუპყვეცელ სახელთან ნათ. ბრუნვაში. თანამედროვე ქართულის მონაცემები ამ თვალსაზრისით არაერთგვაროვანია – სავრცობად დასტურდება როგორც **ა**, ისე **ი** ხმოვანი, უფრო ხშირად – **ა**. მრავლად გვაქვს უსავრცობო ვარიანტებიც, მაგალითად: **ქეთოს** და კოტეს პირველი კოცნა; ლამაზი **გოგოსა** და ბიჭის ზღაპარი; ცივი **წყაროსა** და მდინარის წყალი; **ილიას** და აკაკის ლექსები; **ილიასა** და ვაჟას შემოქმედება; დიდი მწერლების – **გამსახურდიასა** და ჯავახიშვილის რომანები; მამა-შვილის – **კონსტანტინესი** და ზვიადის დამსახურება; **საქართველოს** და აზერბაიჯანის ხელშეკრულება; საკითხი **სამაჩაბლოსი** და აფხაზეთისა; დების – **ნინოსი** და ეკატერინეს სილამაზე; ძმების – **ზაქარიასა** და გრიგოლის განათლება; **ოქროსა** და ვერცხლის ნივთები; და-ძმა – **ელენესა** და ლევანის ბიბლიოთეკა; მეგობრების – **დემეტრესა** და ნიკოლოზის წერილი და მისთ.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თანამედროვე ქართულში ემფატიკურხმოვნიანი ფორმები ნაკლებად გამოიყენება. სავრცობიანი და უსავრცობო ვარიანტები დღეს ფაქტობრივად სტილებრივ მიზნებს ემსახურება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბრუნვის ნიშანთა გავრცობა გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელია, მაგალითად: **ც(ა)** ნაწილაკის დართვისას (ბავშვსაც, სამშობლოსაც, მეგობრისაც, ლექსებითაც...); მიც. ბრუნვაში **ვით** თანდებულის თანხლები-სას (დედასავით, მზესავით, დღესავით...); **და** კავშირის წინ (**დიდსა** და პატარას, **მთისა** და ბარის, **მზისა** და მთვარის...); თანიათი მრავლობითის ნათ. ბრუნვის ფუნქციით გამოყენებისას მყარ გამოთქმებში (**მეცნიერებათა** აკადემია, **ხელნაწერთა** ეროვნული ცენტრი...); ნათესაობითი დასმულ მსაზღვრელთან, თუ იგი მოსდევს საზღვრულ სახელს (სახლი **აგურისა**, ლექსი **ზარათაშვილისა**, პოემა **ვაჟასი**...).

ზემოჩამოთვლილ შემთხვევათაგან უსავრცობო ვარიანტები (სავრცობიანის პარალელურად) გვხვდება მხოლოდ **და** კავშირის წინ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით არაერთგვაროვანია თანამედროვე ქართულის მონაცემები მაშინ, როცა **და** კავშირით შეერთებულ ერთგვარ წევრთა პირველი კომპონენტი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ფუძეუკვეცელი სახელია. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ შემთხვევებზე გამახვილდება ყურადღება (თუკი ენის მომხმარებელი სტილებრივად უპირატესობას მიანიჭებს ემფატიკურხმოვნიან ვარიანტს), მაშასადამე, **სამაჩაბლოსა** და აფხაზეთის საკითხი თუ **სამაჩალოსი** და აფხაზეთის საკითხი? საკითხი **სამაჩაბლოსა** და აფხაზეთისა თუ საკითხი **სამაჩაბლოსი** და აფხაზეთისა? **წყაროსა** და მდინარის წყალი თუ **წყაროსი** და მდინარის წყალი? წყალი **წყაროსა** და მდინარისა თუ წყალი **წყაროსი** და მდინარისა?

აღსანიშნავია, რომ **და** კავშირის წინ ემფატიკური ხმოვნის გამოყენება (იქნება ეს **ა** თუ **ო**) დღეს (როგორც ზემოთ ითქვა) უკვე ენის მომხმარებლისა თუ მწერლის სტილს უკავშირდება, მაგრამ რაკი სავრცობიანი ვარიანტები მაინც მრავლად გვაქვს (და ზოგჯერ ემფატიკური ხმოვნის გამოყენება აუცილებელიც არის გარკვეული სტილებრივი საჭიროების გამო), პასუხი უნდა გაეცეს ზემოთ დასმულ შეკითხვებს.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თანამედროვე ქართულში **ო**-სა და **ა**-ს დისტრიბუცია ფაქტობრივად ერთმანეთს ემთხვევა. **ო**, ჩვეულებრივ, დასტურდება იმ პოზიციებში, რომლებშიც შეიძლება შეგვხვდეს ემფატიკური **ა**-ც, მაგრამ **ო** ხმოვნის რეალიზაციის პირობები (**ა**-სთან შედარებით) მაინც შეზღუდულია. იგი არ დაჩნდება **ა**-სთვის დამახასიათებელ ყველა პოზიციაში.

ა. შანიძე ნათ. ბრუნვის **-სი** დაბოლოებას რთულ სუფიქსად მიიჩნევს. მისი აზრით, **-ს** საკუთრივ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო **-ო** – სახელობითის ფორმანტი. ეს თვალსაზრისი არგუმენტირებულია იმით, რომ მარტივი ფორმა ნათ. ბრუნვისა იგუებს თანდებულს (კაცის 'ა'თვის...), **ო** ხმოვნით წარმოდგენილთან კი თანდებული არ იხმარება, არ ითქმის შოთასი-თვის, პეტრესი-თვის და მისთ.

გ. თოფურიას ვარაუდით, **-სი** დაბოლოება ფუძეუკვეცელ **რკოსი**, **ხბოსი**, **ბუხი**... ტიპის ფორმებში არ არის ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსი. იგი შედგენილია ნათესაობითის **-ს** და სახელობითის **-ო**

ფორმანტისაგან. **კალსი, ერბოსი, ყრუსი...** ნანათესაობითარი სახელობითის ფორმებია ისევე, როგორც **თავისი, სხვისი, ვისი**.

აღნიშნულ საკითხს ეძღვნება არნ. ჩიქობავას ნაშრომი „სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში“, რომელშიც დადგენილია ნათ. ბრუნვის **-სი** და მოქმედებითის **-თი** ალომორფთა ევოლუცია ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე; გარკვეულია, რომ დასახელებული ალომორფები ისტორიულად წარმოქმნილია ფუძეუკვეცელ სახელთა ნათ. და მოქმ. ბრუნვებში დადასტურებული **-ისა** და **-ითა** ალომორფებისაგან, კერძოდ, დიფთონგების გამარტივების ტენდენციისა და ემფატიკური **ა**-ს **ი** ელემენტით შეცვლის შედეგად. მაშასადამე, არნ. ჩიქობავა ფუძეუკვეცელ სახელთა **ი** დაბოლოებას ნათ. და მოქმ. ბრუნვის ფორმებში (წყაროსი, წყაროთი...) ემფატიკური **ა** ხმოვნის ტოლფარდ ოდენობად მიიჩნევს (ფუნქციის მიხედვით) და აღნიშნავს, რომ **ი** დასახელებულ შემთხვევებში ჩნდება ერთდროულად და ერთსა და იმავე პირობებში. ორივე შემთხვევაში **ი**-ს უჭირავს ის ადგილი, რომელიც ემფატიკურ **ა**-ს ეკავა.

თ. უთურგაიძის აზრით, **-სი** და **-თი** განუყოფელი ბრუნვის ნიშნებია. **ი** დაბოლოება ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელების ნათ. და მოქმ. ბრუნვებში (ოქროსი, ოქროთი...) წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშანია (როგორც ვარაუდობენ ა. შანიძე და ვ. თოფურია), მაგრამ ფუნქციით ემფატიკური **ა**-ს ტოლფარდია (როგორც არნ. ჩიქობავა მიიჩნევს).

ლ. ნოზაძე აღნიშნავს, რომ ემფატიკური **ა**-ს შეცვლა **ი** ელემენტით „წარმოქმნილი უნდა იყოს საშუალ ქართულში დიფთონგების მოშლის ტენდენციის შედეგად – ფუძეუკვეცელ სახელთა ბრუნვის სისტემაში ჩამოყალიბებულ ომონიმურ ფორმათა გასამიჯნად“.

წინამდებარე სტატიაში (დასახელებული ტიპის შესიტყვებათა ანალიზისას) **ი** ფორმანტი ემფატიკური ხმოვნისა თუ სავრცობის (მავრცობის) სტატუსით განიხილება.

რაკი საკითხი ნათ. ბრუნვის ფუძეუკვეცელ სახელთა ემფატიკურ ხმოვანს შეეხება (კერძოდ, **და** კავშირის წინ მდგომ წევრთან სავრცობის გამოყენების პრობლემას), ბუნებრივია, ძირითადად განსახილველი იქნება ორი შემთხვევა: ა) როცა **და** კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები საზღვრულებია (ლამაზი გოგო და ბიჭი: ნათ. ლამაზი **გოგოს(ა)** და ბიჭის თუ ლამაზი **გოგოს(ი)** და ბიჭის? მწერლები გამსახურდია და ჯავახიშვილი: ნათ. მწერლების – **გამსახურდიას(ა)**

და ჯავახიშვილის თუ მწერლების – **გამსახურდიას(ი)** და ჯავახიშვილის? მამა-შვილი კონსტანტინე და ზვიადი: ნათ. მამა-შვილის – **კონსტანტინეს(ი)** და ზვიადის თუ მამა-შვილის – **კონსტანტინეს(ა)** და ზვიადის?) და ბ) როდესაც **და** კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები სუბსტანტიური მსაზღვრელება – პრეპოზიციური ან პოსტპოზიციური წყობისა (**სამაჩაბლოს(ა)** და აფხაზეთის საკითხი თუ **სამაჩაბლოს(ი)** და აფხაზეთის საკითხი? საკითხი **სამაჩაბლოს(ა)** და აფხაზეთის(ა) თუ საკითხი **სამაჩაბლოს(ი)** და აფხაზეთის(ა)?).

დასახელებული ტიპის შესიტყვებათა ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ორი დებულება: ერთი მხრივ, ცნობილია, რომ **და** კავშირის წინ მდგომი სახელი **ა** ხმოვნით უნდა განივრცოს (**დედისა** და მამის, **დედითა** და მამით...), ხოლო – მეორე მხრივ, აღნიშნულია (სამეცნიერო ლიტერატურაში), რომ ნათ. ბრუნვაში დასმული პოსტპოზიციური ფუძეუკვეცელი მსაზღვრელის გავრცობა აუცილებელია **ი** ფორმანტით (წყალი **წყაროსი**, ბეჭედი **ოქროსი...**), მაგრამ – როცა ამ უკანასკნელს (წყალი **წყაროსი**) მეორე მსაზღვრელიც მოჰყვება (**და** კავშირით შეერთებული), პირველ ფუძეუკვეცელ მსაზღვრელთან სავრცობად **ი** გვექნება თუ **ა**? ცნობილია ისიც, რომ პოსტპოზიციური (ნანათესაობითარი) მსაზღვრელის პირობებში **ა**-ც და **ი**-ც ხმავს კონსტრუქციას (სახლი **ხისა**, წყალი **წყაროსი...**), თუმცა თვალშისაცემია ერთი გარემოება: **და** კავშირის წინა პოზიციაში **ა** და **ი** ხმოვნები ერთმანეთს უპირისპირდება (ამ თვალსაზრისით): **ი** ფორმანტი აქაც (**და**-ს წინ) საპაუზო პოზიციას ქმნის (საკითხი **სამაჩაბლოსი** და აფხაზეთისა...), **ა** კი, პირიქით, სწორედ იმას წარმოაჩენს, რომ **და** კავშირით შეერთებული სახელები ერთგვარი წევრებია (საკითხი **სამაჩაბლოსა** და აფხაზეთის...). ამკარაა, რომ სწორედ **და** კავშირი განაპირობებს თავის წინ მდგომ ფუძეუკვეცელ სახელთან სავრცობად **ა** ხმოვნის გამოყენებას, რაც გვაფიქრებინებს, რომ დასახელებული ტიპის შემთხვევებში **ი** სავრცობის პარალელურად დაშვებულ უნდა იქნეს **ა**-ც.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული ტიპის შემთხვევებში ომონიმის პრობლემაც აღარ დგება (ფუძეუკვეცელ სახელთა მიც. და ნათ. ბრუნვებში). როგორც ჩანს, ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი **და**-ს წინ მდგომ ფუძეუკვეცელ სახელთან **ა**-ს გამოყენებას; რაკი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფუძეუკვეცელი წევრი (**და** კავშირის წინ

მდგომი) აღარ საჭიროებს **ი** ხმოვანს მიც. და ნათ. ბრუნვათა განსას-
ხვავებლად. ეს **და**-ს მომდევნო წევრითაც აშკარაა – მაშინაც კი, როცა
მეორე წევრიც ფუძეუკვეცელი სახელით არის წარმოდგენილი (რო-
მელიც **და**-ს მომდევნო პოზიციაში ყოველთვის **ი** ხმოვნით წარმო-
დგება): საკითხი **სამაჩაბლოსა** და აფხაზეთის, შდრ.: ნივთები **ოქროსა**
და **ბრინჯაოსი**, წყალი **წყაროსა** და **რუსი**...

* * *

ლამაზი გოგო და **ბიჭი** ტიპის შესიტყვებებში (როცა **და** კავში-
რით შეერთებული სახელები საზღვრულებია) პირველ (ფუძეუკვე-
ცელ) კომპონენტთან (**და**-ს წინ მდგომთან) სავრცობად დაშვებულ
უნდა იქნეს **ა**-ც. ეს წესი გამართლებულია როგორც ქართული ენის
გრამატიკული სისტემის, ისე ერთგვაროვნობის პრინციპის თვალ-
საზრისით – შესაბამისად, დაცულია ტრადიციაც: **მეგობრისა** და მე-
ზობლის, **დედისა** და მამის, **მზისა** და მთვარის, შდრ.: **ლამაზი გოგო-**
ს(ი/ა) და **ბიჭის**, ცივი **წყაროს(ი/ა)** და მდინარის, პატარა **საქართველო-**
ს(ი/ა) და აზერბაიჯანის...

სახ.	ლამაზ-ი გოგო და ბიჭ-ი
მოთხრ.	ლამაზ-მა გოგო-მ და ბიჭ-მა
მიც.	ლამაზ გოგო-ს(ა) და ბიჭ-ს
ნათ.	ლამაზ-ი გოგო-ს(ი/ა) და ბიჭ-ის
მოქმ.	ლამაზ-ი გოგო-თი და ბიჭ-ით
ვით.	ლამაზ გოგო-დ და ბიჭ-ად
წოდ.	ლამაზ-ო გოგო-ვ და ბიჭ-ო

სახ.	ოკუპირებულ-ი სამაჩაბლო და აფხაზეთ-ი
მოთხრ.	ოკუპირებულ-მა სამაჩაბლო-მ და აფხაზეთ-მა
მიც.	ოკუპირებულ სამაჩაბლო-ს(ა) და აფხაზეთ-ს
ნათ.	ოკუპირებულ-ი სამაჩაბლო-ს(ი/ა) და აფხაზეთ-ის
მოქმ.	ოკუპირებულ-ი სამაჩაბლო-თი და აფხაზეთ-ით
ვით.	ოკუპირებულ სამაჩაბლო-დ და აფხაზეთ-ად
წოდ.	ოკუპირებულ-ო სამაჩაბლო-ვ და აფხაზეთ-ო

როცა დასახელებული ტიპის შესიტყვებებში მეორე (და კავშირის მომდევნო) წევრია ფუძეუკვცელო, მასთან ნათ. ბრუნვაში სავრცობად **ი** გვექნება და მისი გამოყენება აუცილებელია, თუკი ამ შესიტყვებით უნდა დასრულდეს (ჩაიკეტოს) წინადადება ან – მისი ერთი ნაწილი.

სახ.	ოკუპირებულ-ი აფხაზეთ-ი და სამაჩაბლო
მოთხრ.	ოკუპირებულ-მა აფხაზეთ-მა და სამაჩაბლო-მ
მიც.	ოკუპირებულ აფხაზეთ-ს(ა) და სამაჩაბლო-ს
ნათ.	ოკუპირებულ-ი აფხაზეთ-ის(ა) და სამაჩაბლო-ს-ი
მოქმ.	ოკუპირებულ-ი აფხაზეთ-ით(ა) და სამაჩაბლო-თი
ვით.	ოკუპირებულ აფხაზეთ-ად და სამაჩაბლო-დ
წოდ.	ოკუპირებულ-ო აფხაზეთ-ო და სამაჩაბლო-ვ

ანალოგიური ვითარება გვექნება ემფატიკური ხმოვნის გამოყენების თვალსაზრისით მაშინაც, როცა **და** კავშირით შეერთებული ორი ერთგვარი წევრის მსაზღვრელად დასტურდება დანართი, **და** კავშირის წინ მდგომი კომპონენტი კი ფუძეუკვცელო სახელია: მწერლები **გამსახურდია** და ჯავახიშვილი, ქალბატონები **ღია** და მარიამი, ბატონები **ერეკლე** და ვახტანგი, მამა-შვილი **კონსტანტინე** და ზვიადი და მისთ.

სახ.	მწერლ-ებ-ი გამსახურდია და ჯავახიშვილ-ი //
	მწერლ-ებ-ი – გამსახურდია და ჯავახიშვილ-ი
მოთხრ.	მწერლ-ებ-მა გამსახურდია-მ და ჯავახიშვილ-მა //
	მწერლ-ებ-მა – გამსახურდია-მ და ჯავახიშვილ-მა
მიც.	მწერლ-ებ-ს – გამსახურდია-ს(ა) და ჯავახიშვილ-ს
ნათ.	მწერლ-ებ-ის – გამსახურდია-ს(ი/ა) და ჯავახიშვილ-ის
მოქმ.	მწერლ-ებ-ით – გამსახურდია-თი და ჯავახიშვილ-ით
ვით.	მწერლ-ებ-ად – გამსახურდია-დ და ჯავახიშვილ-ად
წოდ.	მწერლ-ებ-ო გამსახურდია და ჯავახიშვილ-ო //
	მწერლ-ებ-ო – გამსახურდია და ჯავახიშვილ-ო

სახ.	ქალბატონ-ებ-ი ღია და მარიამ-ი //
	ქალბატონ-ებ-ი – ღია და მარიამ-ი
მოთხრ.	ქალბატონ-ებ-მა ღია-მ და მარიამ-მა //
	ქალბატონ-ებ-მა – ღია-მ და მარიამ-მა
მიც.	ქალბატონ-ებ-ს – ღია-ს(ა) და მარიამ-ს
ნათ.	ქალბატონ-ებ-ის – ღია-ს(ი/ა) და მარიამ-ის
მოქმ.	ქალბატონ-ებ-ით – ღია-თი და მარიამ-ით
ვით.	ქალბატონ-ებ-ად – ღია-დ და მარიამ-ად
წოდ.	ქალბატონ-ებ-ო ღია და მარიამ //
	ქალბატონ-ებ-ო – ღია და მარიამ

როცა **და** კავშირის მომდევნო წევრია ფუძეუკვეცელი (დასახე-
 ლუბული ტიპის შემთხვევებში), მასთან ემფატიკურ ხმოვნად გვექნე-
 ბა **ო** (თუკი წარმოდგენილი წინადადებით იკეტება კონსტრუქცია ან
 – მისი ერთი ნაწილი).

სახ.	მწერლ-ებ-ი ჯავახიშვილ-ი და გამსახურდია //
	მწერლ-ებ-ი – ჯავახიშვილ-ი და გამსახურდია
მოთხრ.	მწერლ-ებ-მა ჯავახიშვილ-მა და გამსახურდია-მ //
	მწერლ-ებ-მა – ჯავახიშვილ-მა და გამსახურდია-მ
მიც.	მწერლ-ებ-ს – ჯავახიშვილ-ს(ა) და გამსახურდია-ს
ნათ.	მწერლ-ებ-ის – ჯავახიშვილ-ის(ა) და გამსახურდია-ს-ი
მოქმ.	მწერლ-ებ-ით – ჯავახიშვილ-ით(ა) და გამსახურდია-თი
ვით.	მწერლ-ებ-ად – ჯავახიშვილ-ად და გამსახურდია-დ
წოდ.	მწერლ-ებ-ო ჯავახიშვილ-ო და გამსახურდია //
	მწერლ-ებ-ო – ჯავახიშვილ-ო და გამსახურდია

სახ.	ქალბატონ-ებ-ი მარიამ-ი და ღია //
	ქალბატონ-ებ-ი – მარიამ-ი და ღია
მოთხრ.	ქალბატონ-ებ-მა მარიამ-მა და ღია-მ //
	ქალბატონ-ებ-მა – მარიამ-მა და ღია-მ
მიც.	ქალბატონ-ებ-ს – მარიამ-ს(ა) და ღია-ს
ნათ.	ქალბატონ-ებ-ის – მარიამ-ის(ა) და ღია-ს-ი

მოქმ. ქალბატონ-ებ-ით – მარიამ-ით(ა) და ლია-თი
 ვით. ქალბატონ-ებ-ად – მარიამ-ად და ლია-დ
 წოდ. ქალბატონ-ებ-ო მარიამ და ლია //
 ქალბატონ-ებ-ო – მარიამ და ლია

შენიშვნა 1: თუ დასახელებული ტიპის შემთხვევებში **და** კავშირით შეერთებული ორივე წევრი ფუძეუკვეცელია, მეორე კომპონენტთან სავრცობად, ბუნებრივია, **ო** დაჩნდება: მწერლების – გოთუას(ი/ა) და **გამსახურდაისი**. ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა გვარებს სახელებიც ახლავს: მწერლების – ლევან გოთუას(ი/ა) და კონსტანტინე **გამსახურდაისი**.

შენიშვნა 2: ზემოთ მოყვანილ პარადიგმებში სახ., მოთხრ. და წოდ. ბრუნვები ორ-ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი (განუკერძოებელი და განკერძოებული დანართით). ცნობილია, რომ ფუძეგაფორმებული დანართი დასახელებულ ბრუნვებში (თანამედროვე ქართულის მონაცემთა მიხედვით) ჩვეულებრივი მოვლენაა, მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპობრივი შესიტყვებაა და ის განკერძოებას არ საჭიროებს (შდრ. სახ. ბატონი ზურაბი, მოთხრ. ბატონმა ზურაბმა, წოდ. ბატონო ზურაბ), თუმცა, ენის მომხმარებლის პოზიციის გათვალისწინებით, დანართის განკერძოება ვერც ამ ბრუნვებში აიკრძალება (ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიაზრებს მთქმელი მსაზღვრელს – პაუზით თუ უპაუზოდ), ხოლო როცა დანართი სრულად ფორმდება შესაბამისი ნიშნებით მიც., ნათ., მოქმ. და ვით. ბრუნვებში, ის (მსაზღვრელი დანართი) ყოველთვის ტირეთი (ან მძიმით) ემიჯნება თავის საზღვრულებს, შდრ.: პროფესორ შანიძის და პროფესორის – შანიძის და მისთ. ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა დანართი ორ საზღვრულს (**და**-თი შეერთებულს) უკავშირდება.

* * *

ყველაზე ხშირად ნათ. ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ერთგვარი წევრები წინადადებაში სუბსტანტიური მსაზღვრელების ფუნქციას ასრულებენ. თუ ასეთ შემთხვევაში **და**-ს წინ მდგომი წევრი ფუძეუკვეცელი სახელია, მასთან სავრცობად **ა** გვექნება ყველა ბრუნვაში, ხოლო უშუალოდ საზღვრულის წინ მდგომი სუბსტანტიური მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, უსავრცობო იქნება (მნიშვნელობა არა აქვს – ფუძეთანხმოვნია სახელი თუ ფუძეხმოვნია). დასახელებული

ბული ტიპის შესიტყვებებში და კავშირით შეერთებული ორივე მსაზღვრელი ნათ. ბრუნვის ფორმით არის მართული მთელი პარადიგმის მიხედვით, სახელობითიდან – წოდებითის ჩათვლით.

ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, რომ სუბსტანტიური განსაზღვრება, რომელიც უშუალოდ უძღვის საზღვრულს, მართულია ნათესაობითში. საზღვრულის ბრუნვისას იგი არ იცვლება და, ჩვეულებრივ, გაუვრცობელია (ხის სახლი...), ხოლო სუბსტანტიური განსაზღვრება, რომელიც მოსდევს საზღვრულს, ამ უკანასკნელს ეთანხმება მოთხოვითსა და მიცემითში, ხშირად წოდებითშიც (ე. ი. მართულ-შეთანხმებულია). სახელობითსა და ვითარებითში ის გავრცობილი ფორმით შეეწყობა საზღვრულს, ნათესაობითსა და მოქმედებითში კი ასეთი წყობა არ გამოიყენება: სახ. „მოვიდა შუაგული **შემოდგომისა**“ (ილია); მოთხრ. „დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ ოთარაანთ **ქვრივისამ**“ (ილია); მიც. „ბალახმა ცხვარი ამოიტყუა და მეც ამოვყევ ფარასა **ცხვრისას**“ (ილია)... ვით. „და წყარო იგი წყაროდ **შეებისა** სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი“ (ილია); წოდ. „მგოსანო **საქართველოსაგ**, წამოიხედე ზეზედა“ (ვაჟა).

და კავშირით შეერთებული სუბსტანტიური მსაზღვრელები პრეპოზიციურია:

სახ. საქართველო-ს(ა) და აზერბაიჯან-ის ხელშეკრულება
მოთხრ. საქართველო-ს(ა) და აზერბაიჯან-ის ხელშეკრულება-მ
მიც. საქართველო-ს(ა) და აზერბაიჯან-ის ხელშეკრულება-ს
ნათ. საქართველო-ს(ა) და აზერბაიჯან-ის ხელშეკრულებ-ის
მოქმ. საქართველო-ს(ა) და აზერბაიჯან-ის ხელშეკრულებ-ით
ვით. საქართველო-ს(ა) და აზერბაიჯან-ის ხელშეკრულებ-ად
წოდ. (საქართველო-ს(ა) და აზერბაიჯან-ის ხელშეკრულება-ვ)

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „საზღვრულის შემდეგ ნანათესაობითარი მსაზღვრელის ხმარების შემთხვევები თანამედროვე ქართულში შედარებით იშვიათია და გამართლებულია მხოლოდ სტილისტიკური და, იშვიათად, სინტაქსური საჭიროებით... შედარებით აქტუალურია მხოლოდ სახელობითი ბრუნვის

ფორმები: დადგმა **ა. ვასაძისა**, დადგმა **ა. ხორავასი**, თარგმანი გერონტი **ქიქოძისა**, თარგმანი კონსტანტინე **გამსახურდიასი**...“ [ნორმები 1970: 138], მაგრამ რა ვითარება გვექნება (ემფატიკური ხმოვნის თვალსაზრისით) მაშინ, როცა საზღვრულს **და** კავშირით შეერთებული ორი ინვერსიული მსაზღვრელი (სუბსტანტიური) უკავშირდება და ამათგან პირველი ფუძეუკვეცელია: რომანები კონსტანტინე **გამსახურდიასი** და მიხეილ ჯავახიშვილისა თუ რომანები კონსტანტინე **გამსახურდიასა** და მიხეილ ჯავახიშვილისა?

ამ შემთხვევაშიც ისევ და ისევ **და** კავშირის თანხლება გვაპარაუდებინებს, რომ პირველ ფუძეუკვეცელ (პოსტპოზიციურ) მსაზღვრელთან **ო**-ს პარალელურად **ა**-ც დასაშვებია: რომანები კონსტანტინე **გამსახურდიას(ო/ა)** და მიხეილ ჯავახიშვილის(ა); კოვზები **ოქროს(ო/ა)** და ვერცხლის(ა), წყალი **წყაროს(ო/ა)** და მდინარის(ა) და მისთ.

თუ **და** კავშირის მომდევნო სუბსტანტიური მსაზღვრელია ფუძეხმოვნისანი (ინვერსიული მსაზღვრელის პირობებში), მასთან სავრცობად **ო** გვექნება და მისი გამოყენება აუცილებელია. ასეთ შემთხვევებში კონსტრუქცია (ან მისი ერთი ნაწილი) იკეტება: რომანები მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე **გამსახურდიასი**; კოვზები ვერცხლისა და **ოქროსი**; წყალი მდინარისა და **წყაროსი**; ხელშეკრულება აზერბაიჯანისა და **საქართველოსი** და მისთ.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: თუ დასახელებული ტიპის შემთხვევებში **და** კავშირის ნაცვლად მძიმეს დავსვამთ, პირველ ფუძეუკვეცელ მსაზღვრელთან სავრცობად, ბუნებრივია, **ო** გვექნება (მეორესთანაც – თუკი ისიც ფუძეუკვეცელია), მაგ., წყალი **წყაროსი**, **რუსი**..., ნივთები **ოქროსი**, **ბრინჯაოსი**..., მაგრამ **და** კავშირის თანხლები-სას (როგორც ზემოთ ითქვა) პირველ მსაზღვრელთან ემფატიკურ ხმოვნად **ა** სავრცობიც ბუნებრივია, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს შემდეგს: დასახელებული ტიპის შემთხვევებში **ა** სავრცობის გამოყენებას (**ო**-ს პარალელურად) ყოველთვის **და** კავშირი განაპირობებს (ფუძეთანხმოვნისანი იქნება **და**-ს წინ მდგომი წევრი თუ ფუძეხმოვნისანი – კვეცადი თუ უკვეცელი).

შენიშვნა 3: ემფატიკურ ხმოვანთა გამოყენების თვალსაზრისით ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა **და** კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები უბრალო დამატებებია (**სამაჩაბლოს(ა)** და აფხაზეთის დაბრუნება, შდრ., დაბრუნება **სამაჩაბლოს(ი/ა)** და აფხაზეთის(ა); დაბრუნება აფხაზეთის(ა) და **სამაჩაბლოსი...**).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასახელებული ტიპის შესიტყვებათა თანდებულებით გაფორმებისას (საზღვრულები იქნება **და** კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები თუ სუბსტანტიური მსაზღვრელები) პირველ კომპონენტთან (**და**-ს წინ მდგომთან) სავრცობად ყოველთვის **ა** ხმოვანი გვექნება – ფუძეთანხმოვნიათა სახელი თუ ფუძეხმოვნიათი (კვეცადი თუ უკვეცელი).

ლამაზი **გოგოს(ა)** და ბიჭის(ა)თვის / ბიჭის(ა)კენ / ბიჭის(ა)გან...

ლამაზი **გოგოს(ა)** და ბიჭის შესახებ / გამო / გარდა...

ოკუპირებული **სამაჩაბლოს(ა)** და აფხაზეთის(ა)თვის / აფხაზეთის(ა)კენ / აფხაზეთის(ა)გან...

ოკუპირებული **სამაჩაბლოს(ა)** და აფხაზეთის შესახებ / გამო / გარდა...

მწერლების – **გამსახურდიას(ა)** და ჯავახიშვილის(ა)თვის...

მწერლების – **გამსახურდიას(ა)** და ჯავახიშვილის შესახებ / გამო / გარდა...

ოქროს(ა) და ვერცხლის კოვზების(ა)თვის / კოვზების(ა)გან...

ოქროს(ა) და ვერცხლის კოვზების გამო / გარდა...

სამაჩაბლოს(ა) და აფხაზეთის საკითხის(ა)თვის...

სამაჩაბლოს(ა) და აფხაზეთის საკითხის შესახებ / გამო / გარდა...

ზემოთ წარმოდგენილი წესები გამართლებულია როგორც თანამედროვე ქართული ენის გრამატიკული სისტემისა თუ ტრადიციის, ისე ერთგვაროვნობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით:

წყალი **წყაროსი**, მაგრამ: წყალი **წყაროს(ი/ა)** და მდინარის(ა),

წყალი მდინარის(ა) და **წყაროსი**;

საკითხი **სამაჩაბლოსი**, მაგრამ: საკითხი **სამაჩაბლოს(ი/ა)** და
აფხაზეთის(ა),
საკითხი აფხაზეთის(ა) და
სამაჩაბლოსი;

კოვზები **ოქროსი**, მაგრამ: კოვზები **ოქროს(ი/ა)** და
ვერცხლის(ა),
კოვზები ვერცხლის(ა) და **ოქროსი...**

ლიტერატურა

ზურაბიშვილი 1972 – თ. ზურაბიშვილი, მავრცობი **ა** თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბილისი.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.

თოფურია 1956 – ვ. თოფურია, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებანი, კრებ. „სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, წიგნი I, თბილისი.

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კვაჭაძე 2018 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი.

ნოზაძე 1990 – ლ. ნოზაძე, ემფატიკური ი ქართულში, იკე XXIX, თბილისი.

სარჯველაძე 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

უთურგაძე 1986 – თ. უთურგაძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი.

ჩიქობავა 1998 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი.

ჩიქობავა 1956 – არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, კრებ. „სახელის ბრუნების ისტორიიდან ქართველურ ენებში“, წიგნი I, თბილისი.

Tamar Vashakidze

The Emphatic Vowel with Non-Truncated Nouns Joined by the Conjunction *da* (“And”)

Summary

The paper analyzes the phenomenon of the emphatic vowel in cases where it is attached to the first non-truncated nominal element in the genitive case when two such elements are connected by the conjunction *da* (“and”). The paper advances the proposition that, in constructions of this type, alongside the vowel *i*, the vowel *a* should also be considered permissible. For example: *oḡupirebuli samačablos(i/a) da apxazetis saḡitxi* “the issue of occupied Samachablo and Abkhazia”, *lamazi gogos(i/a) da bičis zyapari* “the tale of a beautiful girl and a boy”, etc. This proposition is substantiated by relevant linguistic arguments.

ორზე მეტი კომპონენტით წარმოდგენილი რთული სიტყვების მართლწერისათვის¹

როგორც ცნობილია, „ენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კომპოზიციური სიტყვაწარმოების შესაძლებლობებითა და კომპოზიტთა აგებულება-შედგენილობით. ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, კომპოზიტს, როგორც თხზული სიტყვაწარმოების პროდუქტს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენის ლექსიკურ სისტემაში“ (ა. არაბული). რთულ სიტყვათა დაწერილობის საკითხი დღემდე აქტუალურია. თანამედროვე ქართულ ენაში, ბეჭდვით მდიასა თუ სოციალურ ქსელებში, მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში – ზოგჯერ ერთი და იგივე კომპოზიტი იწერება ერთადაც, (როგორც ერთი სიტყვა), დეფისითაც და ცალ-ცალკევ.

ამჯერად ჩვენი კვლევის სფეროა ორზემეტკომპონენტით რთულ სიტყვათა დაწერილობის საკითხი, როცა პირველი ან მეორე წევრი კომპოზიტისა, არსებითი სახელის, ზედსართავისა თუ რიცხვითი სახელის ფუძით არის წარმოდგენილი, ხოლო ბოლო კომპონენტი – **-ულ**, **-ილ**, **-მ-ელ**, **-უ-ელ** აფიქსებიანი მიმღეობით ან მასდარით. ასეთ კომპოზიტთა რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

ა) **ფუძე + ფუძე + -ულ სუფიქსიანი მიმღეობა:**

დეფისიანი კომპოზიტი + მიმღეობა: გუდა-ნაბადი + აკრული –
→ **გუდანაბადაკრული**; თავ-პირი + ჩამობნელებული → **თავპირჩამობნელებული**; თოფ-იარაღი + ასხმული → **თოფიარაღასხმული**; სახლ-კარი + დაქცეული → **სახლკარდაქცეული**; ძალ-ლონე + გამოლეული → **ძალდონეგამოლეული**; გზა-კვალი + არეული → **გზაკვალარეული...**

¹ სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – კომპოზიცია“ (SL-24-157) – ფარგლებში.

შესიტყვება + მიმღეობა: ცხრა კლასი + დამთავრებული → **ცხრაკლასდამთავრებული**; თეთრი ნაბადი + მოსხმული → **თეთრნაბადმოსხმული**; ცალი თვალი + მოჭუტული → **ცალთვალმოჭუტული**.

უდეფისო კომპოზიტი + მიმღეობა: თავბრუ + დახვეული → **თავბრუდახვეული**; გულმკერდი + დამშვენებული → **გულმკერდდამშვენებული**...

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ზემოთ წარმოდგენილ რთულ სიტყვათა ერთი ნაწილი თანამედროვე ქართულში სხვადასხვაგვარი დაწერილობით დასტურდება. მაგ., **გუდანაბადაკრული**: „რამდენი ქართველი გადის, დედაბუდიანად, **გუდანაბადაკრული**, პატარა ბავშვებით, ფეხმძიმე ცოლებით და უკან არ იხედებიან“ (www.kvirispalitra.ge), შდრ.: „გაცრეცილი სამოსი ამოვარჩიე და **გუდანაბად აკრული** შემოდგომის სუნთქვას შევუერთდი“ (poetry.ge); **ცხრაკლასდამთავრებული**: „ლიცეუმში მიიღება **ცხრაკლასდამთავრებული** მოსწავლეები როგორც ვაჟები, ასევე გოგონები“ (cadet.mod.gov.ge), შდრ.: „ბავშვი არის **ცხრაკლას დამთავრებული**, 15 წლის“ (feedk.com)...

ბ) **ფუძე + ფუძე + -ილ სუფიქსიანი მიმღეობა**:

დეფისიანი კომპოზიტი + მიმღეობა: ძალ-ღონე + გამოცლილი → **ძალღონეგამოცლილი**; წვერ-ულვაში + აბურძგნისილი → **წვერულვაშაბურძგნისილი**; წვერ-ულვაში + გაწეწილი → **წვერულვაშაგაწეწილი**; სახლ-კარი + მოშლილი → **სახლკარმოშლილი**; ხელ-ფეხი + შებოჭილი → **ხელფეხშებოჭილი**...

შესიტყვება + მიმღეობა: ცალი ხელი + გაყრილი → **ცალხელგაყრილი**...

ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი + მიმღეობა: თავ-თავი + გავსებული → **თავთავგავსებული**; თავ-თავი + დასხმული → **თავთავდასხმული**...

უდეფისო კომპოზიტი + მიმღეობა: გულხელი + დაჭდობილი → **გულხელდაჭდობილი**; გულხელი + დაკრეფილი → **გულხელდაკრეფილი**, თავქუდი (კუთხ.) + მოგლეჯილი → **თავქუდმოგლეჯილი**...

ზემოთ ჩამოთვლილ კომპოზიტთა დაწერილობა ქართულში სხვადასხვაგვარია. მაგ., **გულხელდაკრეფილი**: „**გულხელდაკრეფი-**

ლი დაჯდა სელზე და უამბო ყოველივე, რაც შეემთხვა სამი დღის წინათ“ (კ. გამსახურდია), შდრ.: „რალა თქმა უნდა, არც ამ სახლის პატრონი იჯდა **გულხელ დაკრეფილი**, მთელი დღე ჯარასავით ტრიალებდა“ (www.scribd.ge); **თავკუდმოგლეჯილი**: „უცებ მანქანის ფანჯრიდან ძალლი გადმოხტა და **თავკუდმოგლეჯილი** გაიქცა ქუჩაზე“ (აკა მორჩილაძე), შდრ.: „სტუმარმა ყური მიაპყრო და ლესვის ხმა რომ მოესმა, **თავკუდ-მოგლეჯილი** გაიქცა“ (www.scribd.com); **ძალღონეგამოცლილი**: „შუა ტროტუარზე **ძალღონეგამოცლილი** მიაბიჯებდა“ (www.aura.ge), შდრ.: „დამშეული, **ძალღონე გამოცლილი**, უიმედო, უპერსპექტივო და სასოწარკვეთილი საკუთარი თავი მობეზრდა ხალხს“ (www.alia.ge) და სხვა.

იშვიათად დასტურდება დარღვევები შემდეგი სახის ლექსიკურ ერთეულებშიც:

უდეფისო კომპოზიტი + **მ-ელ** აფიქსიანი სასუბიექტო მიმღეობა: ორთქლმავალი + მშენებლი → **ორთქლმავალმშენებელი**;

უდეფისო კომპოზიტი + მასდარი: თავბრუ + დახვევა → **თავბრუდახვევა**; თავლაფი + დასხმა → **თავლაფდასხმა**...

დეფისიანი კომპოზიტი + **უ-ელ** აფიქსებიანი (რომელთაც და პრეფიქსი ერთვის) მიმღეობა: ხელ-პირი + დაუბანელი → **ხელპირდაუბანელი**.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერთად უნდა დაიწეროს ისეთი ორზემეტკომპონენტისანი რთული სიტყვა, რომლის პირველი და მეორე წევრები ფუძის სახით წარმოდგენილი სახელებია, ხოლო ბოლო კომპონენტი – მიმღეობა (**-ულ**, **-ილ**, **მ-ელ**, **უ-ელ**... აფიქსებიანი) ან მასდარი.

ქართულში ასევე გვხვდება ისეთი ორზე მეტი კომპონენტისაგან შედგენილი რთული სიტყვები, რომელთა პირველი ნაწილი ბრუნვისფორმიანია, მეორე – ფუძის სახით წარმოდგენილი, ბოლო წევრი – **-ულ**, **-ილ** სუფიქსებიანი მიმღეობა. ამ ტიპის კომპოზიტები მიიღება შემდეგნაირად:

შესიტყვება + მიმღეობა: შრომის უნარი + დაკარგული → **შრომისუნარდაკარგული**; შრომის უნარი + მოკლებული → **შრომისუნარმოკლებული**; გულის პირი + ჩამოგლეჯილი → **გულისპირჩამოგლეჯილი**...

შენიშვნა: კომპოზიტის პირველ წევრად გვხვდება აგრეთვე **ფეხიფეხ**, **ხელიხელ** ტიპის ფუძეგაორკეცებული სახელები: **ფეხიფეხ + გადაწყობილი → ფეხიფეხგადაწყობილი**, **ხელიხელ + გაყრილი → ხელიხელგაყრილი**.

თანამედროვე ქართულში ზემოაღნიშნულ კომპოზიტთა დაწერილობისას დარღვევები შეინიშნება. მაგ., **შრომისუნარდაკარგული**: „ინვალისი – სუსტი, უძლური, **შრომისუნარდაკარგული** ადამიანი“, (www.nplg.gov.ge), შდრ.: „...დასახიჩრების ან ავადმყოფობის შედეგად **შრომისუნარ-დაკარგული** ადამიანი“ (www.nplg.gov.ge); **ხელი-ხელჩაკიდებული**: „...მაგრამ თავიანთ ბაღში მხოლოდ გოგიტასთან ერთად დაიარებოდა **ხელიხელჩაკიდებული**“ (გ.დოჩანაშვილი), შდრ.: „საქართველო დღეს ერთობის ჯაჭვში **ხელიხელ ჩაკიდებული** ჩადგა“ (www.mtavari.tv); **ფეხიფეხგადადებული**: „კაცი **ფეხიფეხგადადებული** იჯდა მამის სავარძელში და ამწვანებულ ბაღს მისჩერებოდა“, შდრ.: „რძალი მიწიერ სიცოცხლეში იჯდა **ფეხი-ფეხ გადადებული**, დედამთილი კი კოჭლობით თავის შვილიშვილზე, მის შვილზე ზრუნავდა“ (www.ortodoxy.ge) და სხვა.

ერთად უნდა დაიწეროს რთული სიტყვა იმ შემთხვევაშიც, თუ მისი პირველი კომპონენტი ბრუნვისფორმიანია, მეორე – ფუძის სახით წარმოდგენილი, მესამე წევრი – **-ულ ან -ილ** მაწარმოებლიანი მიმღეობა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა რთული სიტყვის პირველი ნაწილი ნათ. ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ორკომპონენტია (დეფისიანი) სახელია, რომელსაც მოჰყვება ცალკე მდგომი თანდებული **მიერ(ი)**: **ბაგე-კბილი+ მიერ → ბაგეკბილისმიერი**, **ენა-კბილი + მიერ → ენაკბილისმიერი**; ან კიდევ პირველი ნაწილი შესიტყვებაა, რომელსაც ერთვის **-მიერ** თანდებული: **ენის ზურგი + მიერ → ენისზურგისმიერი...**

„არა“ უარყოფითი ნაწილაკის შემცველი ორზემეტკომპონენტია რთული სიტყვებიც რამდენიმე ჯგუფს ქმნის, ესენია: ა) **არა + ბრუნვისფორმიანი სახელი + -მიერ** თანდებული: **არანებისმიერი**; ბ) **არა + სახელის ფუძე + -ილ** სუფიქსიანი მიმღეობა, მაგ.: **არაუზრუნველყოფილი, არაკეთილშობილი...** გ) **არა + სახელის ფუძე + -ილ** სუფიქსიან მიმღეობაზე დამყარებული **-ურ** სუფიქსიანი სახელი: **არაკეთილშობილური...** დ) **არა + რიცხვითი სახელის ფუძე + -ნაირი**,

-გვარი, -გზის, -ხელ: არაერთნაირი, არაერთგვარი, არაერთგზის, არა-ერთხელ...

ყველა ზემოთ წარმოდგენილი **არა** უარყოფითი ნაწილაკის შემცველი კომპოზიტი ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს, რასაც ვერ ვიტყვი **არაერთგზის** და **არაერთხელ** ლექსიკურ ერთეულებზე. ისინი კონტექსტების გათვალისწინებით სხვადასხვაგვარად დაიწერება, მაგალითად: **არაერთხელ** – „აკაკი და ბევრი სხვა სიკვდილისაგან გამოეხსნა **არაერთხელ**“ (აკა მორჩილამე), შდრ.: **არა ერთხელ და ორჯერ** – „განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება მკითხველთან, რომელიც **არა ერთხელ და ორჯერ** უბრუნდებოდა მის წიგნებს“ (tavisupleba.org)... **არაერთგზის** – „ამ საფრთხის შემდეგ **არაერთგზის** გააფრთხილა ქართულმა მწერლობამ ხელისუფლება“ (რ.მიშველამე), შდრ.: **არა ერთგზის და ორგზის** – „გადაირჩინა თავი **არა ერთგზის და ორგზის**“ (biblia. ge)...

ქართულში ასევე მრავლად დასტურდება რიცხვითი სახელის შემცველი შესიტყვებისაგან დერივაციის გზით მიღებული ორზემეტკომპონენტის რთული სიტყვები, როგორებიცაა: **სამიათასგვერდიანი, ორიათასადგილიანი...** გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ისინი სხვადასხვაგვარი დაწერილობით დადასტურდეს, მაგ.: **სამიათასგვერდიანი** და **სამიათასგვერდიანი, ორიათას ადგილიანი** და **ორიათასადგილიანი...**

წარმომქმნელ აფიქსთა დართვით მიღებული დერივაციული სახელი უდევსოდ დაიწერება იმ შემთხვევაში, თუ შესიტყვების პირველი ნაწილი ორ- ან ორზემეტკომპონენტის შედგენილი რიცხვითი სახელია („სამი ათასი“, „ორი ათასი“... ტიპისა): **სამიათასგვერდიანი, ორიათასადგილიანი** (და არა: **სამი ათას გვერდიანი, ორი ათას ადგილიანი** და სხვა).

თუ დასახელებული ტიპის დერივაციულ სახელთა პირველი (რიცხვის აღმნიშვნელი) ნაწილი არაბული ციფრებით არის წარმოდგენილი, მომდევნო კომპონენტი მას დეფისით გამოეყოფა: **3000-გვერდიანი** (და არა: **3000 გვერდიანი**).

თანამედროვე ქართულში ასევე ყურადღებას იქცევს ნაირგვარი დაწერილობით წარმოდგენილი არცთუ ისე მცირე ჯგუფი დეფისიანი (ორზემეტკომპონენტის) რთული სიტყვებისა, რომლებიც შეიძლება ასე დავაჯგუფოთ:

1. სამკომპონენტო რთული სიტყვის თითოეული წევრი დეფისით გამოეყოფა ერთმანეთს: **კოდ-სასწორ-ადლი, ქართლ-კახეთ-იმერეთი, რბალ-მულ-დედამთილი, ქათამ-ბატ-ინდაური, ყელ-ყურ-ცხვირი...**
2. სამკომპონენტო კომპოზიციის პირველი წევრი დეფისით გამოეყოფა ორწევრიან (ერთსიტყვადქცეულ) ლექსიკურ ერთეულს: **გულ-სისხლმარღვთა (სისტემა), შობა-ახალწელიწადი, შავ-ვერ-ცხლისფერი, ჯაშუშურ-მირგამომთხრელი...**
3. ოთხკომპონენტო რთული სიტყვის პირველი ორწევრიანი (ერთსიტყვადქცეული) კომპონენტი დეფისით გამოეყოფა მეორე ორწევრიან (ერთსიტყვადქცეულ) ნაწილს: **ქუდმოხდილ-ფეხშიშველი, თავსართ-ბოლოსართი...** ან დეფისით გაფორმებული ორკომპონენტო (მაგ., კაბა-სარტყელი) ლექსიკური ერთეული დეფისითვე გამოეყოფა ორწევრიან (ერთსიტყვადქცეულ) კომპონენტს: **კაბა-სარტყელ-გულისპირი...**

ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ კომპოზიტთაგან დაწერილობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს რთული სიტყვა – **შობა-ახალწელიწადი**.

ლექსიკური ერთეული „ახალწელიწადი“ თანამედროვე ქართულში იშვიათად (მაგრამ მაინც) გამოიყენება, მაგ.: „**ახალწელიწადი** ჯადოსნური რამაა“... იგივე შეიძლება ითქვას კომპოზიტ „**შობა-ახალწელიწადის**“ შესახებაც, მაგ.: „**შობა-ახალწელიწადი** – ბავშვების დღესასწაული“, „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო, **შობა-ახალწელიწადი** თეთრად გათენებულაო“...

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1986 წ.) და შემდეგ წლებში პროფ. თ. ვაშაკიძის რედაქტორობით გამოცემულ ორთოგრაფიულ ლექსიკონებში ზემოთ დასახელებული რთული სიტყვა (**შობა-ახალწელიწადი**) შემდეგნაირადაა გათვალისწინებული: **შობა-ახალწელიწადი** (გილოცავთ შობა-ახალწელიწადს! გილოცავთ შობასა და ახალ წელს!).

თანამედროვე ქართულში ხშირად გამოიყენება შემდეგი ვარიანტი: გილოცავთ **შობა-ახალ წელს**. თუმცა გვაქვს სხვა შემთხვევაც: გილოცავთ **შობა-ახალწელს**.

მაგ.: „ასე სწამდათ – **შობა-ახალწლის** ღამე კაცმა და პირუტყვმა თავის ფუძეზე უნდა გაათენოსო“ (kvirispalitra.ge); „ყველა მონაწილეს

ვუსურვებთ ბედნიერ **შობა-ახალწელს**“ (bible.ge) “; „გილოცავთ დამდეგ **შობა-ახალწელს**“ (kalatozi.com)... შდრ.: „**შობა-ახალი წელი** მიულოცა ნათესავ-მეგობრებს ღამაში შრომითი ბიოგრაფიის კაცმა, კაცურკაცობის ეტალონმა“ (www.nplg.gov.ge); „როგორ ხართ, **შობა-ახალი წელი** როგორ გაატარეთ“ (www.orthodoxy); „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **შობა-ახალი წელი** მოგვილოცა და აღნიშნა: ძველი რომაელები ამბობდნენ, დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებითო, მაგრამ მთავარია, როგორ ვიცვლებით, საით მიდის ქართველი კაცი“ (www.nplg.gov.ge)...

როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში შესიტყვება **ახალი წელი** უდევსო კომპოზიტადაა წარმოდგენილი მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში (**ახალწელს, ახალწლის**), რომელიც დეფისით გამოეყოფა პირველ კომპონენტს – **შობა (შობა-ახალწელს, შობა-ახალწლის)**, ხოლო სხვა შემთხვევაში **შობა** დეფისით გამოეყოფა ლექსიკურ ერთეულს – **ახალი (შობა-ახალი)**, რომელიც ერთგვარი მსაზღვრელია სიტყვისა **წელი (შობა-ახალი წელი)**.

დაისმის კითხვა: როგორ წარმოვადგინოთ ზემოთ დასახელებული ლექსიკური ერთეული ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში – **შობა-ახალწელიწადის** პარალელურად გავითვალისწინოთ თუ არა **შობა-ახალწელი**? საანალიზო მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს შესაძლებელია, რაკი ამგვარი წარმოება, ზოგადად, ქართულისთვის უცხო არ არის (შდრ.: **ახალშენი, ახალქალაქი**...) და ამავდროულად, როგორც მაგალითებიდან ჩანს, გილოცავთ **შობა-ახალწელს** ფაქტობრივად უკვე გამოიყენება თანამედროვე ქართულში, რაც, ვფიქრობთ, სავსებით მისაღები ვარიანტია. მაშასადამე, მართებული ვარიანტებია: გილოცავთ **შობა-ახალწელიწადს**/გილოცავთ **შობასა** და **ახალ წელს**/გილოცავთ **შობა-ახალწელს**.

ლიტერატურა

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1970, თბილისი.

იმნაიშვილი 2016 – ივ. იმნაიშვილი, ქართული მართლწერის სადავო საკითხები, თბილისი.

ინტერნეტრესურსები.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის (რედ. თ. ვაშაკიძე), 2016, თბილისი.

ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I (რედ. თ. ვაშაკიძე), 2009, თბილისი.

ქეეკი, ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

ქეოლი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1986, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი.

ჭაბაშვილი 1988 – მ. ჭაბაშვილი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის, თბილისი.

~

Maka Labartkava

On the Orthography of Compound Words Containing More than Two Components

Summary

This paper analyzes compound words containing more than two components, both hyphenated and non-hyphenated, examining their structure and composition. Attention is also given to the orthography of compounds of this type. In contemporary Georgian, the same compound words containing more than two components may be written as a single word, with a hyphen, or as two separate words in print media, on social networks, and in both literary and scholarly texts, e.g., *gudanabadaḱruli* // *gudanabad aḱruli*; *tavkudmogleḟili* // *tavkud-mogleḟili*; *cxraḱlasdamtavrebuli* // *cxraḱlas damtavrebuli*, etc. The paper provides recommendations regarding the standardized orthography of the compounds discussed.

ვახტანგ მაღრაძე

ბარბარიზმები. I.¹

მართალია, ბარბარიზმების შესახებ საუბარი ადრეც გვქონდა, მაგრამ იმდენად დიდია უცხოური სიტყვების მოძალეობა, რომ რამდენიმე სტატია ალბათ საკმარისიც არ იქნება.

ენის მოჭირნახულე დიდ კონსტანტინე გამსახურდიას დავიმოწმებ:

„...ქართული ენის განვითარებაშიაც საშინელ რეგრესს ვხედავთ. თუნდ გრიგოლ ხანძთელის დროის ენა, მკვეთრი და მოქნილი, მე-17 და მე-18 საუკუნეში ბრგვნილ, **ბარბარიზმებითა და უმგევანო ნეოლოგიზმებით**² აჭრელეხულ ლიტერატურულ ჟარგონად ქცეულა.“

დიდი მამულიშვილი ცალი თვალით მაინც რომ გადმოახედა, მავანთა წყალობით, დღევანდელი „მოდერნისტული“ ქართული ენისათვის...

ქართული მასმედიის ენაში – ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეზღუდვის გარეშე – პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების (ხშირად ზოგი მწერალიც აქტიურად უწყობს ფეხს) დაუკვირვებლობისა თუ უყურადღებობის მეშვეობით უხვად შემოედინება და მკვიდრდება უცხო სიტყვები (ანუ ბარბარიზმები).

ცხადია, რომ ბარბარიზმები ჰქვია ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც მშობლიურ ენაში სხვა ენებიდან უმართებულოდ, საჭიროების გარეშეა შემოსული. საჭიროების გარეშე იმიტომ, რომ შესატყვისი ტერმინები, სიტყვები თუ გამოთქმები ენაში გვავეცს.

ადრე რუსული სიტყვების მოზღვავენას ვებრძოდით. ახლა ინგლისურიდან უადგილოდ შემოტანილმა ლექსიკურმა ერთეულებმა წალეკა ქართული ენა.

¹ იხ. ასევე ვ. მაღრაძე, „ბარბარიზმები და მათი ნეგატიური გავლენა ენობრივ კომუნიკაციაზე“, „ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები – 4“, გვ. 117-120, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2014.

ვ. მაღრაძე, „საერთაშორისო სიტყვა-ტერმინები თუ ბარბარიზმები“, „ტერმინოლოგიის საკითხები, II“, გვ. 103-112, თსუ, 2016.

² ხაზგასმა ჩვენია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ბეჭდურ გამოცემებსა თუ ზეპირმეტყველებაში (ტელეჟურნალისტთა ენაში) უამრავი უცხო სიტყვა დასტურდება, რაც აღარიბებს ჩვენს მშობლიურ ენას.

ინგლისური მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენაა, მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ხელმისაწვდომია. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ენა (თავისი გამორჩეული გრამატიკული სტრუქტურითა თუ უმდიდრესი ლექსიკური ფონდით) ინგლისური სიტყვებითა და კონსტრუქციებით ჩავანაცვლოთ.

ქვემოთ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები ინგლისური ენიდანაა „ნასესხები“¹ და ქართული ენის გაღარიბებას დიდად უწყობს ხელს.

ასისტანსი (assistance) ქართულად დახმარებაა (სამედიცინო დახმარება).

„თქვენ აქ გელით 24-საათიანი **ასისტანსი**“; „24 საათის განმავლობაში მოქმედებს **ასისტანსი** გერმანიაში“; „ჩვენს კომპანიას აქვს 24-საათიანი **ასისტანსი**“...

დასახელებული სიტყვა (ბარბარიზმი) უკვე დანიშნულების სახელის ფუნქციითაც გამოიყენება: „იგი საერთაშორისო **საასისტანსო** ქსელის ნაწილია.“

ბაიერი (buyer ინგ.) შემსყიდველი; შესყიდვების, გაყიდვების ხელმძღვანელია.

„მისი კოლექციით უცხოელი **ბაიერები** დაინტერესდნენ“. უნდა იყოს: **უცხოელი შემსყიდველები**.

ბენდის (bandy) ქართული შესატყვისია ჯგუფი, გუნდი, ანსამბლი.

„ამერიკაში **ბენდთან** ერთად ქართულ სიმღერებს მღერის“; „**ბენდი** საიუბილეო კონცერტისათვის ემზადებოდა“; „**ბენდი** მშვიდი მელოდიიდან მომენტალურად საცეკვაო როკზე გადავიდა“...

თიმიც (team) ისევე განისაზღვრება, როგორც **ბენდი**, ოღონდ ის **თიმიზე** ადრეა შემოსული. **ბენდი** მუსიკალურ სფეროსთანაა დაკავშირებული, **თიმი** კი ძირითადად სპორტულ ღონისძიებებს უკავშირდება. თუმცა ის (თიმი – ჯგუფი) იშვიათად გამოიყენება.

¹ დასახელებული მაგალითები ბეჭდური ორგანოებიდანაა დამოწმებული.

„ძალიან კარგი **თიმი** გვყავს, უკვე ორი წელია ერთად ვუკრავთ“; „ოცნების გუნდი“, რომელიც 2000 წლის შემდეგ პირველად შეიკრიბა **თიმი** იქნება“; ოთხი წლის წინ ინდიანაპოლისში ფინალი წავაგეთ, მერე ოლიმპიადაზე **თიმი** კვლავ დაიბრუნებს ძველ დიდებას“...

თიმლიდერი (teamlr) ჯგუფის, გუნდის მეთაური, ხელმძღვანელი, ლიდერია.

„...კომენტარს, რომლის მოპოვებაშიც დაგვეხმარნენ ჩვენი ნაკრების **თიმლიდერი** მერაბ რატიშვილი და კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელი იყვნენ (ქეევი).

როგორც ჩანს, ავტორმა საჭიროდ ჩათვალა **თიმლიდერის** განმარტების დამატება.

„...ნაკრებთან დაკავშირებული ინფორმაციის ერთადერთი **თიმლიდერი** (უფროსი), ფერდერაციის გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილია“ (ქეევი). უნდა იყოს: **ხელმძღვანელი**.

ბექგრაუნდი (background) ინგლისურში მრავალგზის გამოიყენება: პოლიტიკური / ემოციური / ცოდნის / ოჯახის / გარემოცვის ბექგრაუნდი; აღნიშნავს ასევე ფონს, კონტექსტს.

„მის ნახატს ლურჯი **ბექგრაუნდი** გასდევდა“; „ეს წინადადება **ბექგრაუნდიდან** სრულიად ამოვარდნილია“; „მისი **ბექგრაუნდი** დღემდე გაურკვეველია“; „ერთი პლუსი, რა თქმა უნდა, არის ამ გოგოს **ბექგრაუნდი** – ოჯახი“; „– მე საქართველოში ვარ ასეთი ბუნჩულა, თორემ ჩემი **ბექგრაუნდი** იკითხონ რუსეთში, სადაც ცოტა სხვანაირად მიცნობენ“...

როგორც ვხედავთ, **ბექგრაუნდი** სხვადასხვა წინადადებაში სხვადასხვა ნიუანსს წარმოაჩენს.

ერთი ინგლისური სიტყვა ხშირად რამდენიმე მნიშვნელობას გამოხატავს და, შესაბამისად, რამდენიმე ქართულ სიტყვას ავიწროებს და მდიდარი ქართული ენის ლექსიკური ფონდის გაღარიბებას უწყობს ხელს.

ბორდი (board) – მართვლობა, საბჭო, კომისია, კოლეგია, კომიტეტი.

„ჩვენ მონაწილე ვიყავით იმის, რომ ახალი **ბორდი** დანიშნულიყო“, „თითქმის 5-წლიანი დირექტორობის შემდეგ, ბატონი სმითი

კომპანია N-ის **ბორდში** ინაცვლებს“; „შექმნილი სიტუაციიდან გამო-
მდინარე, **ბორდი** შეეცდება ჩაფარცხოს ეს ამბავი“; „შემდგომ ეტაპზე
კი ორგანიზაციის **ბორდი** შეიკრიბება და გადაწყვეტს, როგორ იმოქ-
მედოს“...

როცა ენაში ამდენი შესატყვისია (ხუთი სიტყვა, აქედან სამი
უკვე დამკვიდრებული უცხო სიტყვა), რას ემსახურება კიდევ ერთი
უცხო სიტყვის „სესხება“?

ბორდერიზაცია (borderizacia) საზღვრის გავლებას ნიშნავს.

„რუსეთი აგრძელებს ოკუპირებული ტერიტორიის **ბორდერი-
ზაციას**“ „კარგად იცით, რომ რუსეთის მხრიდან ნებისმიერ პროვოკა-
ციაზე – ეს **ბოდერიზაცია** თუ სხვა – ჩვენ გვექნებოდა ძალიან მყისი-
ერი და მკაცრი რეაგირება“... უნდა იყოს: რუსების მიერ **გავლებული**
საზღვარი, მცოცავი ოკუპაცია.

დედლაინი (deadlaine) უკანასკნელი, ბოლო ვადაა.

„ფიდემ განაცხადა, რომ გამოაცხადა ახალი **დედლაინი** დუბა-
ის მატჩის ორგანიზატორებისაგან საბოლოო პასუხის მისაღებად“;
„დღეს 12 საათამდე უნდა გააგზავნონ, **დედლაინი** აქვთ“; „...წვრილ-
მანი გადასვლა-გადმოსვლები არც ღირს ხსენებად. გუშინ ნბა-ში
დედლაინი იყო“...

ზოგჯერ **დედლაინი** დაზუსტებულია ქართული სიტყვით:

„ორივე სტადიონის წამზომი ჩართულია. **დედლაინი**, ანუ **ბო-
ლო ვადა** 31 მაისია“; „...გუშინ ნკლ-ში **დედლაინი** იყო, ანუ **ბოლო
დღე**, როცა ჯერაც ნებადართულია ჰოკეისტების გაცვლა-გამოსვლა“;
„გუშინ ნბა-ში **დედლაინი** იყო გუნდის შეცვლის **ბოლო ვადა** და არა-
ერთი ვაჭრობა გაიჩარხა“...

ემერჯენსი (emergency) სასწრაფო დახმარებაა, სასწრაფო და-
ხმარების მანქანა. ჰქვია საავადმყოფოსაც. დღეს საკმაოდ გავრცელდა
ეს სიტყვა.

„ავადმყოფი **ემერჯენსით**, სასწრაფო დახმარებით მიიყვანეს
საავადმყოფოში“; „...რადგან **ემერჯენსი** ახლად გახსნილია და იქ თა-
ნამედროვე სამედიცინო აპარატურაა დამონტაჟებული“; „ამასვე ამ-
ბობს ფასიანი სასწრაფო სამედიცინო მომსახურება „**ემერჯენსი** სერ-
ვისის“ მთავარი ექიმი სამკურნალო დარგში“...

ვორქშოფი (workshop) სამუშაო შეხვედრა, სემინარია.

„უამინდობის გამო უცხოელების ჩამოსვლა დაგვიანდა და **ვორქშოპი** ორშაბათისათვის გადაიდო“; „ანიმაციის შესახებ გამართული ოთხდღიანი **ვორქშოფი** გოეთეს ინსტიტუტში 31 ოქტომბერს დასრულდება“; „ბრიტანელმა ხელოვანებმა **ვორქშოფი** ჩაატარეს თბილისის თეატრალური ფესტივალის ფარგლებში“...

ივენტი (event) – ღონისძიება, შეკრება, თავყრილობა, კონცერტი, სპექტაკლი...

„**ივენტის** დაგეგმვა დაგვიანებული იყო“; „...ბათუმში კარგად გავერთეთ და მეც გირჩევთ, რომ არ გამოტოვოთ ეს **ივენტი**“; „...მადრამ ყველაფერში ზომიერების დაცვა საჭირო, ასეთი **ივენტი** უნდა მოგენატროს“...

ივენტში შეგვიძლია ვივარაუდოთ: საოჯახო შეკრება, რესპუბლიკური ღონისძიება, პოლიტიკური თავყრილობა, სიმფონიური მუსიკის კონცერტი, საქველმოქმედო სპექტაკლი... ეს ერთი სიტყვა ყველაფრის დამტყვია და შინაარსის გაგება ჩვენს გონებამახვილობა-მიხვედრილობაზეა დამოკიდებული.

ინსპირაცია (inspiration) 1. ვინმესთვის რაიმე მოქმედების, აზრის, თვალსაზრისის შთაგონება. 2. ვინმეს შეგულიანება, წაქეზება¹. **ინსპირაციული** შთაგონებულს, წაქეზებულს ნიშნავს.

„რა შეიძლება გახდეს ჟურნალისტის **ინსპირაციის** წყარო?“ „ვარაუდობენ, რომ **ინსპირაცია** მისი საყვარელი ჯაზ-საქსაფონისტის – ჩარლი პარკერისაგან მიიღო...“; „...ბინგოლის საპროტესტო აქციის **ინსპირაცია** პროვოკატორებმა გამოიწვიეს“...

ბუნებრივი ქართულით შეიძლებაოდა მარტივად გვეთქვა: რა შეიძლება გახდეს ჟურნალისტის/მწერლის/მუსიკოსის შთაგონების წყარო? ან: რამ გიბიძგათ ამ საკითხის გაშუქება? ან კიდევ: რამ გიბიძგათ, რომ ამ პიროვნებისგან აგელოთ ინტერვიუ? რამ შთაგაგონათ ამ მუსიკის დაწერა?

„ამ ლექსით **ინსპირირებულმა** ერთ ღამეში დავწერე მუსიკა“; „ღვთისმშობლის ტაძარზე ნახა წარწერა „ბედი“, რამაც რომანის **ინსპირაცია** გამოიწვია“...

უნდა იყოს: ამ ლექსით შთაგონებულმა (აღფრთოვანებულმა, ფრთაშესხმულმა) ერთ ღამეში შევქმენი მუსიკა; ტაძარზე წარწერამ შთამაგონა რომანის დაწერა.

¹ მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1986.

როგორც ჩანს, **ინსპირაცია** ინგლისურიდან ჯერ რუსულში შევიდა, შემდეგ კი ქართული „გაამდიდრა“. მაგ.:

„ეს საქმე საყვარლის **ინსპირირებული** იყო, თორემ ქმარი მშობლებს ასე არ გაიმეტებდა“; „დასავლეთმა მოახდინა ერაყელ ქურთთა სეპარატიზმის **ინსპირაცია** და შემდგომ მიატოვა ისინი“; „შეიძლება იქითა მხრიდან იყო ამის **ინსპირაცია**, მაგრამ პირველი მე დავარტყი“...

ისტებლიშმენტი (establishment) მმართველ წრეებს, საზოგადოების პრივილეგირებულ ჯგუფს გულისხმობს.

„...ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური **ისტებლიშმენტი** და სრულიად ქართველი საზოგადოება გაერთიანებულია ერთი იდეის გარშემო“; „ერთი მოსაზრების თანახმად, რუსული პოლიტიკური **ისტებლიშმენტი** არ არის ერთიანი“; „სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი მეზობელი რუსეთის პოლიტიკური **ისტებლიშმენტი**“...

ზოგ შემთხვევაში ამ სიტყვამ ირონიული დატვირთვაც მიიღო. მაგ.:

„პოლიტიკური **ისტებლიშმენტი** წინააღმდეგია დათმობაზე წავიდეს“.

ლაივი (live) პირდაპირი ეთერია.

„ამ კონცერტს უახლოეს დღეებში **ლაივში** იხილავთ“; „მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთ იმ დისკად ითვლება, რომელზეც ბლუზური **ლაივი** პირველად ჩიწერა“; „ამას წინათ სწორედ ერთი ასეთი **ლაივი** ვნახე“...

ლინკი (link) ქართულად ბმულია.

„**ლინკი** გამომიგზავნე და გავაშიარებ“; „მართლა აინტერესებს პასუხი, ჯერ ის მოთხრობა წაიკითხოს (შეგვიძლია აქ **ლინკი** დავაგდოთ)“; „...ჟურნალისტებთან და სხვა პირებთან დაიგზავნა ვებგვერდის **ლინკი**, სადაც მოთავსებული იყო ვიდეო მასალა“...

სწორია: „ამ გვერდის **ბმული** გამომიგზავნე“; „...ზადი რომ „გუგლში“ აკრიფოთ, ყველა **ბმული** უმალ სმიტს ამოგიგდებთ“; „12 აგვისტოს სწორედ მის ინტერნეტ-დღიურში გაჩნდა **ბმული** ხსენებულ ვიდეორგოლზე“...

ლოკაცია (lokacion). ერთ ზაფხულს საქართველოში ხანძარმა ხან სად იფეთქა და ხან სად. ჟურნალისტები, თანამდებობის პირები, ადგილობრივი მოსახლეობა, მეტყევეები, მაშველები, ერთხმად იყე-

ნებდნენ სიტყვა **ლოკაცია**ს (რაც შემდეგ მეცხეულად აისახა მედიაშიც) – თითქოსდა მისი შესატყვისი **ადგილი**, **ადგილმდებარეობა**, **გარემო**, **არეალი**... (ბოლოსდაბოლოს უკვე დიდი ხნის წინ დამკვიდრებული ლათინური **ტერიტორია**) ქართულში არ გვქონდეს.

„ფესტივალის ჩატარების დრო და **ლოკაცია** ჯერ ისევ დასაზუსტებელია“; „ეს ხეობა შეიძლება კინოგადაღებების **ლოკაცია** გახდეს“; „...მდინარე ენგურსა და ჭოროხს შორის 10 **ლოკაცია** შეისწავლეს“...

საინტერესოა, რომ შემდეგ წინადადებებში ავტორებმა **ლოკაციას** სხვა შინაარსი მიანიჭეს და გამიჯნეს არეალის/გარემოს/ტერიტორიისაგან.

„...ძალიან რთულია, როდესაც სიუჟეტის მოქმედების **არეალი** და **ლოკაცია** ვიწროა“; „ახლიდან იქნება მოსალაპარაკებელი, კვლევებზე დაყრდნობით, ისეთი **ლოკაცია**, რომელიც **გარემოს** არ დააზიანებს...“; „ჯგუფის წევრებმა ვაზიანში სამხედრო აეროდრომის მიმდებარე **ტერიტორია**, **ლოკაცია** შეიწავლეს“...

ლუქი (look) შესახედაობა, გარეგნობაა ქართულად.

„ჩემს მთლიან **ლუქზე** ბელგიელმა დიზაინერმა იზრუნა“; „...ფეშენიკზე¹ **ლუქებით** ყველა დაჩრდილა“; „...პერფორმანსზე ყველასაგან გამოირჩეოდა თვალისმოჭრელი **ლუქით**“... აქ უნდა იყოს: გარეგნობა.

ქართულ ენაში სიტყვა **ლუქი** დამკვიდრებულია: მუქი წითელი ფერის ფისი, რომელსაც ხმარობენ რაიმეს (პარკეტის, კარის) დასაბეჭდად².

„ინკასატორმა თავად ნახა, რომ მრიცხველს **ლუქი** არ ჰქონდა ახსნილი“; „– **ლუქი** და ბეჭედი, ფილიპე! – უბრძანა მოხელემ მწერალს...“ „– ვილაცამ გამოიხედა, მოეშვი მაგ კარს, **ლუქი** არ გააფუჭო, თორემ ჩვენ დაგვაბრალებენ“...

მითინგრუმი (meeting room) შეხვედრების, თათბირების ოთახი. აქაც ვერ მოიმიზეზებენ სიტყვის სიმოკლეს ან სისხარტეს, მითინგრუმიც ხომ კომპოზიტია.

რატომ არ შეიძლებოდა გვეთქვა სათათბირო ან შეხვედრების ოთახი/დარბაზი?

¹ მართებულია ფუშენიკი.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986, თბ.

„თათბირი მესამე **მითინგ-რუმში** ჩატარდება შეხვედრების ოთახში“; „– გადადების დრო არაა, ახლავე **სტაფმითინგზე** განვიხილოთ“...

რაც შეეხება სიტყვის დაწერილობას, ქართული მართლწერის წესების გათვალისწინებით, **მითინგრუმი** ერთად უნდა დაიწეროს¹.

ნეთვორქინგი (networking) რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა: კონტაქტები, კავშირები, ურთიერთობები, კავშირების/კონტაქტების დამყარება.

„წარმატების მიღწევისათვის ცოდნასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს **ნეთვორქინგს**“.

ამ წინადადებაში თავისუფლად შეიძლება ზემოთ დასახელებული ნებისმიერი შესატყვისის გამოყენება.

პერფორმანსაც (performance) ქართულად რამდენიმე სიტყვა შეესაბამება: სპექტაკლი, წარმოდგენა, სანახაობა, რომლებიც დაახლოებით ერთი და იმავე შინაარსის მატარებელია.

„რობერტ სტურუას დადგმულმა **პერფორმანსმა** საერთაშორისო აღიარება მოიპოვა“... აქ უცილობლად **სპექტაკლი** იგულისხმება.

„ლიტერატურულ-მუსიკალურმა **პერფორმანსმა** მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა“; „თუმცა, როგორც აღმოჩნდა, პატარა **პერფორმანსი** მაინც შედგა, ოღონდ უჩემოდ“; „სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა „ქარვასლაში“ შემდეგი შინაარსის **პერფორმანსი** მოაწვეს“... ამ შემთხვევაში – წარმოდგენა.

„გახსნა უკვე შედგა ნინის **პერფორმანსით**“; „სახალხო **პერფორმანსი** დილამდე გაგრძელდა თავისუფლების მოედანზე“; „მრავალი ღონისძიება მოიცვა – მათ შორის: გამოფენები, კონცერტები, ლიტერატურული **პერფორმანსი**, სპექტაკლები...“; „ორი დღის შემდეგ ალექსიძე მიყვებოდა, რომ **პერფორმანსი** არა, მაგრამ რეზო ამაშუკელს გადაუწყვეტია მისი სახინკლეში წაყვანა“...

ეს უკვე სხვა შინაარსითაა – სანახაობა, ჩვენება.

¹ ვ. მაღრაძე, „ნასესხები შესიტყვება-კომპოზიტები მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მიხედვით“, „ქართული სიტყვის კულტურის სკიოთები“, წიგნი მეთექვსმეტე, გვ. 80-86, თბ., 2016.

„...მაცხოვრის ტაძარში პუტინის მმართველობის წინააღმდეგ მიმართული **პერფორმანსი** მოაწყვეს, საქმეა აღძრული“; „წრის **პერფორმანსი** მალე მასობრივ პროტესტად იქცა“; „ქალთა მოძრაობის“ ინიციატივით, გაიმართა აქცია **პერფორმანსი არ გაათხოვო**“...

დასახელებულ შემთხვევებში უკვე სულ სხვა შინაარსი აქვს ამ სიტყვას დაკისრებული – არა კულტურულ-გასართობი ღონისძიებები, არამედ პოლიტიკური გამოსვლა, აქცია.

რეკრუტირება (to recruit) – აყვანა (ახალი თანამშრომლებისა), გადაყვანა, მოზიდვა.

„საჯარო სექტორში თანამშრომლების **რეკრუტირება** საეჭვოდ გახანგრძლივდა“; „სასწრაფოდ გამოცხადდა მოხალისეთა **რეკრუტირება**“.

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში **რეკრუტირებას** სხვა-დასხვა მნიშვნელობა აქვს (პირველ მაგალითში „სამსახურში მიღება, აყვანა“, მეორეში – „გამოძახება“).

როტაცია (rotation) ქართულად – ბრუნვა, ტრიალი, წრებრუნვა, ცვალება, გადანაცვლება, მონაცვლეობა, შეცვლა.

„ქართული ჯარების **როტაცია** შემოდგომისთვისაა დაგეგმილი“; „ამჟამად მიმდინარეობს ერაყში სხვა ქვეყნების სამხედრო შენაერთების **როტაცია**“; „აუცილებელია, ჟიურის წევრთა სრული **როტაცია** ყოველ წელიწადს“...

სელებრიტი (celebrity) – ცნობილი, პოპულარული ადამიანი.

„პრემიერაზე ბევრი **სელებრიტი** ადამიანი იყო მიწვეული“; „...ზემოთ დასახელებული **სელებრიტი** წყვილის ნაწილია, „სპაის გელზის“ მომღერალია...“; „...მაღაზია მადრიდული არისტოკრატიის, სამეფო ოჯახისა და **სელებრიტი** საზოგადოების საყვარელი საოქრომჭედლოა“...

დასახელებულ წინადადებებში ინგლისური სიტყვის მნიშვნელობა მართებულადაა გამოყენებული, ხოლო ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში **სელებრიტის** მნიშვნელობა გაფართოებულია:

„ეს გახლდათ **სელებრიტი** ქეიფი უზარმაზარ კარავში“; „...ბოლო დრომდე ვერ გაიგო, სპორტული ცხოვრება უკეთესია თუ **სელებრიტი**“; ის რამდენიმე **სელებრიტი** ჟურნალის ყდაზე გამოჩნდა ლამაზმანების გარემოცვაში“; „ისე როგორ იქნება, ფეხბურთს გამოდებული ერთი **სელებრიტი** ამბავი“ არ გიამბოთ“...

ამ წინადადებებში იგულისხმება არა ცნობილი, პოპულარული ადამიანი, არამედ ქეიფი, ცხოვრება, ჟურნალი, ამბავი. თუმცა, ბოლო შემთხვევაში ავტორს უხერხულად უგრძნია ამბისა და სელებრითის დაკავშირება და ბჭყალებში ჩაუსვამს.

სლენგი (slang) – სიტყვა ან გამოთქმა, რომელსაც იყენებენ გარკვეული წრის, კლასების პროფესიის ადამიანები...

„მან ასეთ ბრალდებას, ნეოკოლონიალისტური **სლენგი** უწოდა“; „...საერთოდ არ მოსწონს როგორი ფორმით გადმოდის სხვადასხვა ენიდან **სლენგი** ქართულ ენაზე...“; „ჯობია არც ნახოთ! ან ამდენი **სლენგი** სად ისწავლა?“; „რა თქმა უნდა, ე. წ. **სლენგი**, გარკვეული დოზით ყოველთვის შემოვა...“...

ჩვენი კომენტარის ნაცვლად ორიოდე ამონარიდით შემოვიფარგლებით:

„...ენათმეცნიერთა შორის არის ტენდენცია, რომ **სლენგი** ცუდია, ენას დალუპავს, წაბილწავს“; „ენა მდიდარია – **სლენგი** ღარიბია...“; „რამდენად საჭიროა **სლენგი** და სკაბრეზი ლიტერატურაში“; „კარგად და ადეკვატურად გამოყენებული **სლენგი** კარგია, ცუდად გამოყენებული, შესაბამისად, – ცუდი“...

სლენგისადმი დამოკიდებულება სავსებით ნათელია: ზომიერება ყველაფერში აუცილებელია, თორემ ბარბარიზმები ისეა მოძალეებული, რომ ენას წაღეკავს.

სტაფი (staff) თანამშრომლებს, პერსონალს აღნიშნავს.

„ჩემი **სტაფი** ყველა სიტუაციაში გვერდით მიდგას“; „ჩემს **სტაფთან** ყველანაირ სირთულეს გადავლახავ“; „თითქმის მთელი **სტაფი** შევიკრიბეთ და საკუთრების უფლებაზე ვილაპარაკეთ“...

სტაფმითინგი (staff meeting) – თანამშრომლების შეკრება, სხდომა, თათბირი.

„ახლა ამის დრო არაა. **სტაფმითინგზე** განვიხილოთ ეს საკითხი“; „– გადადების დროა არაა, ახლავე **სტაფმითინგზე** განვიხილოთ“...

ამ შემთხვევაშიც რამდენიმე სიტყვაა ჩანაცვლებული – თანამშრომელთა თათბირი, კრება და სხდომა.

სუპერვაიზერი (supervisor) ზედამხედველს, ხელმძღვანელს ნიშნავს.

„კომპანია აცხადებს მიღებას **სუპერვაიზერის** თანამდებობაზე“; „ხათუნა გოლოშვილი „კონსტანტას“ **სუპერვაიზერი** იყო“...

შემდეგი წინადადებებია საინტერესო:

„ყველა რაიონში ჰყავდათ ზედამხედველი, ანუ **სუპერვაიზერი**“; „ამასობაში სასადილოს **სუპერვაიზერი**, ანუ შემმოწმებელი, მერე კი მენეჯერი გავხდი“; „ეს პროფესია – **სუპერვაიზერი** ისევე, როგორც პროდიუსერი... სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ გვყავს“...

ტრენდი (trend) მიმართულებას, მიმდინარეობას, ტენდენციას ნიშნავს.

„მაღალი საზოგადოების ქალბატონებში ეს **ტრენდი** მოდურია“; „მისი მთავარი **ტრენდი** არის პროპაგანდა“; „მნიშვნელოვანი დრო გავიდა იმისათვის, რომ დროებითი **ტრენდი** დასრულებულიყო“...

ტუნელს (tunnel) ქართულად გვირაბი შეესაბამება.

„სტალონეს გმირი გადაარჩენს ნიუიორკის სატრანსპორტო **ტუნელში** მოყოლილ ადამიანებს“; „...თუ გზა გაგყავთ და მიაღწიეთ მთას, **ტუნელი** უნდა გათხაროთ“; „მილიმეტრობით, მეტისმეტად ფრთხილად პინცეტს **ტუნელი** გაჰყავს მისი კელის ტვინში“...

უიკენდი (week end) – კვირის ბოლო, დასვენების დღე. ქართულად დასვენების დღე, ან კიდევ: უქმე დღე, უქმეები (როცა რამდენიმე დღე უწევს – შაბათ-კვირას...).

„ეს ვიზიტი უფრო ამერიკული **უიკენდი** და პიკნიკია“; „გზის გასწვრივ უამრავი ავტომანქანა იდგა. **უიკენდი** იწყებოდა“...

„წყვილმა სან პაულუმში **უიკ ენდი** ისე გაატარა, პრაქტიკულად, საყიდლებზე სიარული არ შეუწყვეტია“; „მეორე დღეს კვირა იყო ე. წ. **უიკ ენდი** იწყებოდა“; „...დაბადების დღეზე ქმარმა მას დაუვიწყარი რომანტიული¹ **უიკ-ენდი** მოუწყო პარიზში“...

„ენრიკო რომერომ გასული **უიქენდი** საავადმყოფოში გაატარა“; „...ფანტასტიკურად ჩავატარეთ პრაქტიკულად მთელი **უიქენდი**“...

„ექსცესებს შეჩვეული ახმეტის რაიონისათვის **უიქ ენდი** გამოდგა მშვიდი“...

„გასული **უიქ-ენდი** საშინელი გამოდგა“; „მორიგი საფეხბურთო **უიქ-ენდი** წარმატებული აღმოჩნდა“... უნდა იყოს: უქმე, დასვენების დღე.

ახლა ვნახოთ შემდეგი წინადადებები.

¹ უნდა იყოს: რომანტიკული.

„მორიგი საფეხბურთო **უიქ-ენდი** წარმატებული აღმოჩნდა ქართველ ლეგიონერთა დიდი ნაწილისათვის“; „გასული **უიქ-ენდი** ევროპულ ფეხბურთში ცოტა შეკვეცილი იყო“; „ყველამ ნახა, რომ კუბიცამ და ჰეიკი კოვალაინენმა მელბურნში დიდებული სარბოლო **უიქენდი** ჩაატარეს“; „ავსტრალიური **უიქენდი** ფრანგებისათვის უხეიროდ... დაიწყო“; „ჯანკარლომ **უიქენდი** შესანიშნავად ჩაატარა და დამსახურებულად იყო ფინიშზე მეოთხე...“....

აქ წარმოდგენილ წინადადებებში (და ასეთი მაგალითი არაერთია), **უიკენდი** არასწორადაა გამოყენებული, რადგან თავდაპირველი მნიშვნელობა მხოლოდ შაბათ-კვირის, დასვენების, უქმეების შინაარსს შეიცავს. ამ კონტექსტებში კი აშკარად ჩანს, რომ შაბათ-კვირას სპორტსმენებმა შეჯიბრება, რბოლა, საფეხბურთო მატჩები... ჩაატარეს, რაც არანაირად არ შეესაბამება დასვენებას. ამდენად, სიტყვა ახალი შინაარსით დატვირთეს.

სხვა საკითხია, რა ფორმით დაიწეროს ეს სიტყვა, ის ნაირგვარად დასტურდება:

1. ხან წერია **უიკენდი**, ხან – **უიქენდი**;

2. სამი ვარიანტია გამოყენებული: ცალ-ცალკე, დეფისით და ერთად დაწერილობით.

ქართული მართლწერის წესების გათვალისწინებით მართებულია:

1. **უიკენდი** – ინგლისური k ქართულში გადმოდის როგორც **კ**¹;

2. **უიკენდი** ქართულში ერთ ცნებას აღნიშნავს, ერთგნებია (უქმეების, შაბათ-კვირის, დასვენების აღმნიშვნელია) და ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს.

ფაზლი (puzzle) მოზაიკურ თავსატეხს ნიშნავს. ასაწყობი სათამაშოა ბავშვებისათვის.

„ეს **ფაზლი** დიდებისთვისაც კი რთულია“; „**ფაზლი** იწყობა და ყველა „ბედნიერდება“...“

ფართი (party) – დროსტარება, წვეულება, შეკრება, მიღება...

„მარინეს **ფართიზე** კარგად მოვილხინეთ“; „იქაც სუში **ფართი** მოვაწყვე“; „თუ ოდესმე **ფართი** მექნება, მეგობრებს დავუძახებ“; „ახალგაზრდული **ფართი** დილაამდე გაგრძელდა“; „ცოტა ხანში კიდეც გავმართავთ **ფართს**, ჰაბში წავალ და დავლევ“; „როცა **ფართიზე**

¹ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ბიულეტენი III, გვ. 14, თბ., 2019-2020.

ერთად ვიკრიბებით, ჩემს ამბებს ნინუცას ვუყვები“; „საზამთროს **ფართი** უნდა მოვაწყო და თქვენც მოგიწვევთ“; „თბილისურმა ელიტამ შობის დღესასწაული „ჩოხა **ფართით**“ აღნიშნა“...

ამ შემთხვევებში **წვეულება, დროსტარება** იგულისხმება.

„საელჩომ გამარჯვებული სტუდენტებისათვის **ფართი** გამართა“; „ლათინო **ფართის**“¹ „საბა **ფართი**“ მოჰყვა“...

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამ შემთხვევებში მიღება შეხვედრა, შეკრება იგულისხმება. ახალი სიტყვის „წყალობით“ ენაში რამდენიმე დამკვიდრებული სიტყვა დავიწყებას უნდა მიეცეს.

ფასვორდი (password) ინგლისური სიტყვაა.

„ჩემი **ფასვორდი** დამავიწყდა და უნდა შევცვალო“.

ფასვორდი ფრანგული პაროლის შესატყვისია, ორივე სიტყვა დათქმულ საიდუმლო სიტყვას ან ფრაზას ნიშნავს. დრო ხომ არაა, ქართულ ენას „ფასვორდი“ თუ „პაროლი“ დავადოთ, უცხოური სიტყვების შემოტევებისაგან დასაცავად?

ფეიჯი (პეიჯი) (page) გვერდს ეწოდება ქართულად.

„ჩემს **ფეიჯსაც** გადაავლეთ თვალი“; „ახლა შეგიძლია **ფეიჯი** ჩასქროლო“². უნდა იყოს: გვერდი.

ფეშენუიკი (fastion week), თუმცა ფეშენვიკს წერენ – მოდის კვირეულია.

„მათ თქვეს, რომ წიგნები უკვე გაყიდვაშია³ აქა და აქ, ხოლო **ფეშენვიკი** გაიმართება უიქენდზე“; „ელით გრანდიოზული გასართობი პროექტები: **ფეშენ-ვიკი**, ჯაზფესტივალები, მშვიდობის კონცერტი...“; ალბათ მათ, ვინც ეს **ფეშენ ვიკი** ჩაატარეს, არ აქვთ ინფორმაცია“; „...არ გამოვა ამ საქმიდან ის, რასაც **ფეშენ ვიკი** ჰქვია“; „თბილისში უამრავი **ფეშენ ვიკი**, თუ სხვადასხვა სახის „ჩვენებები“ ტარდება“...

აქ რამდენიმე შეცდომაა ერთად. პირველ წინადადებაში „წიგნები გაყიდვაშია“ რუსულის კალკია. უნდა იყოს: **წიგნები იყიდება**.

¹ პირველ რიგში, თუ ასე გამოვიყენებთ, ლათინო ფართი ერთად უნდა დაიწეროს. მეორეც, უცხოური ენის ყალიბით ნაწარმოები სიტყვაა. “ი” რუსულ კომპოზიტთა შემაკავშირებელი ხმოვანია.

² „დასქროლის“ შესახებ იხ. თავში „ბარბარიზმებიდან ნაწარმოები სიტყვები“.

³ „გაყიდვაშია“ რუსულის კალკია.

ბოლო წინადადებაში „სხვადასხვა ჩვენებები“ სინტაქსური გაუმართაობაა. სხვადასხვას უნდა შეეწყოს ჩვენება. მართებულია: **სხვადასხვა ჩვენება**.

რაც შეეხება მართლწერას, მართებულია **ფეშენუიკი** და არა **ფეშენვიკი**, თუმცა, მხოლოდ ამ ფორმით დასტურდება ქართულ ბეჭდვით მედიაში. გვხვდება სხვადასხვაგვარი დაწერილობით: ერთად, დეფსით და ცალ-ცალკე. ჩვენი აზრით, პირველ წინადადებაშია ერთადერთი მართებული ფორმა – ერთად დაწერილობით.

ფისკალური სახაზინოს ნიშნავს, ანუ სახელმწიფო საკუთრებას, თუმცა პოლიტიკოსებიცა და ჟურნალისტებიც უცხოურს ანიჭებენ უპირატესობას.

„რეფორმების მხარდამჭერი კრედიტი ითვალისწინებს **ფისკალური** სტაბილურობისა და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობას“; „...საჭიროების შემთხვევაში, მზად უნდა იყვნენ გაამჟღავნონ **ფისკალური** და მონეტარული პოლიტიკა“; „ამ მაჩვენებელზეა აგებული ქვეყანაში მომავალი წლის **ფისკალური** და მონეტარული პოლიტიკა“...

შოურუმი (Showroom) – ჩვენება, წარდგენა.

„...კეთდება **შოურუმი**, მოდიან კლიენტები და ყიდულობენ“; „იმდენად სიმპათიით განვეწყვე ამ გოგონების მიმართ, შევთავაზე მათი **შოურუმი** გამეკეთებინა სრულიად უსასყიდლოდ“; „...ანა ჩანგიანის მიერ შექმნილი საგაზაფხულო კოლექციის **შოუ-რუმი** და ასევე თექის...აქსესუარების გამოფენა“; „...იქნება როგორც ჩვენების პოდიუმი, ასევე დიზაინერების კოლექციების **შოუ რუმი**“...

შოურუმის წერისას ყველა შესაძლო ვარიანტს იყენებენ. მართალია, ინგლისურში ეს ლექსიკური ერთეული ორ სიტყვადაა წარმოდგენილი, მაგრამ ქართულში შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკე ერთეულებად არ აღიქმება, მხოლოდ ჩვენება, წარმოდგენა მოიაზრება. თუ მაინცდამაინც უცხოურად უნდა დაიწეროს, სასურველია, ბრჭყალებში ჩაისვას და ერთ სიტყვად გაფორმდეს – **შოურუმი**.

ჰაბი (hub) ქართულად ცენტრია.

„საქართველო მთელი რეგიონის უდიდესი სავაჭრო **ჰაბი** გახდა“; „...საქართველოს აქვს რესურსი, იყოს რეგიონალური **ჰაბი**“; „ჩვენ გვაქვს პრეტენზია, საქართველო გახდეს ე. წ. რეგიონალური **ჰაბი**“; „ზუგდიდი ტურიზმის **ჰაბად** უნდა ვაქციოთ“; „**ჰაბში** წავალ და დავლევ“...

მართალია, არც **ცენტრია** ქართული, ლათინურიდანაა შეთვისებული, მაგრამ დიდი ხნის დამკვიდრებული საერთაშორისო სიტყვაა. საინტერესოა, რომ **ცენტრს** რვა მნიშვნელობა აქვს და რვავე აქტიურად გამოიყენება ქართულ ენაში.

უცხო სიტყვების ენაში შემოტანა მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობითაა განპირობებული და გამართლებული – მაშინ, როდესაც ენას არ გააჩნია შესატყვისი ცნების გამომხატველი სათანადო ლექსიკური ერთეული. ყველა სხვა შემთხვევაში უცხო სიტყვა ენისათვის ბარბარიზმია. ამდენად, ხელაღებით და განურჩევლად სიტყვებით ენის „გამდიდრების“ მცდელობას დიდი ყურადღება, სიფრთხილე და ცოდნა სჭირდება.

ლიტერატურა

მალრაძე 2016 – ვ. მალრაძე, ნასესხები შესიტყვება-კომპოზიტები მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მიხედვით, „ქართული სიტყვის კულტურის სკითხვები“, წიგნი მეთექვსმეტე, თბილისი.

მალრაძე 2016 – ვ. მალრაძე, საერთაშორისო სიტყვა-ტერმინები თუ ბარბარიზმები, „ტერმინოლოგიის საკითხები, II“, თბილისი.

მალრაძე 2014 – ვ. მალრაძე, ბარბარიზმები და მათი ნეგატიური გავლენა ენობრივ კომუნიკაციებზე, „ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები – 4“, თბილისი.

ნეიმანი 1978 – ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ბიულეტენი III, თბილისი, 2019-2020.

საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე), 2017, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

ქეიკი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

ჭაბაშვილი 1986 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

Vakhtang Maghradze

Barbarisms

Summary

In contemporary Georgian – whether in the press, literary works, or scholarly literature – the frequent use of barbarisms has become somewhat fashionable. The introduction of foreign words into the language is justified and appropriate **only when necessary**, specifically when the language lacks a suitable lexical unit to express a given concept. In all other cases, a foreign word is a barbarism in the language. Accordingly, **attempts** to “enrich” the language indiscriminately with foreign terms require great care and caution. Moreover, a proper knowledge of one’s native language, along with love for and respect toward it, is essential.

ორი ფრაზეოლოგიური კალკის შესახებ

იდიომებში, ფრაზეოლოგიზმებში, „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმებში ხატოვნად და სხარტადაა ასახული ქართველი ხალხის გონებრივი თუ სულიერი ცხოვრების გამოცდილება. ვრცელი ისტორიული და ეთნოგრაფიული ექსკურსები, აგრეთვე, ფოლკლორული მასალის სიუხვე მიმზიდველს ხდის ფართო მსმენელისა და მკითხველისათვის“ (თ. სახოკია).

ფრაზეოლოგია ენის გამდიდრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. მისი დაუფლება ხელს უწყობს მეტყველების კულტურის ამაღლებას. მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის ურთიერთობას.

ტერმინი **იდიომი** მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან *ídiōma*, რაც **თავისებურებას** ნიშნავს. ხატოვანი სიტყვა-თქმები სწორედაც რომ ერის თავისებურების, მისი თვითმყოფადობის, მისი აზროვნების გამოხატულებაა. ქართველმა ხალხმა მრავალი საუკუნის განმავლობაში დაგროვილი ცოდნის, ხასიათის, გამოცდილების, ზნეჩვეულებების საფუძველზე შექმნა არაჩვეულებრივი სიტყვაშეხამებანი. ისინი გამოირჩევა საოცარი გამომსახველობითა და ზედმიწევნითობით.

იდიომი არის შესიტყვების ფორმის დაუშლელი ლექსიკური ერთეული, რომლის შინაარსი არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან (ალ. ონიანი). იგი შეიცავს ორ სიტყვას მაინც. იდიომის გვერდით შეიძლება არსებობდეს მისი ომონიმური შესიტყვება, რომელიც აგებულია არ განსხვავდება იდიომისაგან. **კუდამოძუებული წავიდა**, გადატანითი მნიშვნელობით – გაწვილებული წავიდა. კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამი არაფერს გვეუბნება იმ მნიშვნელობის შესახებ, რაც ამ იდიომს აქვს.

ფრაზეოლოგიურ ერთეულებს აქვს ერთი მნიშვნელობა, მაგრამ – სხვადასხვა ხატოვანება და ლექსიკური შედგენილობა. **არც ღვინოა, არც წყალი** – უხეირო, უგერგილო; **ნემსი არ ჩავარდებოდა** –

ამ გამოთქმას იტყვიან ხოლმე, როდესაც დიდი ჭედვაა, ხალხმრავლობაა, როცა სამრავლობა, გასაქანი არ არის, დიდი ვიწროობაა, ზღვა ხალხია; **არც მწვადი დაწვა და არც შამფური** – არცერთი საქმე არ წახდინა, არავის აწყენინა; ისე მოხერხებულად (ემმაკურად) გააკეთა საქმე, რომ არცერთ მხარეს ავნო, არც მეორეს...

როგორც აღვნიშნეთ, იდიომები მეტყველებას, ზეპირსა თუ წერითს, ალამაზებს, საინტერესოს, შინაარსიანსა და მიმზიდველს ხდის, მაგრამ არა სხვათა ენებიდან მექანიკურად გადმოღება და ქართული მრავალსაუკუნოვანი მარგალიტების ჩანაცვლება.

1. რუსული მხატვრული ფილმის ქართულ ვარიანტში ისმის ასეთი ფრაზა: მთელი ქალაქი **ყურებზე დაფაყენე**. ქალაქში ცნობილი, გავლენიანი მოქალაქე მოკლეს. პოლიციის უფროსი მოსკოვის საყვედურზე თავს იმართლებს: მთელი ქალაქი **ყურებზე დაფაყენე**, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს მივაკვლიეთ.

2. ქართული ენის კორპუსში 273 ერთეულიდან მხოლოდ ორი შემთხვევა დადასტურდა, ორივე რუსეთის სივრცეს მოიცავს და აშკარად რუსულიდან მექანიკური თარგმანია: „...მხიარული ბალკანური ანსამბლი No Smoking Orchestra კვლავ მოსკოვის **ყურებზე დაყენებას** აპირებენ“; „ამ ამბავმა მთელი პერმის მოსახლეობა **ყურებზე დააყენა**“¹.

ქართულ ლექსიკონებში (თ. სახოკია, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“; ალ. ონიანი, „ქართული იდიომები“; თ. შავიშვილი, „ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული“; ვ. პაპასკირი, „ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“; ნ. გამრეკელი, ე. მგალობლიშვილი, „ქართულ-რუსული ფრაზიოლოგიური ლექსიკონი“; „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“; ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონები; „ქართული ენის ეროვნული კორპუსი“) ვერსად მოვიძიეთ სიტყვაშეხამება **„ყურებზე დადგომა“**. ვ. პაპასკირის მიერ შედგენილ „ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში“ სხვადასხვა ვარიაციით ყურთან დაკავშირებული 92 ერთეული დასტურდება², ყურებზე დადგომა (დაყენება) არცერთხელ არაა მოხსენიებული.

ამ ფრაზეოლოგიური გამოთქმის შესატყვისია **ფეხზე დადგომა, ფეხზე დაყენება**, როელიც უხვად გვხვდება ქართულ მხატვრულ

¹ ვ. პაპასკირი, ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2011.

² იქვე.

ლიტერატურაში (ყველა დასახელებულ ლექსიკონშიც წარმოდგენილია. აქედან, ყველაზე უზვად, ვ. პაპასკირის ლექსიკონში – 5 სხვადასხვა ფორმით: **ფეხზე დადგება/დადგომა/დაყენება/დგას/დგომა**).

ფეხზე დააყენა:

„გუშინდელივით მახსოვს, იყო დიდი ზეიმი, სააბაშიო **ფეხზე დადგოდა**: მოგეხსენებათ ეს სტუმრობა!“ (ანა 1985); „(ისახარი) გამოვარდა გარეთ, შექმნა ყვირილი, ერთ წამზე მთელი სახლობა **ფეხზე დააყენა**“ (ეკ. გაბაშვი.);¹ „მთელი თბილისი **ფეხზე დააყენა** და გადმოაბრუნა, მაგრამ ვერც გაიოზის კვალს მიაგნო...“; „მომხდარმა ამბებმა მთელი ხალხი **ფეხზე დააყენა**“;² „ნაპოლეონის შემოსევამ **ფეხზე დააყენა** რუსი ხალხი დამპყრობლებთან საბრძოლველად“;³ „კაცი თუ ქალი, მოქალაქენი თუ სოფლელები ამ ამბავმა ერთიან **ფეხზე დააყენა**.“⁴

ფეხზე დადგომა: „მთელი არლანების გვარი **ფეხზე დადგა**“ (ვ. გამსახურდია)⁵...

ფეხზე დაყენება/დადგომა ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით არის: სამოქმედოდ, საბრძოლველად მომზადება, ამოძრავება.⁶

რა თქმა უნდა, არის ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებიც სხვადასხვა ენაში ერთი და იმავე შემადგენლობისაა ანუ ერთი და იმავე სიტყვებითაა წარმოდგენილი და შინაარსითაც ერთი და იგივეა: დროს, ხანს... გაიყვანს Тянуть время; სისხლი აუდუღდება Кровь бурлит; სიტყვას გადავა Отступит от слово; ცხვირს ყოფს Сухёт свой нос...⁷ ყურისძირში გაართყა Дал в ухо...⁸

თუმცა არის ისეთი იდიომები, რომლებიც შეიძლება ენის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ძნელი გასაგები იყოს: არც ღვინო, არც წყალი Не рыба, не мясо; ნემსი არ ჩავარდება Как сельдей (сельди) в

¹ თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.

³ ქართულ-რუსული ფრაზიოლოგიური ლექსიკონი, ნ. გამრეკელი, ე. მგალობლიშვილი, თბ., 1966.

⁴ ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

⁵ ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბ., 1966.

⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.

⁷ ქართულ-რუსული ფრაზიოლოგიური ლექსიკონი, ნ. გამრეკელი, ე. მგალობლიშვილი, თბ., 1966.

⁸ რუსულ-ქართული ლექსიკონი, III, თბ., 1959.

бочке; თხა ვიყიდე, თხა გავყიდე на ухо менять; ვინმესთან მხარდამხარ სიარული (სირბილი) В ухо идти (ან бежать, ехать) (с кем); ხელით სათრევია За уши тащить (ან тянуть)¹; გაფაციცებით უსმენს Во все уши слушает; ჭორიკანობა, ენატანობა Дуть (петь) в уши; იღმურძლება За уши трещит (так есть); გულიანად გაიცინა Рассмеялся до ушей...

საინტერესოა, რომ გარდა დასახელებული ლექსიკონებისა, ეს იდიომი (ყურებზე დადგომა) ვერ მოვიძიეთ ვერცერთ რუსულ ლექსიკონში (ვ. დალი [В. Даль, Толковый словарь, М., 1991], ს. ოჟეგოვი, [С. И. Ожегов, Словарь русского языка, М., 1990], ი. ცერცვაძე [Словарь русских словосочетаний с зависимой управляемой формой и их грузинских эквивалентов, Тб., 1980]). რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორმა სასაუბრო ენიდან აიღო და ქართულად თარგმნისას შეიქმნა რუსულის კალკი. აქვე დავუმატებთ, რომ არაერთ რუსულ ფილმში ხშირად ისმის „ყურეზე დადგომა“.

ჰიპერმარკეტ „კარფურის“ საიუბილეოდ ქართული ტელეკომპანიების ყველა არხზე დღეში რანდენჯერმე გადაიცემოდა რეკლამა: „კარფურში“ არის არნახული ფასდაკლება, გელით **მთა საჩუქრები!** რომ არ გავიმეოროთ, არცერთ ზემოთ დასახელებულ ქართულ ლექსიკონში არ დასტურდება საჩუქრების მსაზღვრელად სახელი მთა.

ეს იდიომიც არის კალკი – Mountain of gifts – ოღონდ ეს უკვე ინგლისურიდანაა გადმოღებული. ქართველის წარმოდგენაში მთა არის სიმაღლის, სიდიდის, სიდიადის, სიზვიადის, სიგოროზის, შეიძლება მედიდურობის, სინონიმი და არა სიმრავლისა. მთა 1. დედამიწის ამაღლებული ადგილი, რომელიც თავისი **სიმაღლით** (ხაზი ჩვენია) თვალსაჩინოდ აღემატება მიდამოს².

აი, „ზღვა თავისი განუზომელობით, გაზვიადებული სივრცით იმთავითვე ტოვებდა ადამიანზე განუზომელ შთაბეჭდილებას, და სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ ზღვა შეიქნა მისთვის ყოველივე გარშემოუწერელი სივრცის, სიმრავლის გამომხატველ სიტყვად“³.

ასეთივე მნიშვნელობითაა წარმოდგენილი ეს სიტყვა განმარტებით ლექსიკონში: „ზღვა 3. გადატ. უამრავი, აურაცხელი. **ზღვა**

¹ რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1983.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.

³ თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.

ხალხი, ზღვა სიხარული. ზღვად გასკდება – მეტისმეტად ბევრი მოვა (მოსავალი)¹. „ამ **ზღვა ქვეყანაში** მარტო თვითონ სწუხდა სულითა; თავის აზრით მარტო ის იყო ამ **ზღვა ხალხში** უბედური“ (ს. მგალობ.)²; „მარტო ვრჩებით მე შენ და **ზღვა სიყვარული**“; „**ზღვა ბედნიერებად** კმარა“; „რაც **ზღვა სურვილის** გამო სადღება“...³

ბევრის, უამრავის, აურაცხელის, უზომოს... გამოსახატავად, ბუნებრივია, **ზღვა** უნდა გამოვიყენოთ ქართულ გამოთქმებში: **ზღვა** სიხარულს გისურვებთ, **ზღვა** ხალხი მოგროვდა ჩემპიონის დასახვედრად, **ზღვა** საჩუქარი მიიღო პატარა იუბილარმა...

ბუნებრივია, რომ ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმებში **ზღვამ ბევრის, აუარებელის, განუმეორებლის** მნიშვნელობით დაიკავა ადგილი. მის ანტონიმად წარმოიჩნდა: „**ზღვაში წვეთი**, ძალიან ცოტა (რამესთან შედარებით)... მოსატაცებლად თხუთმეტიოდე კაციც ვეყოფით, საბრძოლველად კი ოცდახუთიც – **წვეთი ზღვაში**, – მიუგო გაბაშვილმა (ვ. ბარნ.)“⁴.

ამ ორი კალკით („ყურებზე დადგომა“ ნაცვლად **ფეხზე დადგომისა** და „მთა საჩუქრები“ ნაცვლად **ზღვა საჩუქრებისა**) ენის „გამდიდრების“ უნებლიე მიზეზი ძალიან მარტივი ასახსნელია: სცენარის მთარგმნელებისა და რეკლამის შემდგენლების მშობლიური ენის ლექსიკისა და ქართული ლიტერატურის არასათანადო ცოდნა. უშეცდომო არავინაა, მაგრამ ისეთი უხეში შეცდომა, რომელიც მყარი შესიტყვების, ქართული მრავალსაუკუნოვანი ხატოვანი, ფიგურალური გამოთქმების ხელყოფით მთავრდება, დაუშვებელია. ყველაზე დიდი რაოდენობის მსმენელი და მაყურებელი სწორედ ტელეგადაცემებს ჰყავს, ამდენად, სათანადო სამსახურებს ყურადღება და პასუხისმგებლობაც განსაკუთრებული მართებთ.

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.

² თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.

³ ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

⁴ ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბ., 1966.

ლიტერატურა

გამრეკელი, მგალობლიშვილი 1966 – ნ. გამრეკელი, ე. მგალობლიშვილი, ქართულ-რუსული ფრაზიოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

დალი 1991 – В. Даль, Толковый словарь, Москва.

ონიანი 1966 – ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი.

ოჟეგოვი 1990 – С. И. Ожегов, Словарь русского языка, Москва.

პაპასკირი 2011 – ვ. პაპასკირი, ფრაზეოლოგიური ლექსიკონი ტ. II, თბილისი.

რუსულ-ქართული ლექსიკონი, III, თბ., 1959;

რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1983;

სახოკია 1979 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.

ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

შავიშვილი 1960 – თ. შავიშვილი, ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ცერცვაძე 1980 – ი. ცერცვაძე – И. И. Церцвадзе, Словарь русских словосочетаний с зависимой управляемой формой и их грузинских эквивалентов, Тбилиси.

Vakhtang Maghradze

On Two Phraseological Calques

Summary

The creation of phraseological expressions in a language takes centuries; it is refined and perfected, embedding a significant part of its

spirituality and cultural essence (not “identity”). Yet, contemporary translators often prefer to translate literally from foreign languages. A Georgian proverb aptly illustrates this tendency: *“The owner of the Turashauli apple tree looked for the Panta pears in the forest.”*

The unintentional “enrichment” of the language is easily explained: it stems from translators’ and advertisers’ inadequate knowledge of the native language’s lexicon and of Georgian literature. While no one is infallible, a gross error – one that violates a fixed expression or Georgian phraseological tradition developed over centuries – is unacceptable. Television programs, which reach the largest audience, are particularly influential; therefore, the relevant institutions bear special responsibility and must exercise utmost care.

„ქრისტე აღსდგა“ თუ „ქრისტე აღდგა“?

ამ ბოლო პერიოდში ხშირად იყო მსჯელობა ამ საკითხზე – თუ რომელი ფორმაა სწორი „ქრისტე აღსდგა“ თუ „ქრისტე აღდგა“? ცხადია, რომ თანამედროვე ქართულისთვის გრამატიკულად სწორი ფორმაა „ქრისტე აღდგა“, რადგანაც ეს ზმნა არის ერთპირიანი და პრეფიქსული ს- არის მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშანი, ხოლო ეს პირი ზმნას არ გააჩნია. არგუმენტი „აღდგა“-ს სასარგებლოდ, რომ არის „აღდგომა“ და არა „აღსდგომა“ ღიმილის მომგვრელია, რადგან „აღდგომა“ მასდარია და, ცხადია, აქ პირის ნიშნებს არ უნდა ვეძებდეთ. სალიტერატურო ნორმების თანახმად, აღ- ძველი ფორმის ზმნისწინია და „აღდგომა“ უფრო სწორი ფორმაა თანამედროვე ქართულისთვის, მაგრამ ცხადია, რომ ეს სწორი გრამატიკული ფორმა სრულიად დაცილებულია ამოსავალ შინაარსს.

ფორმა „აღსდგა“ კონკორდანსში (GNC საშუალო ქართული, GNC ძველი ქართული, კონკორდანსი) გვხვდება 31-ჯერ და ამ ფორმათაგან მხოლოდ სამია ისეთი შემთხვევა, როცა ზმნა „აღსდგა“ წარმოდგენილია მიცემითბრუნვიანი ფორმის აქტანტით:

1. „ერთსა დღესა თთჳსა მის პირველისასა, თთჳს თავსა აღსდგა კრავი საწამებელისა“ (გამოსლვათა AK);
2. „დროს ამას აღსდგა მუსიკოსი... (მგზავრობა, გიორგი ავალიშვილი);
3. „დროს ამას აღსდგა ანტონი პერეტიე... (მგზავრობა, გიორგი ავალიშვილი)

როგორც დასახელებული ფორმებიდან ჩანს, სამივე შემთხვევაში მოცემული მიცემითბრუნვიანი აქტანტი ვერ იქნება ზმნის გრამატიკული პირი, რადგანაც ეს დროის გამომხატველი ფორმებია, ამ ტიპის ფორმები (ანუ დროითი არგუმენტები) კი არ მონაწილეობენ პოლიპერსონალური მორფოლოგიური სტრუქტურების შექმნაში. რაც შეეხება ფორმას „აღდგა“, იგივე კორპუსი ამ ზმნის 2088 ფორმას გვიჩვენებს.

რატომ გაჩნდა ირიბი ობიექტური პირის ნიშანი ფორმაში „აღსდგა“? სავარაუდოდ, ეს არის ლოკალური აქტანტის, ზმნის ირიბ-

ობიექტური მესამე პირის პრეფიქსური ნიშანი. უნდა ყოფილიყო „ქრისტე აღსდგა საფლავსა (ამას)“ / ქუეყანასა (ამას). შემდეგ ლოკალურმა აქტანტმა განიცადა სახეცვლილება და შესაძლოა იყოს წარმოდგენილი თანდებულებანი ფორმით, ან მოქმედებითი, ზოგჯერ კი ვითარებითი (არააქტანტური ბრუნვათა ფორმებით): „აღსდგა საფლავსა ზედა“, „აღსდგა საფლავითგან / საფლავიდან“, „აღსდგა მკვდრებით“, „აღსდგა ზეცად“ და სხვ.

გამოდის, რომ „აღსდგა“ პირნაკლი ზმნაა, როგორც „მძინავს“, „მღვიძავს“ „მაკანკალებს“ და ამ ტიპის ზმნები (შანიძე 1980). უნდა ითქვას, რომ არც ამ ზმნებს ეძებნებათ დაკარგული პირი ქართული ენის კორპუსის ფარგლებში, თუმცა აქ ეს საკითხი ეჭვს არ იწვევს და არც უფუნქციოდ დარჩენილ მორფემას (სუფიქსურ პირის ნიშანს) ემუქრება დაკარგვა თანამედროვე ქართულში. ენის განვითარების ლოგიკა კი გვკარნახობს, რომ ერთპლანიანი დონის ფონემისგან განსხვავებით (რომელიც მაგალითისთვის, შესაძლოა ანალოგიის ფონეტიკური მოვლენის საფუძველზეც განვითარდეს), არცერთი მორფემა ენაში არ ჩნდება უსაფუძვლოდ. ის იშვიათი გამონაკლისები, რასაც „კეთილხმოვანებას“ ვუწოდებთ, ასევე მოითხოვს გარკვეულ ლინგვისტურ ანალიზს და ამ ტიპის შემთხვევებსაც აქვთ თავისი ლინგვისტური ლოგიკური საფუძველი.

როგორიც არ უნდა იყოს დიაქრონიული სურათი, ფაქტია, რომ თანამედროვე ქართულში ზმნა *აღდგა/აღსდგა* ერთპირიანია და ამრიგად, ნორმის მიხედვით პრეფიქსული *ს-* აქ ზედმეტია, მაგრამ გასათვალისწინებელია გარემოებათა რიგი. კერძოდ, ნებისმიერ ენას შეუძლია დაუშვას გამონაკლისი და ეს სწორედაც ასეთი შემთხვევაა. თანამედროვე ქართულ ენაში ეს ფორმა („აღსდგა“) გამოიყენება მხოლოდ ქრისტეს აღდგომის გადმოსაცემად. ამდენად, სავესებით გამართლებულია ასეთი გამონაკლისის დაშვება მრავალი თვალსაზრისით – როგორც ლინგვისტური, ისე კულტურულ-რელიგიური კუთხით. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ რელიგიურ ტექსტებში განსაკუთრებული ექსპრესიული დატვირთვა აქვს თითოეულ ნიუანსს და ამ გარემოებას, ცხადია, უნდა გაეწიოს სათანადო ანგარიში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე საგულისხმოა პირიან ზმნათა და მასდართა მიმართება. კერძოდ, „აღსდგა“ ფორმისთვის მასდარია „აღდგომ“, მაშინ როდესაც „აღდგა“-ს შეესაძლება მასდარი „აღდგენა“ და „ადგა“-ს კი – „ადგომ“. აქვე უნდა ითქვას, რომ „აღდგა“

პოლისემიურია. ის შეიძლება იყოს „აღდგენა“ და „ადგომა“, მაგრამ არა „აღდგომა“. ძველი და საშუალო ქართული ენის კორპუსში (GNC საშუალო ქართული, GNC ძველი ქართული, კონკორდანსი) არ მოიპოვება არცერთი ფორმა „აღსდგებთან“, მაგრამ გვაქვს 45 ფორმა „აღდგებთან“, მაგ. „კეთროვანნი განიწმინდებთან, ყრუთა ესმის, და მკუდარნი აღდგებთან, და გლახაკთა ეხარების...“ (აღდგომა, ოთხთავი (წინათონური)). აქ ზმნის ფორმა „აღდგებთან“ მოიაზრებს აღდგენას (სხეულებრივს) და ადგომას (საფლავებიდან), მაგრამ არა **აღდგომას**, რამდენადაც **აღდგომა**, როგორც მოვლენა, მხოლოდ ქრისტეს ეხება.

ამრიგად, თანამედროვე ვითარებიდან გამომდინარე, მე მხარს ვუჭერ იმ არსებულ რეკომენდაციას, რომ „აღდგა“ და „აღსდგა“ იყოს პარალელური გამოყენების დაშვება და მცდარ ფორმად არ ჩაითვალოს „აღსდგა“. მეტიც, ფართოდ უნდა გავრცელდეს ინფორმაცია, რომ უფრო სწორი და მისაღები ფორმაა „**ქრისტე აღსდგა**“. ენას უნდა მიეცეს სწორი ფორმის კონსერვაციის შესაძლებლობა გამონაკლისის სახით.

ლიტერატურა

ქართული ენის ეროვნული კორპუსი (ქეევი)

<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>

ინტერვიუ **გია მურღულიასთან**

<https://www.facebook.com/watch/?v=956634528338182>

მელიქიშვილი 2021 – დ. მელიქიშვილი. „ყოველი საიდუმლო იმას ენასა შინა დამარხულ არს.“ „ქრისტე აღსდგა“ თუ - „ქრისტე აღდგა“? გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. VII, თბილისი.

შანიძე 1980 – აკ. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი.

ქრისტე აღსდგა თუ აღდგა – რომელია სწორი ფორმა? intermedia.ge

სოსო ლეხანიძე „ქრისტე აღდგა“ თუ „აღსდგა“ – სწორი ფორმა „ქრისტესმიერი“ და „საკრალურია“ თუ „გამონაკლისი გაჭირვებისა“?

<https://primetime.ge/news/sazogadoeb/qriste-aghdga-tu-aghsdga-stsori-forma-qristesmieri-da-sakraluria-tu-gamonaklisi-gachirvebisa>

„kriste aysdga“ or „kriste aydga“?

The paper concerns the issue about ‘Christ is risen’ in Georgian. Which is the correct form ‘kriste aysdga’ or ‘kriste aydga’? Glossing the Georgian verb ‘rises’ looks as the following: aγ(PREV)-s(3ind.OBJSG)-dg(stand)-a(3SBJSG). The question concerns the prefix s-. Since, this is one-personal verb, this marker s-, which stands for the third person indirect object marker, is redundant. However, the paper argues, that the form *aysdga* is correct.

აბსტრაქტული და კონკრეტული სახელების მნიშვნელობა ნეიროპლასტიკურობის განვითარებაში

ფსიქოლინგვისტიკის სფეროში სულ უფრო ცხადი გახდა, რომ აღმასრულებელი კონტროლი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტვინის ნეიროპლასტიკურობის განვითარებაში, რაც ტვინის მოქნილობას და ახალ გამოწვევებთან მორგების უნარს გულისხმობს. ნეიროპლასტიკობამ დაადასტურა ათწლეულების წინ, რომ ახლის შესწავლა და ახალი უნარების ათვისება ასაკზე არ არის დამოკიდებული და რომ ტვინი მუდმივ განახლებას განიცდის და ახალ ნეირონულ ქსელებს ქმნის მთელი ცხოვრების მანძილზე, განსაკუთრებით – როდესაც ადამიანი ახალ ენას ან უნარებს გამუდმებით ითვისებს.

ორენოვნება და მრავალენოვნება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა თანამედროვე სამყაროში. სულ უფრო მეტი კვლევა ადასტურებს ორთენოვანთა და მრავალენოვანთა ნეიროპლასტიკურობის უპირატესობას ერთენოვნებთან შედარებით, რა ასაკშიც არ უნდა იყოს ეს; ხოლო რაც უფრო მეტად ითვისებენ, თარგმნიან და იყენებენ ინდივიდები ახალ აბსტრაქტულ ცნებებს თუ გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებულ ლინგვისტურ ერთეულებს, მით უფრო მეტ მოქნილობას და ნეიროპლასტიკურობას იძენს ტვინი.

კვლევა შეისწავლის აბსტრაქტული არსებითი სახელებისა და ფიგურალური გამოთქმების აღქმას ერთენოვან, ორენოვან და მრავალენოვან შემსწავლელელებში და ამ გამოთქმების ზეგავლენას ენის შემსწავლელთა შემეცნებით შესაძლებლობებზე. ჩვენ ვაკვირდებით აბსტრაქტული ცნებების აღქმას კონკრეტულ არსებით სახელებთან შეპირისპირებით. კვლევა განიხილავს ტვინის მაღალი დონის პლასტიკურობის განვითარებას აბსტრაქტული ცნებების, მეტაფორებისა და ფიგურალური გამოთქმების გაგების, ახსნის, დამახსოვრებისა და ამოცნობის პროცესს კონკრეტული სახელების გაგების დროს ტვინის პლასტიკურობის დონესთან შედარებით.

კვლევა მიზნად ისახავს პასუხის გაცემას შემდეგ კითხვებზე:

რა მახასიათებლები განასხვავებს კონკრეტული ცნებების აღქმას აბსტრაქტული სიტყვების / ფრაზების აღქმისგან?

დაკავშირებულია თუ არა აბსტრაქტულობა უმაღლეს აღმასრულებელ კონტროლთან ტვინში და ტვინის მაღალ პლასტიკურობასთან?

ითვლება, რომ აბსტრაქტული ცნების გადაცემა, ახსნა და გაგება სხვადასხვა ენაში უფრო რთულია, ვიდრე კონკრეტული ცნების გადაცემა, ახსნა და გაგება. განსაკუთრებით ორენოვანი და მრავალენოვანი შემსწავლელები აწყდებიან აბსტრაქტული ცნებების (და ხშირად, ე.წ. გადაუთარგმნელი ერთეულების) გაგების და ენიდან ენაში გადაცემის რთულ ამოცანას, რაც კომპლექსურ მენტალურ ქმედებას მოითხოვს.

კვლევის შედეგები ასეთია:

სისტემატური მენტალური ვარჯიშის შედეგად, ორენოვან და მრავალენოვან ინდივიდებს შემეცნებითი უნარის სამი მნიშვნელოვანი უპირატესობა უვითარდებათ: 1) აბსტრაქტული ცნებების აღქმის სისწრაფე; 2) მრავალი ამოცანის შესრულების უნარი, პროაქტიული რეაგირება რამდენიმე თანადროულ დავალებაზე, როგორებიცაა რამდენიმე ენაზე ერთდროული თარგმანი და ინტერპრეტაცია და 3) კონტექსტის სწრაფი წინსწრება.

ელექტროენცეფალოგრამით (ეეგ) ტვინის კვლევამ გამოავლინა შემდეგი წინასწარი შედეგები:

ა) ორენოვანი და მრავალენოვანი შემსწავლელები 85-95 მილიწამით უფრო სრაფად აღიქვამენ ფიგურალურ მნიშვნელობებს ერთენოვნებთან შედარებით;

ბ) მრავალენოვანი შემსწავლელები 45-55 წამით უფრო სწრაფად აღიქვამენ რთულ ტექსტებს, ვიდრე ორენოვნები;

გ) ინდივიდები, რომლებიც ხშირად იყენებენ ან კითხულობენ მეტაფორულ გამოთქმებს და ტექსტებს, ხშირად ორ ქმედებას ერთდროულად ასრულებენ, მაგალითად – თანადროულ თარგმანს რამდენიმე ენაზე;

დ) ახალი ტექსტის კითხვისას ის შემსწავლელები, რომლებიც მეტაფორულ და აბსტრაქტულ ცნებებს ხშირად კითხულობენ (იყენებენ), წინსწრებით იცნობენ მომდევნო სიტყვებს, ქმედებებსა თუ ცნებებს კონტექსტიდან – 78%-იანი სიზუსტით, ხოლო ის

შემსწავლელები, რომლებიც აბსტრაქტულ ცნებებს ნაკლებად კითხულობენ (იყენებენ), მხოლოდ 22%-იანი სიზუსტით იცნობენ მომდევნო სიტყვებს ან ფრაზებს ტექსტებში.

ლიტერატურა

ბორგი 2018 – Borghi, A. *Varieties of abstract concepts: development, use and representation in the brain*. The Royal Society.

გროძინსკი, შაპირო, სუინი 2000 – Grodzinsky, Y.; Shapiro, L.; Swinney, D. (eds.). *Language and the brain. Representation and Processing*. Foundations of Neuropsychology Series. Academic Press.

უანგი 2010 – Wang, J. *Neural Representation of Abstract and Concrete Concepts: A Meta-Analysis of Neuroimaging studies*. Wiley online library.

ქუმინსი 2019 – Cummins, C. *Oxford Handbook in Linguistics*. Oxford University Press.

ჰარფეინტერი 2020 – Harpaintner, M. *The grounding of abstract concepts in the motor and visual system: an fMRI study*. Elsevier.

ჰიუნი 2000 – Heun, R. *The Concreteness Effect: Evidence for Dual Coding and Context Availability*. Academic Press.

ჰოფმანი 2014 – Hoffman, P. *Different contributions of inferior prefrontal and anterior temporal cortex to concrete and abstract conceptual knowledge*. Elsevier Ltd.

Mariam Orkodashvili

The Importance of Using Abstract vs Concrete Nouns for the Development of Neuroplasticity

Summary

The research studies the recognition of abstract nouns and figurative expressions as opposed to concrete nouns in monolingual, bilingual and

multilingual individuals, and its effects on their cognitive capacities. The study discusses the development of higher brain plasticity in the process of understanding, explaining, remembering and recognizing abstract concepts, metaphors and figurative expressions as compared to the brain plasticity in the case of understanding concrete nouns.

It is assumed that transferring, explaining and understanding an abstract concept across languages is more difficult than transferring, explaining and understanding concrete concepts. Especially multilingual and bilingual individuals commonly encounter this challenging task of understanding and explaining abstract concepts (often so called *untranslatables*) in different languages which usually requires elaborate mental activity.

As a result of this systematic mental exercise, bilingual and multilingual individuals develop three important advantageous features of cognitive capacity as opposed to monolinguals: 1) quicker response time to understanding abstract concepts; 2) multitasking ability of understanding and reacting (or proacting) to simultaneous multiple tasks such as simultaneous translation and interpretation; and 3) quicker context anticipation.

ერთი ტიპის კომპოზიტთა მართლწერისათვის¹

თანამედროვე ქართულში არის ერთი ჯგუფი კომპოზიტებისა,² რომლებიც მიღებულია ბრუნვისფორმიან პირველ ნაწილთან ცალკე მდგომი თანდებულის ან თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნიზედის შერწყმით. ასეთ შემთხვევაში ცალკე მდგომი თანდებულები ავტონომიურობას კარგავენ და კომპოზიტის ნაწილად წარმოგვიდგებიან: **ბუნებისმიერი, ძალისმიერი, სოკოსმიერი... რიგებშუა, კლდეებშუა, ნეკნებშუა, რგოლებშუა, ფურცლებშუა, ღეროებშუა... კბილთაშუა** (თანხმოვანი), **ხმელთაშუა** (ხმელთაშუა ზღვა), **რიგთაშუა, ძვალთაშუა... ნეკნებშორისი // ნეკნთაშორისი, ძალებშორისი // ძალებშორისი, ქვეყნებშორისი // ქვეყანათაშორისი...**

რაც შეეხება კომპოზიტის მეორე ნაწილად დადასტურებულ თანდებულის ფუნქციით გამოყენებულ ზმნიზედებს, ისინი მიერთვიან უბრუნვისნიშნო თანხმოვანფუძიან ან ბრუნვისნიშნიან ხმოვანფუძიან პირველ კომპონენტს:

ა) **საზღვარგარეთ, ქალაქგარეთ, კლასგარეთ, შტატგარეშე, ლიმიტგარეშე, წყალგაღმა, წელზევით, პირიქით, თავზევით, წელქვევით, თოვლქვეშ, ფრთებქვეშ, ვაგონქვეშ, თავქვეშ, თაღებქვეშ, კალთებქვეშ, სხივებქვეშ, ტახტქვეშ, უღელქვეშ, წიხლქვეშ, წყალქვეშ...**

ბ) **ბირჟისგარეშე, სკოლისგარეშე...**

ზემოაღნიშნული ტიპის კომპოზიტებში პირველი ნაწილი შეიძლება იყოს მხოლოდითი რიცხვის თუ **ეზიანი** მრავლობითის რომელიმე ბრუნვის ფორმით ან შეგვხვდეს **თანაიან** მრავლობითში:

1. პირველი კომპონენტი მხოლოდითია და –

¹ სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – კომპოზიცია (SL-24-157) ფარგლებში.

² კვლევისთვის გავითვალისწინეთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (8-ტომეული), ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონისა და ქართული ენის ეროვნული კორპუსის მასალა, ასევე – ინტერნეტრესურსები.

ა) ჩამოცილებული აქვს ბრუნვის ნიშანი სრულად: **საზღვარგარეთ, ქალაქგარეთ, შტატგარეშე, ლიმიტგარეშე, წელზევით, პირიქით, თავზევით, წელქვევით, თოვლქვეშ, უღელქვეშ, წიხლქვეშ, წყალქვეშ, ხეებქვეშ...**

ბ) შენარჩუნებული აქვს ბრუნვის ნიშანი: **ბირჟისგარეშე, სკოლისგარეშე...**

2. კომპოზიტის პირველი ნაწილი **ეზიან მრავლობითშია** და ჩამოცილებული აქვს ბრუნვის ნიშანი სრულად: **კაკლებქვეშ, კლდეებშუა, რტოებქვეშ, სხივებქვეშ, ტოტებქვეშ, ფრთებქვეშ, ღეროებშუა...**

3. პირველი კომპონენტი **თანთან** მრავლობითშია და –

ა) წარმოდგენილია „ა“ სავრცობით: **კბილთაშუა** (თანხმოვანი), **ხმელთაშუა** (ხმელთაშუა ზღვა), **რიგთაშუა, ძვალთაშუა...**

ბ) გაუვრცობელი ფორმითაა: **ბიბლიოთეკათშორისი, ბირჟათშორისი, ლიანდაგთშორისი, სართულთშორისი...**

დასახელებული ტიპის რთული სახელების მართლწერისას ძირითადად დაისმის ერთ სიტყვად (რა თქმა უნდა, უდეფისოდ) თუ ცალ-ცალკე დაწერის საკითხი. სირთულეს ქმნის ისეთი ერთეულები, რომელთა პირველ კომპონენტებს შენარჩუნებული აქვთ ბრუნვის ნიშანი. ზოგადად, პირველი სიტყვისთვის ბრუნვის ნიშნის ჩამოცილება ხელს უწყობს კომპოზიციას. შდრ.: **კლასგარეშე** (ლიტერატურა), მაგრამ **კლასის გარეშე** შეუძლებელია გაკვეთილის ჩატარება.

შესაბამისად, თუ ზემოთ აღნიშნული ტიპის კომპოზიტების პირველი ნაწილი არის **მხოლოდით რიცხვში** ან **ეზიან მრავლობითში** მდგარი თანხმოვანფუძიანი სიტყვა და მას ჩამოცილებული აქვს ბრუნვის ნიშანი, ის ერთ სიტყვად დაიწერება: **თავზევით, თვალწინ, თოვლქვეშ, ლიმიტგარეშე, პირიქით, საზღვარგარეთ, სხივებქვეშ, ფრთებქვეშ, ქალაქგარეთ, შტატგარეშე, ცხვირწინ, წელზევით, წყალგაღმა, ხევაღმა...**

ბრუნვის ნიშნის შენარჩუნების შემთხვევაში უმეტესად გვაქვს შესიტყვება და ორ სიტყვად უნდა წარმოვადგინოთ შემდეგი ერთეულები:

ეჭვის გარეშე, მაგრამ ეჭვგარეშე
კლასის გარეშე, მაგრამ კლასგარეშე
თავის ზევით, მაგრამ თავზევით
თვალის წინ, მაგრამ თვალწინ

**ცხვირის წინ, მაგრამ ცხვირწინ
მუცლის ქვეშ, მაგრამ მუცელქვეშ
უღლის ქვეშ, მაგრამ უღელქვეშ
წყლის გაღმა, მაგრამ წყალგაღმა
ხევის გაღმა, მაგრამ ხევგაღმა
ბოდებს შუა, მაგრამ ბოდებშუა
თითებს შუა, მაგრამ თითებშუა...**

ცალკე მდგომი თანდებულისა თუ თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნიზედის სახელთან შერწყმის შედეგად მიიღება კიდევ ერთი ჯგუფი **ახალი სახელებისა** (უმეტესად ტერმინები), რომელთა პირველი ნაწილი ბრუნვისფორმიანი ერთეულია (ბრუნვის ნიშნით ან მის გარეშე) ან თანაირ მრავლობითში მდგარი სიტყვა (გავრცობილი ან გაუვრცობელი):

1. პირველი კომპონენტი მხოლობითშია და –

ა. ჩამოცილებული აქვს ბრუნვის ნიშანი: **წყალზევითი, პირიქითი...**

ბ. შენარჩუნებული აქვს ბრუნვის ნიშანი¹: **ბუნებისმიერი, ძალისმიერი, სოკოსმიერი... მთვარისირგვლივი... სკოლისგარეშე** (განათლება), **ბირჟისგარეშე** (ოპერაციები)...

2. კომპოზიტის პირველი ნაწილი **ეზიან** მრავლობითშია: **ნეკნებშორისი, მალეშშორისი, ქვეყნებშორისი...**

3. რთული სიტყვის პირველი კომპონენტი **თანაირ** მრავლობითშია და –

ა. გავრცობილია: **ნეკნთაშორისი, მალთაშორისი, ქვეყანათაშორისი...**

ბ. წარმოდგენილია „ა“ სავრცობის გარეშე: **ბიბლიოთეკათშორისი, ბირჟათშორისი, ლიანდაგთშორისი, სართულთშორისი...**

როგორც მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, ამ ტიპის სახელებში პირველ კომპონენტს შესაძლოა შენარჩუნებული ჰქონდეს ბრუნვის ნიშანი, თუმცა ახალი სიტყვის მიღება და მისი ერთგნებინობა მხარს უჭერს ასეთი ერთეულების ერთად დაწერას. შდრ.: **სკოლისგარეშე** განათლება და **გეგმის გარეშე** მოვიდა.

¹ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამგვარ ბრუნვისნიშანშენარჩუნებული პირველი კომპონენტები, როგორც წესი, ხმოვანფუძიანი სახელებია.

დამატებით არგუმენტად ასევე უნდა მივმართოთ კომპოზიტი-სა და შესიტყვების გარჩევის არნ. ჩიქობავას მეთოდს, რომელიც გულისხმობს შემადგენელ ნაწილთა გათიშვას (გადასმით ან შიგ სხვა სიტყვის ჩართვით). „სადაც შესიტყვება კომპოზიტად არის უკვე ქცეული, გათიშვა შეუძლებელი ხდება (კომპოზიტის მნიშვნელობა იშლება). სადაც გათიშვა დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს, შესიტყვება გვაქვს და არა ერთი რთული სიტყვა, კომპოზიტი. სადაც გადასმა შესაძლებელია, მაგრამ საჩოთიროა, იქ კომპოზიტად ქცევის პროცესი დამთავრებული არაა: გარდამავალ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე“ [ჩიქობავა 2008: 163]. საილუსტრაციოდ მოხმობილი ერთეულების დაშლა-გადასმა მნიშვნელობის ან/და ფორმის ცვლილების გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ისინი ერთად უნდა დაიწეროს.

რაც შეეხება წესებისგან გამონაკლის ფორმებს, ისინი უნდა აი-სახოს ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

ლიტერატურა

ენციკლოპედია „ქართული ენა“ 2008 – ენციკლოპედია „ქართული ენა“, ი. ქობალავა (შემდგენელი), გ. კვარაცხელია (რედაქტორი), თბილისი.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები 1986 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის 2016 – თ. ვაშაკიძე (რედაქტორი, ავტორ-შემდგენელი), თ. ბურჭულაძე, მ. ლაბარტყავა, ვ. მალრაძე, თ. მახარობლიძე, თ. ტეტელოშვილი, მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, თბილისი.

მაჭავარიანი 2015 – ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998 – ვ. თოფური, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (8-ტომეული), (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>)

ქეიკი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი (<http://gnc.gov.ge/gnc/page>)

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III.
ჩიქობავა 2008 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

Tea Teteloshvili

On the Orthography of One Type of Compound Words

Summary

In Modern Georgian, there exists a group of compound words formed through the fusion of a first component marked by a case form with a postposition occurring independently, or with an adverb functioning as a postposition. In determining the orthography of such compound words, the principal issue concerns whether they should be written as a single word (naturally, without a hyphen) or as separate lexical units. Particular difficulty arises in the case of forms the first components of which retain explicit case markers. In general, the elimination of the case marker from the first constituent facilitates compounding. Compare, for example: *klasgareše* (“extracurricular”), and *klasis gareše* (“outside the class”), as in *It is impossible to conduct a lesson outside the class*.

Accordingly, if compound words of the type discussed above have a consonant-base word in the singular or in the *-eb* plural as their first component, from which the case marker has been removed, they are written as a single word: *tavzevit* (“above the head”), *tvalçin* (“before the eyes”), *tovlkveš* (“under the snow”), *pirikit* (“conversely”), *prtebkveš* (“under the wings”), *kalakgaret* (“outside the city”), *štatgareše* (“off-staff”), *cxvirçin* (“right before the nose”), *çelzevit* (“above the waist”), *çqalgaγma* (“across the water”), etc.

When the case marker is retained, we most often encounter syntagms, and the following units should therefore be presented as two separate words: *eçvis gareše* (“without doubt,” but *eçvgareše*), *tavis zevit* (“above one’s head,” but *tavzevit*), *cxviris çin* (“in front of the nose,” but *cxvirçin*), *muclis lveš* (“under the stomach,” but *mucelkveš*), *xavis gaγma* (“across the

ravine,” but *xevgayma*), *bozebs šua* (“between the poles,” but *bozebšua*), *titebs šua* (“between the fingers,” but *titebšua*), and so forth.

Through the fusion of an independently occurring postposition, or an adverb used in a postpositional function, with a nominal, yet another group of new nominals is formed (predominantly terminological in nature). In these formations, the first component is a case-marked unit (with or without a case marker) or a word in the *-tan* plural, either extended or non-extended: *çgalzeviti* (“above-water”), *pirikiti* (“inverse”), *zalismieri* (“force-based”), *mtvarisirgvlivi* (“circumlunar”), *şkolisgareše* (“extracurricular [education]”), *malebşorisi* (“inter-limbal”), *kveqanataşorisi* (“interstate”), *biблиотекаşorisi* (“interlibrary”), *biržatşorisi* (“inter-exchange”), etc.

As the examples demonstrate, in the words of this type the first component may retain its case marker; nevertheless, the formation of a new lexical item and its semantic unity argue in favor of writing such units as a single word. Compare: *şkolisgareše ganatleba* (“extracurricular education”) and *gegmiş gareše movida* (“he/she came without a plan”).

As an additional argument, one may also invoke Arn. Chikobava’s method for distinguishing compounds from syntactic word combinations, which involves testing the separability of the components (by coordination or by inserting another word between them).

As for forms that constitute exceptions to the established rules, they should be duly recorded in the new orthographic dictionary.

ინტერვიუს სტილური მახასიათებლებისათვის

ნებისმიერი მწიგნობრობის მთელი ისტორია სტილისტიკის დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას წარმოადგენს. მით უფრო დიდია ეს გამოცდილება, რაც უფრო ხანგრძლივია მისი ისტორია და ფართოა ის სფეროები, ის ასპარეზი, რომელსაც ეროვნული ენა სწვდება და მოიცავს [არაბული 2004: 188].

ფუნქციური სტილები საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებმა წარმოშვა. მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის როლს უჩვეულოდ ზრდის საქართველოს საზოგადოებრივკულტურული ცხოვრების მრავალმხრივი განვითარება. პოლივალენტოვან ქართულ სალიტერატურო ენას ფუნქციურ სტილთა მდიდარი სისტემა აქვს [კვარაცხელია 1990: 12].

ტრადიციულ მედიაში (ტელევიზია, რადიო, პრესა) ინტერვიუ დიალოგური ტექსტია, რომლის სტილური მაჩვენებლები ბუნებრივი და სასაუბრო ლექსიკით ხასიათდება. დ. სილვერმანის მიხედვით, ის არის „საუბარი მიზნისთვის“, რომელშიც ჟურნალისტის ამოცანაა რესპონდენტის აზრის ფორმირება [Silverman 2016: 88-90].

ინტერვიუს სტილურ მახასიათებლებად გამოყოფილია:

- სიზუსტე;
- თანმიმდევრულობა;
- ლაკონიურობა;
- ექსპრესიულობა.

ჟურნალისტი ერთდროულადაა ინფორმაციის გამტარიც და ენობრივი მოდერატორიც, რომელიც აკონტროლებს საუბრის ტონსა და შინაარსს. მისი ეთიკური პასუხისმგებლობაა, ინფორმაცია ისე გადასცეს მსმენელსა თუ მაყურებელს, რომ არ დაირღვეს აუდიტორიის ნდობა [კაპანაძე 2019: 102-104].

ტრადიციულ მედიაში ინტერვიუ ემყარებოდა მკაცრ სტრუქტურასა და ფორმალურ ენას. ტექნიკური პროგრესის შედეგად, ის გარდაიქმნა ინტერაქტიურ დისკურსად, რომელშიც რესპონდენტი და აუდიტორია აქტიურად მონაწილეობენ. დღეს ინტერვიუ შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა პლატფორმაზე: YouTube, Instagram,

TikTok... მათი მიზანია საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და ინფორმაციის სწრაფად გავრცელება.

დროთა განმავლობაში ინტერვიუ ავტორიტეტული და ფორმალური კომუნიკაციიდან ინტერაქტიურ და დიალოგურ პროცესად გარდაიქმნა. შესაბამისად, ზემოდასახელებულ მახასიათებლებს დამატა:

- სათქმელის ეფექტური დასაწყისის შერჩევა ყურადღების მიპყრობად (ინტრიგის შემცველი ფრაზები, ექსპრესია...);
- მოკლე, კონკრეტული, საზოგადოებისთვის საინტერესო, ემოციურად თუ ინფორმაციულად დატვირთული კითხვები;
- ვიზუალიზაცია (მონტაჟი, პატარ-პატარა ეპიზოდები, ტიტრები, გრაფიკული ელემენტები).

აღსანიშნავია, რომ სოციალურ ქსელებში ინტერვიუს ფორმატი პლატფორმაზეა დამოკიდებული. ჩვენი დაკვირვებით, YouTube-ში ინტერვიუ ბევრად გრძელი და სიღრმისეულია, Facebook-ზე – ინფორმაციული და საზოგადოების ინტერესზე მორგებული; Tiktok-სა და Instagram-ზე – მოკლე, სწრაფი და ემოციური.

როგორც აღინიშნა, ინტერვიუ სოციალურ ქსელებში მხოლოდ საინფორმაციო საშუალება როდია. აქ ჩართულია აუდიტორია, რომელიც გამოხატავს თავის დამოკიდებულებას კომენტარების, გაზიარებისა თუ მოწონების გზებით.

ქვემოთ წარმოდგენილია ბესიკ ხარანაულის (როგორც რესპონდენტის) და ინტერვიუერის დიალოგი.

ინტერვიუერი: *თქვენი პირველი წიგნი...*

რესპონდენტი: 10-12 წლის ვიქნებოდი, სხვენში აღმოვაჩინე დედაჩემის გადამალული წიგნები, რომლებიც „პოლიტიკურ დევნილებივით“ იმალებოდნენ ჩვენს სხვენში. ეს მეც მესმოდა, მაგრამ, აკრძალვის მიუხედავად, ჩუმად ჩამოვიტანე სამი წიგნი: გალაკტიონის ლექსები, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ და რობაქიძის „გველის პერანგი“. იქ სხვა წიგნებიც იყო, მაგრამ ეს სამი ავტორი იმიტომ ავარჩიე, რომ ეს სახელები მესმოდა დედაჩემის და მისი მეგობრის, რუსუდან გელოვანის ჩურჩულით საუბრებიდან. მაშინ არც ავტორებს ვიცნობდი და არც ამ წიგნების ლიტერატურული ღირებულება ვიცოდი. ასე დავიწყე კითხვა, თუმცა არ დამცალდა. რამდენიმე დღეში წიგნები გაქრა ჩვენი სახლიდან. მოგეხსენებათ, მე დავიბადე

უხსოვარ, შავბნელ დროში: უპოვრობაში, უშუქობაში, უპურობაში, უშემოებაში, შიმში, შიმშილსა და უწიგნობაში.

ინტერვიუერი: *ბავშვობის საყვარელი წიგნი...*

რესპონდენტი: „ბიძია თომას ქოხი“ და რომენ როლანის „გმირული ბიოგრაფიები“.

ინტერვიუერი: *წიგნი, რომელმაც „მოზარდობის წლებში შეცვალა“...*

რესპონდენტი: შექსპირის ტრაგედიების მეორე ტომი, რომელშიც იყო: „ჰამლეტი“, „ოთელო“, „მაკბეტი“ და „მეფე ლირი. ზეპირად ვიცოდი, სკოლის ძალებით სპექტაკლებს ვდგამდი, თვითონაც ვთამაშობდი მთავარ როლებს. ჩემი პირველი მაყურებელი იყო ბებიჩემი – ერთგული. შექსპირი დღემდე ძალიან ახლობელია ჩემთვის და ვფიქრობ, რომ არცერთი წინადადება არ არის ჩვეულებრივი. დრამებში მეტი პოეზიაა, ვიდრე სონეტებში.

ინტერვიუერი: *მწერალი, რომელმაც თქვენი შეხედულებები შეცვალა...*

რესპონდენტი: ლიტერატურა, თუ ის ნამდვილია, შეხედულებებზე მაღლა დგას. ისე, მართალი რომ გითხრათ, ამ სიტყვის მნიშვნელობა კარგად არ მესმის. „შეხედულებები“ მოგონილი სიტყვაა, მგონი, არც არის ქართული. მე ვფიქრობ, რომ კითხვა უნდა დაიწყო წინასწარი აზრისა და მოლოდინების გარეშე, სრულიად ცარიელმა. რა მოუტანა „ფაუსტს“ იმან, რომ ყველამ, ვინც კი ხელში აიღო, წინასწარ იცოდა, რომ დიდი წიგნი ეჭირა?! ვაჟა-ფშაველა რამდენჯერაც არ უნდა წავიკითხო, ყოველ ჯერზე მგონია, რომ პირველად აღმოვაჩინე. ბავშვობაში განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა დონ კიხოტმა, რომლის ხევსურ პროტოტიპებს შორისაც ვიზრდებოდი. ახალგაზრდობაში შემამოფოთებელი ეფექტი ჰქონდა კამიუს, სელინს... ჩამოთვლამ იცის გამორჩენა...

ინტერვიუერი: *წიგნი, რომელმაც წერის სურვილი გაგიჩინათ...*

რესპონდენტი: ისევ შექსპირი. დღესაც შექსპირი თუ წავიკითხე, წერა მინდებდა.

ინტერვიუერი: *წიგნი ან ავტორი, რომელსაც უბრუნდებით...*

რესპონდენტი: ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმა. თითქმის ყოველ წელს ვკითხულობ, მოთხოვნილება მაქვს; ალექსი ჭინჭარაულის „ხევსურული ლექსიკონი“.

ინტერვიუერი: წიგნი ან ავტორი, რომელსაც აღარასოდეს დაუბრუნდებოდა...

რესპონდენტი: ტოლსტოი და დოსტოევსკი.

ინტერვიუერი: წიგნი, რომელიც მოგვიანებით აღმოაჩინეთ...

რესპონდენტი: გილგამეში... და კიდევ კარგი, რომ აღმოვაჩინე. ბევრჯერ მაქვს წაკითხული. პირველად რომ წავიკითხე, ჩავთვალე, რომ ეს არის მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლი. მეორედ რომ წავიკითხე, აღმოვაჩინე, რომ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტური ნაწარმოები. დღემდე ასე ვთვლი.

ინტერვიუერი: პერსონაჟი, რომელთანაც საკუთარ თავს აიგივებოდა...

რესპონდენტი: მაინცდამაინც არ მაქვს მსგავსი მიდრეკილება, რომ პერსონაჟთან თავი გავაიგივო. იმდენად ძლიერია ჩემში „სხვა“ და „სხვისი“, რომ გაიგივება არ მინდება ხოლმე. თუმცა ოდისევსის ტყავში კი ხშირად ვყოფილვარ. ასევე მიყვარს ჰამლეტი, დონ კიხოტი, ალუდა ქეთელაური.

ინტერვიუერი: ცნობილი წიგნი ან ავტორი, რომელიც არ გიყვართ...

რესპონდენტი: ასეთი ბრძოლა არცერთ მწერალთან და წიგნთან არ მაქვს გამართული.

ინტერვიუერი: წიგნები, რომლებიც ვერ დაასრულეთ...

რესპონდენტი: „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა...“

ინტერვიუერი: ბოლო წიგნი, რომელიც შეიძინეთ...

რესპონდენტი: ჩემი „უძღვები შვილი“.

ინტერვიუერი: წიგნი, რომელსაც ახლა კითხულობთ...

რესპონდენტი: ალექსი ჭინჭარაულის „ხევსურული ლექსიკონი“, რომელსაც ათი წელია ხელიდან არ ვუშვებ. ეს არის ერთი დიდებული პოეტური ნაწარმოები ერთ ძველთაძველ ტრაგიკულ ტომზე. ამ წიგნში იმდენი ცოდნაა მოგროვილი, რაც შეიძლება, საუკუნეებში დააგროვოს დონ კიხოტივით ხალხმა.

ინტერვიუერი: წიგნი ან ავტორი, რომლის თარგმნასაც ისურვებდით...

რესპონდენტი: არ ვიცი. ეგეთი ლიტერატურული ამბიციები არასდროს მქონია.

ინტერვიუერი: წიგნი, რომლის წაკითხვასაც ამ ინტერვიუს მკითხველს ურჩევთ...

რესპონდენტი: *პოეზია. პოეზიის კითხვას ვურჩევდი ყველას...*

ზემოწარმოდგენილი დიალოგი (ინტერვიუერისა და ბესიკ ხარანაულის) გამოირჩევა ექსპრესიულობითა და უშუალობით – განსაკუთრებით ხაზს უსვამს რესპონდენტის დამოკიდებულებას სხვადასხვა ავტორთან (ნაწარმოებთან) დაკავშირებით. რაც შეეხება ჟურნალისტის სტილს, მისი ზოგი შეკითხვა უკვე დაწერილი მოთხრობისა თუ ჩანახატის სათაურებს მოგვაგონებს, მაგ.: ბავშვობის საყვარელი წიგნი; პირველი წიგნი და სხვ.

აღსანიშნავია აგრეთვე პირველი პირის ფორმით დასმული შეკითხვა (მაგ.: *წიგნი, რომელმაც „მოზარდობის წლებში შემცვალა“...*), რაც ინტერვიუერის ერთგვარ სტილს წარმოაჩენს (თითქოს უფრო ექსპრესიულს, უშუალოს, თავისუფალს).

რაც შეეხება რესპონდენტის ტექსტს (ერთი ინტერვიუს ფარგლებში), აღსანიშნავია, რომ ყველა მონაკვეთი (ჟურნალისტის საპასუხო მხოლოდ მოხმობილი) გულწრფელია და უამბიციო. დიალოგში ნათლად ჩანს რესპონდენტის დამოკიდებულება წიგნის მიმართ (რაც იყო ინტერვიუს მიზანი).

ჟურნალისტისა და რესპონდენტის ურთიერთდამოკიდებულება მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს ინტერვიუს ხარისხს. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო-ანალიტიკურ საშუალებათაგან (დიალოგური ტექსტი გვაქვს მხედველობაში) ინტერვიუ განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს რესპონდენტის შინაგან სამყროს (რაც, ბუნებრივია, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კუთხით სურს ინტერვიუერს რესპონდენტის წარმოჩენა).

ლიტერატურა

არაბული 2004 – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

კაპანაძე 2019 – თ. კაპანაძე, მედიაკომუნიკაცია და საზოგადოებრივი ურთიერთობები, თბილისი.

კვარაცხელია 1990 – გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი.

ნარიმანიძე 2012 – გ. ნარიმანიძე, ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა, თბილისი.

სილვერმანი 2016 – Silverman, D., Doing Qualitative Research (5th ed.), London: Sage.

„ჩემი ნაწერისთვის მკითხველის თვალით არასდროს შემიხედავს“ – ინტერვიუ ბესიკ ხარანაულთან, არილი, <https://arilimag.ge>

Natia Tkemaladze

The stylistic features of one interview

Summary

In traditional media (Television, Radio, and the Press), the interview is a dialogic text characterized by a natural linguistic structure and the use of conversational vocabulary. The journalist simultaneously performs the roles of an information mediator and a linguistic moderator, controlling the tone and content of the conversation and bearing responsibility for delivering information to the audience in a credible and trustworthy manner. In traditional media, interviews were based on a strict structure and relatively formal language. As a result of technological progress, the interview has evolved into an interactive discourse in which both the interviewee and the audience actively participate. In today's media environment, interviews can be conducted across various platforms, such as YouTube, Instagram, and TikTok, whose primary objectives are to attract public attention and ensure the rapid dissemination of information. The linguistic characteristics of the interview include dialogicity, accuracy, coherence, conciseness, expressiveness, an effective opening, and visualization.

Based on these characteristics, this report analyzes an interview conducted in traditional media and interview formats on social media platforms, highlighting their similarities and differences.

ლია ქაროსანიძე

ო-ზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელთა მართლწერა (ნორმის პროექტისათვის)

ო-ზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელთა მართლწერისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

ტაქსი ტიპის ფორმებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია შემდეგი: იმის გამო, რომ სახელობითი ბრუნვის ნიშანი ქართულში **ი** სუფიქსია, აღარ შემოგვრჩა **ი** ხმოვანზე დაბოლოებული ქართული ფუძეები; ფუძის ბოლო ხმოვანი სახელობითის ნიშნად აღიქმებოდა სხვადასხვა ენიდან შემოსულ უცხო სიტყვებშიც, რომლებიც ასევე თანხმოვანფუძიან სახელთა წყებაში მოექცნენ, მაგალითად, *მონასტერი*, *პარასკევი* (ბერძნ.), *ყადი*, *მუშტარი* (არაბ.), *აბაზი*, *ელჩი*, *გემი*, *ყუთი* (თურქ.) და ზოგი სხვ. (შანიძე, გიგინეიშვილი).

თანამედროვე ქართულში **ო-ზე** ფუძედაბოლოებულ სახელთა ბრუნებისას ორი ჯგუფი გამოიყოფა:

I ჯგუფი: **ო-ზე** ფუძედაბოლოებული ის საზოგადო სახელები, რომელთა ფუძის ბოლო ხმოვნის წინ ხმოვანია, უკვეცელ ხმოვანფუძიან სახელთა რიგს მიჰყვებიან, მაგალითად,

მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ. დიჯეი	დიჯე-ებ-ი
მოთხ. დიჯეი-მ	დიჯე-ებ-მა
მიც. დიჯეი-ს	დიჯე-ებ-ს
ნათ. დიჯეი-ს	დიჯე-ებ-ის
მოქმ. დიჯეი-თ	დიჯე-ებ-ით
ვით. დიჯეი-დ	დიჯე-ებ-ად
წოდ. დიჯეი	დიჯე-ებ-ო

ამ ტიპის სახელებად ლექსიკონებში შესულია შემდეგი სიტყვები: *ბოზსლელი, დისპლელი, დიჯელი, კოვბოი, კოლიზი, პაი, პლებელი, ჟოკელი, სამურაი, ტრამვაი, ტროფელი, ჩაი, ჰოკელი და სხვ.* (მაგალითები მოგვყავს ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონებიდან). ამ სახის სახელებს აკუთვნებს აკაკი შანიძე ქართულ სიტყვებს – **ვაისა** და **ვუის**: „ვაი და ვუი ი-ზე დაბოლოებული ბრუნვიანი სახელებია: „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“ (ა. შანიძე).

II ჯგუფი: **ო**-ზე ფუძედაბოლოებული უცხო წარმომავლობის ის საზოგადო სახელები, რომელთა ფუძის ბოლო ხმოვნის წინ თანხმოვანია, თანხმოვანფუძიან სახელთა რიცხში ექცევიან, მაგალითად:

მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ. ტაქს-ი	ტაქს-ებ-ი
მოთხ. ტაქს-მა	ტაქს-ებ-მა
მიც. ტაქს-ს	ტაქს-ებ-ს
ნათ. ტაქს-ის	ტაქს-ებ-ის
მოქმ. ტაქს-ით	ტაქს-ებ-ით
ვით. ტაქს-ად	ტაქს-ებ-ად
წოდ. ტაქს-ო	ტაქს-ებ-ო

ამ ტიპის სახელებად ლექსიკონებში შესულია *ალიბი, ბრენდი, დენდი, ეფენდი, ვალი, ვისკი, ზლოტი, თულუხჩი, იანკი, კეგლი, კონფეტი, ლედი, ლობი, მილედი, მორფი, ნუნცი, პანი, პენალტი, პენი, პონი, ჟალუზი, რაგბი, რალი, სპაგეტი, ტაქსი, შასი, შპაცი, ცუნამი, ჰარაკირი, ჰაჯი, ჰიპი, ჰობი და სხვ.*

გასათვალისწინებელია ისიც, რომ **ო**-ზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელთა უმეტესობა უცხო წარმომავლობისაა და უპირველესად დასადგენია მათი ქართულში გადმოტანის სისწორე, მაგალითად, *ესე თუ ესეი? ესე* ფრანგულის მიხედვითაა გადმოღებული, *ესეი* – ინგლისურის; ან კიდევ, რამდენად ეკუთვნის ამ რიცხის სახელებს სპორტის სახეობის სახელწოდება *კეგლი*, როცა ის მომდინარეობს გერმანული სიტყვისგან Kegel. **ო**-ზე ფუძედაბოლოებული საზოგადო სახელები ქართულ ლექსიკონებში არაერთგვაროვნადაა ასახული.

მასალებზე დაკვირვება გვავარაუდებინებს, რომ II ჯგუფის (ტაქსის ტიპის) სახელებში ფუძისეული ბოლო ხმოვნის შენარჩუნება, ძირითადად, ნორმის დამცველებზეა დამოკიდებული და ისეთი ფორმები, როგორებიცაა: *ტაქსიში*, *ქალუზიმ*, *პონიზე*, *შასიზე*, *ვისკიში* და სხვ., ხელოვნურად ნარჩუნდება ენაში, ინტერნეტწყაროებსა და მედიასაშუალებებში კი ხშირად იჩენს თავს ნორმისგან განსხვავებული ვარიანტები:

ინტერნეტწყაროები (ბეჭდური და ინტერნეტგამოცემები):
 „თბილისში რეგისტრაცია ჯერ მხოლოდ 500-მდე **ტაქსმა** გაიარა“; „სამარშრუტო **ტაქსმა** ხელოვნების უნივერსიტეტის ლოზე დააზიანა“;
 „მსოფლიო **რაგბმა** ზაფხულის ტესტებზე მსაჯები დაგვინიშნა“; „**პონმა** და მისმა პატრონმა American Airlines-ის რეისით იმგზავრეს“; „94 წლის ელიზაბეტ მეორე, კარანტინის შემდეგ საჯაროდ პონზე ამხედრებული გამოჩნდა“; „იმისთვის, რომ **ჰობმა** თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს, საჭიროა მეტი შრომა“; „განვაახლე ვარჯიში, **ტატამზე** ვბრუნდები“; „**ცუნამმა** აშშ-სა და იაპონიამდე მიადღწია“; „აჭარის ღია ჩემპიონატი **რალში**“; „ბრიტანულმა **ბრენდმა** Burberry-მ საქართველოში, თბილისში, პირველი მაღაზიის გახსნას სპეციალური მიღება მიუძღვნა“ და სხვ.

ცხადია, ფუძის -ი ბოლო ხმოვნის სახელობითის ნიშნად გააზრებისა და მისი ჩამოშორების ტენდენცია დღემდე გრძელდება: ი-ფუძიან საზოგადო სახელთა ნაწილი კარგავს ფუძის ბოლო **ი** ხმოვანს (ნიმუში 1), ნაწილი კი ინარჩუნებს (ნიმუში 2).

ნიმუში 1	ნიმუში 2
სახ. ტაქსი//ტაქს-ი	ტრამვაი
მოთხ. ტაქსი-მ//ტაქს-მა	ტრამვაი-მ
მიც. ტაქსი-ს// ტაქს-ს	ტრამვაი-ს
ნათ. ტაქსი-ს//ტაქს-ის	ტრამვაი-ს
მოქმ. ტაქსი-თ//ტაქს-ით	ტრამვაი-თ
ვით. ტაქსი-დ//ტაქს-ად	ტრამვაი-დ
წოდ. ტაქსი//ტაქს-ო	ტრამვაი

ფუძისეული ი უკვე არსებითად მოკვეცილი აქვს უფრო ხშირი გამოყენების სიტყვებს, ახალშემოსულ სიტყვებში კი ჯერჯერობით ნარჩუნდება, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ქართული ენის ზოგად ბუნებასა და სხვადასხვა დროის მაგალითებს, **ტაქსის** ტიპის სახელებში ფუძის ბოლო ხმოვნის შენარჩუნების მოთხოვნას საფუძველი არ აქვს. აქ გასათვალისწინებელია ეს ფაქტიც: მიუხედავად იმისა, რომ **ტაქსი** უკვეცელ სახელად იყო შესული ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში (1968 წ.), **ტაქსის** უკვეცელ სახელად დამკვიდრებას, როგორც ჩანს, ყველა არ იზიარებდა: „ტაქსი ერთბაშად მოექცა ზოგად სახელთა ყალიბში და ბოლოკიდური ი თავიდანვე გააზრიანდა სახელობითი ბრუნვის ნიშნად, ამიტომ ქირაობენ *ტაქსს* (და არა „ტაქსის“), სხდებიან *ტაქსში* (და არა „ტაქსიში“), – წერდა ბიძინა ფოჩხუა 1974 წელს გამოცემულ „ქართული ენის ლექსიკოლოგიაში“.

ი-ზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელთა მართლწერილსა უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ი-ზე ფუძედაბოლოებული ის საზოგადო სახელები, რომელთა ფუძის ბოლო ხმოვნის წინ ხმოვანია, უკვეცელნი არიან მხოლობითში, მრავლობითში კი (თუკი ეწარმოებათ) – კვეცადნი: დიჯეი / დიჯეი-მ/დიჯეი-ებ-ი, პლებეი/პლებეი-მ/პლებეი-ებ-ი, ყოკეი/ყოკეი-მ/ყოკეი-ებ-ი, სამურაი/სამურაი-მ/სამურა-ებ-ი, ტრამვაი/ტრამვაი-მ/ტრამვა-ებ-ი, ჩაი/ჩაი-მ, პოკეი/პოკეი-მ და სხვ.

შენიშვნა: განსხვავებულადაა განსახილველი სიტყვა **კოლიზეი**, რომელშიც ბოლო ი ხმოვანი ფუძისეული არ არის [იტალ. Coliseo ლათ. collosseus-იდან კოლოსალური, უზარმაზარი]. სიტყვა **კოლიზეი**, რომელიც რუსული დაბოლოებითაა ქართულში შემოსული (Колизей), უნდა ჩანაცვლდეს ერთადერთი სწორი ფორმით – **კოლიზეუმით**.

2. ი-ზე ფუძედაბოლოებული ის საზოგადო სახელები, რომელთა ფუძის ბოლო ხმოვნის წინ თანხმოვანია, თანხმოვანფუძიან სახელთა რიგს მიჰყვებიან. ამ ტიპის სახელებში ნორმად პარალელური ფორმები უნდა დაწესდეს: ტაქსი-მ//ტაქს-მა, პენალტი-მ//პენალტ-მა, პონი-მ//პონ-მა, ყალუზი-მ//ყალუზ-მა, ყიური-მ//ყიურ-მა და სხვ.

ლიტერატურა

გიგინეიშვილი 1986 – ივ. გიგინეიშვილი, მოსაგვარებელი საკითხები ადამიანის სახელთა ბრუნებისას, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

თოფურია 1998 – ვ. თოფურია, გიგინეიშვილი ივ., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი,

<https://ice.tsu.ge/liv/ortograf.php>

მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, თბილისი, 2012.

<https://ice.tsu.ge/liv/sasko.php>

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>

ყაუხჩიშვილი 1925 – ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, თბილისი.

შანიძე 1953 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

Lia Karosanidze

On the Morphophonological Status of Nouns Ending in *-i* in Georgian

Summary

In Modern Georgian, nouns ending in the vowel *-i* frequently represent lexical items of foreign origin. This tendency is not accidental: synchronically, *-i* functions as a nominative case marker in the Georgian nominal declension system and is regularly deleted in oblique case forms. From a morphophonological perspective, the Georgian system appears to reanalyze the final vowel of many loanwords according to native declensional patterns.

Thus, the final **-i** in such borrowings is often treated not as an integral part of the lexical stem but as a declensional marker, analogous to that of native nouns. During inflection, this vowel tends to be lost, while its retention in certain forms may be regarded as orthographically conservative or artificially maintained.

For example, according to the normative orthographic dictionary, the correct locative form is: *čavžeki taksiši* ('I got into a taxi'), where the vowel **-i** is preserved before the locative suffix **-ši**. However, in colloquial speech the variant *čavžeki taksi* is also widely attested, reflecting stem-final vowel deletion and the reinterpretation of the base as consonantal (*taks-*).

From this perspective, foreign nouns in which the final **-i** is preceded by a consonant should be classified as **consonant-stem nouns** at the morphophonological level. The vowel **-i** in such cases is best analyzed as a nominative ending rather than as part of the lexical root. This analysis accounts for the fluctuation between vowel retention and deletion and aligns these borrowings with the broader structural tendencies of Georgian nominal morphology.

მრავლობითობის -ებ ფორმანტი გეოგრაფიულ სახელებთან თანამედროვე მეტყველებაში

უახლესი სასაუბრო ქართული ენობრივ სიახლეთა მრავალფეროვნებით ხასიათდება. მართალია, სიახლეები ენობრივი იერარქიის თითქმის ყველა დონეზე იჩენს თავს, თუმცა მათ შორის ლექსიკური დონე შეუდარებლად გამორჩეულია. წინა თუ მომდევნო დონეებთან მიზეზშედეგობრივი კავშირების გამო ლოგიკური განპირობებულობისა და რეპრეზენტაციის სიმძიმის ცენტრს სწორედ ლექსიკური დონე ქმნის. ამდენადვე იგი ენის გამოყენების ყველაზე თვალცხადი და მგრძნობიარე უბანი.

მოხსენების საგანია უახლეს სასაუბრო ქართულში თავჩენილი ერთი ტენდენცია (კერძოდ, გეოგრაფიული სახელების ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენა).

როგორც ცნობილია, საკუთარ სახელებს (ადამიანთა, გეოგრაფიული...) მრავლობითის ფორმები არ გააჩნია. ადამიანთა სახელებთან დაკავშირებული ვითარება ნათელია: შეცვლილი, უფრო სწორად, არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარებისას ადამიანთა საკუთარი სახელი მრავლობითშიც გვხვდება, მაგ.: **ასმათები** დღესაც არიან ჩვენში. იგულისხმება არა ბევრი ასმათი, არამედ – **ასმათის** მსგავსი ქალები (ა. შანიძე, ივ. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე). ცხადია, ამგვარ ფორმებში მრავლობითობის მნიშვნელობა მხოლოდობით ალნიშნულის განზოგადებული შინაარსის მატარებელია. ალნიშნულის სანიშნულად ცნობილი ტექსტებიდან რამდენიმე ფრაგმენტის შეხსენებაც მრავლისმთქმელია:

„თუ დავეცე, – ნუ მიტირებთ დანანებით,
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი,
საქართველოს ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები.

...

დავიღუპო! ... ნუ მიტირებთ დანანებით...
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი...

ჩემი ქვეყნის ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ გაზაფხულის ყვავილები“.

(ა. შენგელია)

შდრ. განმაზოგადებელი შინაარსის თვალსაზრისით ასეთივე მიმართება **კონკრეტული : აბსტრაქტული**, მაგ.: ავთანდილი : ავთანდილობა, შერმადინი : შერმადინობა, არსენა : არსენობა და მისთ.

„მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა“...

(ილია)

რაც შეეხება გეოგრაფიულ სახელებს, ჩვეულებრივ სიტყვა-ხმარებაში არა გვაქვს **ასპინძები, ბათუმები, თბილისები** და მისთ. თუმცა უახლეს სასაუბრო ქართულში საკმაოდ ხშირად გვხვდება ამ ტიპის წარმოების ნედლი მასალა ხაზგასმულად უცხოურ გეოგრაფიულ პუნქტებთან მიმართებით. მაგ.: **ევროპები, დონეცკები, მოსკოვები** და მისთ.

„...მთელი აფრიკის დიქტატორებს **სორბონა-ოქსფორდებში** უსწავლიათ და მერე შინ კი გიჟდებოდნენ“ (ა. მორჩილაძე) და მისთ.

ამ ფორმების ხელოვნურობა ფაქტია: მრავლობითის ფორმები საკუთარი (გეოგრაფიული) სახელის პრაქტიკულად არარსებული ვარიანტებია ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში; მოდელურ დონეზე ამგვარი წარმოება ხელოვნურია; ფორმალური მრავლობითის წარმოებით ისინი სხვაგვარად, არაპირდაპირი მნიშვნელობით გაიაზრება; ამგვარი სახელები **-ებ** ფორმანტით უკვე არა საკუთარი, არამედ საზოგადო სახელებია: **მოსკოვები** აღნიშნავს რუსეთს ქალაქებს. **-ებ** ფორმანტი ასეთ შემთხვევებში (და სხვა ამგვარივე ფორმებში) მრავლობითის ნიადაგზე დაფუძნებული განმაზოგადებელი მნიშვნელობის მატარებელია.

რაც შეეხება ამგვარ ფორმათა შინაარსობრივ მხარეს – ამ სახელთა ებიანი ფორმები მრავლობითს კი გულისხმობს, მაგრამ არა ძირეული სიტყვით დასახელებული ოდენობისას (მათი მრავლობითი რიცხვი უბრალოდ არ არსებობს!). ამგვარ ფორმათა მრავლობითობაში მოიაზრება შესაბამისი ქვეყნის, მხარის სხვა ანალოგიური პუნქტები. ასე რომ, **ევროპები** ნიშნავს არა რამდენიმე, ბევრ ევროპას, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყანას, სახელმწიფოს, ევროპის ან ევროპულ ქვეყნებს; **მოსკოვები** ნიშნავს რუსეთის სხვადასხვა ქალაქს, მოსკოვსა

და კიდევ სხვა ქალაქებს. შდრ. **ფრანკფურტები** – მაინის ფრანკფურტი და ოდესის ფრანკფურტი და მისთ.

უნდა ითქვას ისიც, რომ აზროვნების ამგვარი ფორმოებრივ-შინაარსობრივი ყალიბი ქართველისათვის არც მთლად უჩვეულო და მოულოდნელია, რაღაც ამდაგვარი შორეულ ექოდ გამოკრთის სულხან-საბას მემუარული ტექსტიდან „მოგზაურობა ევროპაში“. უცხო მხარეთა მოხილვისას საბა ერთგან აღნიშნავს **გეგუთის მსგავსი ალაგები იყო** და ამ შედარებას ჩვენთვის საინტერესო ფორმებშიც მეტი შინაარსობრივი სიმკვეთრე, მეტი სიზუსტე შემოაქვს; ამ ფორმებში სწორედაც მსგავსი ალაგები, ძირეული სიტყვით დასახელებული მსგავსი ალაგები (შდრ.: მოსკოვები = მოსკოვის მსგავსი, მოსკოვისებური, მოსკოვისნაირი ალაგები), ანუ ადგილები მოიაზრება.

როგორც უხვი საილუსტრაციო მასალა მოწმობს, ამგვარი წარმოების ფორმათა გააქტიურების საფუძველი აშკარად ექსტრა-ლინგვისტიკურია და არა საკუთრივ ლინგვისტური. მრავალი ფაქტორი (როგორებიცაა: ენის გამოყენების პრაგმატული ასპექტები, ლინგვომენტალური და ფსიქოლინგვისტური სპეციფიკა, ეკონომიურობის პრინციპი, ირონიული კონოტაცია) დასახელებულ ფორმათა სიტუაციურ მიზანშეწონილობას სავსებით გასაგებს ხდის უახლეს სამეცნიერო კომუნიკაციაში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, თვალსაჩინოა გეოგრაფიულ სახელთა მრავლობითის ფორმით გამოყენების უახლესი ტენდენციისა და ადამიანის საკუთარ სახელებთან არსებული ვითარების ანალოგიურობა.

ლიტერატურა

გუგლის საძიებო სისტემა

ქართული პოეზიის ანთოლოგია, I-II, 2024, თბილისი.

შანიძე, იმნაიშვილი, კვაჭაძე 1989 – ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VI კლასის სახელმძღვანელო, მეხუთე გამოცემა, თბილისი.

The Plural *-eb* Formant at the Geographical Names in Modern Speech

Summary

The subject of the paper is the emerging trend in modern colloquial speech – the use of geographical names in the plural form.

As is known, people's or geographical proper names do not have plural forms. In ordinary speech, we do not have **aspinzebi** Aspindzas, **batumebi** Batumis, **tbilisebi** Tbilisis, etc. However, in modern colloquial speech, cases of this formation type are quite often observed – especially in relation to foreign geographical names. So, for example: **evropebi** Europes, **doneqebi** Donetsks, **moskovebi** Moscows... (mteli aprikiš diktaforebs **sorbona-okspordebši** usčavliat da mere šin ki giždebodnen “*All the dictators of Africa studied at the **Sorbonnes-Oxfords** and then went crazy at home*” – Aka Morchiladze)...

The artificial nature of these forms is evident: plural forms of proper (geographical) names practically do not exist in ordinary speech; At the modal level, such formation is artificial; According to the formal plural formation, they are understood in a different, indirect sense; Such names with the *-eb* formant are no longer proper names, but common names: **moskovebi** Moscows implies cities, exactly: it denotes cities of Russia. The *-eb* formant in these cases (and in other similar forms) carries a generalizing meaning based on the plural.

As for the content of the forms of the named type: the forms of these nouns with *-eb* imply the plural, but not the number of the relevant basic word (their plural simply does not exist!). The plural number of the mentioned forms includes other analogous parts of the corresponding country, region. So – **evropebi** Europes implies not several, many Europes, but various countries, states of Europe, European countries; **moskovebi** Moscows implies various cities of Russia, Moscow and other cities.

As abundant illustrative material testifies, the basis for the activation of the form of mentioned formation is clearly extralinguistic (and not – proper linguistics). The pragmatic aspects of language use – linguomental

and psycholinguistic specificity, the principle of economy and ironic connotation make the situational expediency of such forms completely understandable in modern speech communication.

**სმენითი იმიტაციური სიტყვები რევაზ ინანიშვილის
მოთხრობებში**

ხმაბაძვა ადამიანის მეტყველებაში არის ბუნებაში არსებული სულიერი და უსულო საგნების მოქმედებით გამოცემული ხმის შესატყვისი სიტყვიერი ბგერითი ფორმა, რომელიც მიღებულია ამ ბგერითი მოვლენის მიახლოებითი გამოსახვის მიზნით. იგი, როგორც ბგერითი მოვლენის გადმომცემი, გამოხატავს ხმის რიტმს, ტონს, მოქმედების ტემპს და სხვ. ხმაბაძვითი სიტყვებისაგან იწარმოება სრული მნიშვნელობის ფორმაცვალებადი სიტყვები: არსებითი სახელები, ფუძეგაორკეცებული რთული სიტყვები, განსაკუთრებით კი ზმნები. მწერლის ენაში ხმაბაძვითი სიტყვა მხატვრულ-სტილისტური გამოსახვის მიზანს ემსახურება [გაჩეჩილაძე 1979: 127-136]. იგი, ჩვეულებრივ, განკერძოებული სიტყვაა, ხშირად დასტურდება დიალოგებში, გვხვდება სიტყვა-წინადადების სახითაც. ამასთან ერთად მათთვის დამახასიათებელია გამეორებები [შამელაშვილი 1958: 75].

რევაზ ინანიშვილის თხრობას, გარდა მხედველობითი და გრძნობადი ხატებისა, ახასიათებს მძაფრი სმენითი ეფექტები, თუ შეიძლება ასე ეწოდოს ამ ხმაბაძვით სიტყვებს, რომლებიც სიტუაციის შესაფერისად თითქოს ხმას გამოსცემენ... თვით მწერალი ცდილობს, რომ ამ ხმამ სმენითი განცდა დაბადოს ადრესატში [კოშორიძე 2005: 256].

ამჯერად შევეცდებით ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით წარმოვაჩინოთ სმენითი ეფექტების მქონე იმიტაციური მასალა რევაზ ინანიშვილის პროზაში. არ ვეხებით „ჩიტებისა და მათი ხმიანობის ამსახველ ლექსიკას“ [ჭოხონელიძე 2020: 148-160].

იმისდა მიხედვით, ვინ ან რა გამოსცემს ხმებს, რომელთა გამოხატვა სიტყვებით, სამეტყველო ბგერებით შეიძლება, ჩამოყალიბდა რამდენიმე ზოგადი ჯგუფი: ხმა (ბგერა, ხმაური), რომელსაც გამოსცემს: 1. ადამიანი, 2. ცხოველი და ფრინველი, 3. არაცოცხალი ბუნება [კვარაცხელია 2024: 243- 250].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალი გამოცემული ხმის მიხედვით ერთსა და იმავე ან სხვადასხვა იმიტაციურ სიტყვებთან ინტონაციის შესაბამისად იყენებს განსხვავებულ სასვენ ნიშნებს: იქნება ეს ძახილის ნიშანი, მძიმე, ტირე თუ მრავალწერტილი. როგორც გ. გოგოლაშვილი შენიშნავს, მხატვრულ ენაში, შემოქმედთა აზრით, პუნქტუაციის „მშრალი გრამატიკული წესები“ ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს... თეორიულად თითქოსდა ერიდებიან ამის თქმას, თუმცა არც უამისობაა [გოგოლაშვილი 2019: 9, 16, 18].

მწერლის მოთხოვნებში ყველაზე ხშირად გვხვდება არაცოცხალი ბუნების ხმიანობის იმიტაციური ბგერწერის მაგალითები:

1. არაცოცხალი ბუნება: ქვა – ბუხ: – ბუხ! – მომესმა რაღაც ბრაგვანი გარედან. ... (ბიჭებს) ის ქვა ჩამოეგდოთ, რომელიც კედელზე იყო გადმოკიდებული და გამვლელ-გამომვლელი შიშით შეჰყურებდა (მოთხ. 240, 20).

წყალი – დგლუმგ!: ...დაყვირებაც ვერ მოასწრო, მიშველეთო, – დგლუმგ! – შიგ წყალში (შორ. 63, 13).

ყინული – ჭლახ: – დავარტყამდით ფეხს – ჭლახ! – დაიძახებდა ყინული, ჩაიმსხვრეოდა და მოცილებული ნატეხები ტივტივით მიჰქონდა წყალს (შველ. 95, 15).

ყავარჯენი – ბრახ: (მოხუცმა) ერთხელ, ის იყო, ყავარჯენი ილიისაკენ წაიღო და ბრახ ძირს! დავასწარი და მივაწოდე (მოთხრ. 141, 13).

ხის დიდი კოვზი – რაკვ: – მერე აიღო ხის დიდი კოვზი, სიტყვა არ უთქვამს, მწვდა და – რაკვ! – შიგ თავში (შორ. 16, 6).

კლიტე – კაპ: კარი ინგლისური კლიტით იყო დაკეტილი; მისი დაკეტვა ადვილია, გამოხურავ და კაპ! დაიკეტება. მაგრამ უგასაღებოდ ეშმაკიც კი ვერ გააღებს (მოთხრ. 430, ქვ. 12).

თხილი – პახ!: (ციცვმა) მაგრად მოხუჭა ცალი თვალი თეთრ-ცხვირიანმა, დაუმიზნა, გაისროლა და – პახ! – მოპრიალებულ თავზე დაცემული თხილი ერთი მეტრის სიმაღლეზე მაინც ამოხტა უკან (შორ. 223, ქვ. 9).

ოფლის წვეთი – ტკუპ: – ბერიკაცი კი ოფლად იღვრებოდა. წამოუვიდოდა შუბლიდან მსხვილი წვეთი, ჩამოუვლიდა დაფანჩულ წარბებშუა, დაუყვებოდა კეხიან ცხვირს და ცხვირის წვერიდან – ტკუპ – ძირს (მიტოვ. 327, ქვ.17).

სხვადასხვა:

შლაბ: მე წიხლი დავუმეორე, ის წამომწვდა ფეხში და შლაპ მირს!.. (მოთხრ. 464, 8).

ლაწ: – მოვდივარ და უცებ – ლაწ! თავის მობრუნებაც ვერ მოვასწარი და რაღაც დამეცა. მე აქეთა ვვდივარ, დედა ფოცხვერი იქით, ლეკვები კიდეც იქით (სალამ. 5, ქვ. 6).

სილა – ჭაახ: მიცანით? – სამწუხაროდ. – ჭაახ! ყბაში (ასულ. 212,10).

ტექსტის ექსპრესიულობის გასაძლიერებლად ერთი და იგივე ხმაბადვითი სიტყვები წინადადებაში შეიძლება ორჯერ, სამჯერ და უფრო მეტჯერაც განმეორდეს.

თოხი – ჩიკ! ჩიკ!: – ისევ ყიჟინობს მოხუცი. ისევ იმუქრება, მაგრამ თოხი... თოხი უკვე დამძიმებია. – ჩიკ! ჩიკ! – ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმის მისი ხმა (მოთხრ. 165, 16).

ქარი – ვუუ-ვუუ!: მაშინ ჩვენს სოფელში აქა-იქ თუ იდგა ხეები, წასული იყო აესე სულ ბანები და იმ ბანებზე წეწავდა ქარი კვამლებს. – ვუუ-ვუუ! – ისმოდა საკვამურიდან (შველ. 102,17).

წყალი – ლიკ-ლიკ-ლიკ!: – წყლები იღვიძებენ – ლიკ-ლიკ-ლიკ!... გათოშილი კლდეები იშლება. ჩამოდის... (მოთხრ. 270, ქვ. 4).

წერაქვი – ბუმ! ბუმ! ბუმ!: – ბუმ! ბუმ! ბუმ! – რიგრიგობით ურტყამენ წერაქვს (მოთხრ. 241, 6).

ჩაქუჩი – ტუკ! ტუკ! ტუკ!: – მაგრამ უცებ ჩაქუჩის ხმა მესმის. – ტუკ! ტუკ! ტუკ! (მოთხრ. 243, 21).

ქალიშვილი – ტაპ-ტაპ-ტაპ!: –(ლიფტში) უნდა შევიდე მეც, მაგრამ, – ტაპ-ტაპ-ტაპ! – წითელქურთუკიანი ქალიშვილი, მე ოდნავ გავიწევი გვერდზე და ქალიშვილი შეირბენს ლიფტში (გოლ. 27, 27).

მატარებელი – ჩუქ-ჩუქ-ჩუქ!: და ბოლოს როდის-როდის ჩამჩურჩულა ყურში: – მატარებელს ვმართავ! გავმართოთ, გავუშვათ წისქვილის წყლის პირას და იაროს აღმა-დაღმა. ჩუქ-ჩუქ-ჩუქ! აღმა და დაღმა! (ჯაფ. 242, ქვ. 6).

შაბიამნის აპარატი – კრიჭ! კრიჭ! კრიჭ!: სამი თუ ოთხი ვენახის იქით ვიღაცა გაუხეთავ შაბიამნის აპარატს ამლუშავებდა –კრიჭ-კრიჭ! კრიჭ! (სალამ. 111, ქვ. 4).

ვარსკვლავი – კრუ, კრუ, კრუ!: ცაზე მილიონი დიდი ჩახჩახა ვარსკვლავი ანთია და ისინილა კრუტუნებენ: – კრუ, კრუ, კრუ!.. (მოთხრ. ბავშვ. 10 ქვ. 15).

რძე – ჩხაპ-ჩხაპ-ჩხაპ-ჩხაპ: – აი, ეს არის და ეს. ჩხაპ-ჩხაპ-ჩხაპ-ჩხაპ და მორჩა. სულ ეს არის ამისი დღევანდელი მონაწევლი (ასულ. 173,15).

საპარსი – ზუ-ზუ-ზუ-ზუ! – პაპა ისევ ჩართავს საპარსს და გაგას მიუახლოვებს ყურთან – ზუ-ზუ-ზუ-ზუ ! იძახის საპარსი და გაგას უხარია (ასულ.180, 3).

მწერალი ხანდახან, სიტუაციის მიხედვით, ემოციის გასაძლიერებლად ხმაბამვით სიტყვაში ხმოვანს იმეორებს.

კაკალი – პაახ! ამიტომ თეთრცხვირიანს კი არ უსროლია კაკალი, უბრალოდ, შიშისაგან გაუვარდა. მაგრამ მოხდა სასწაული და **პაახ!** – ის კაკალიც შუბლში დაეცა დაფეთებულ კაცს (შორ. 224, ქვ. 2).

თოფი – ბაახ! და უცებ: – ბაახ!.. ცისარტყელას თაღქვეშ, ნარინჯისფრად განათებული ჩოქელა ვერხვების თავზე პატარა თეთრი კვამლი ავარდა (შორ. 277, 5).

თოფი – ბაახ! ბაახ! ამ სოფლელი კაცები ყველანი მონადირეები არიან. წავლენ უთენია თოვლით დაფარული მწვერვალებისაკენ, წაიღებენ გრძელ, გრძელლულიან თოფებს, ჩაუსაფრდებიან ჯიხვებს და – ბაახ! ბაახ!.. – შემოიდეგენ კისერზე საბრალობლად თავგადაგდებულ ჯიხვს და წამოვლენ სიმღერით (შორ. 191, 11). შდრ. (**თოფი**) – **ბახ! ბახ! ბახ!** ბახ! ბახ! ბახ! – ესროდა პატარაც (ალერს. 67, 17).

შესაძლებელია, სხვადასხვა საგნის ხმიანობა ერთი და იმავე იმიტაციური სიტყვით გადმოიცეს.

კვირტი – ტკაც! – ის ხედავდა, რომ ხე უბრალოდ კი არ ჰყვავის, ყოველი კვირტი თოთო ბავშვივით იღვიძებს, თვალებს იფშვნეტს, იზმორება და – ტკაც! – ღიმილით უბრწყინდება სახე (შორ. 32, ქვ.13).

ბოტი – ტკაც! ... აბრიალდა ცეცხლი და – ტკაც! – ამოხტა პირველი თეთრადგადაკუჭუჭებული ბოტი (შორი. 18, ქვ. 3).

კევი – ტკაც! დამინახა გოგომ, გამობუშტა კევი ჩემსკენ, გამობუშტა და – ტკაც! (გოლ. 105, 1).

ჯოხი – ტყაპ! – ეტლი დაიძრა და, როგორ მოხდა, არავინ იცის, ერთ ბატონს ჯოხი დაუვარდა. არაკუნდა ის ჯოხი ეტლის საფეხურზე, ამოტრიალდა და – ტყაპ! – ძირს, ტლაპოში! (შორი. 211, ქვ. 2).

კალოში – ტყაპ! – მეც ამოვიღე ყინულის ნატეხი, მეც ავაგდე მაღლა, მოვუქნიე ფეხი, მაგრამ მე კალოში წამძვრა, ამოტრიალდა ჰაერში და – ტყაპ! – წყალში (შველ. 95, ქვ. 12).

წიწიბოები და რკოები – ტკაპ! ტკაპ! ტკაპ! ცვივა წიწიბოები და

რკოები. – ტკაპ! ტკაპ! ტკაპ! თითქოს მთლად პაწაწა ჩლიქოსანი ცხოველი დაფეთებული აწყდება აქეთ-იქით (ასულ.160,15).

წვეთები – ტკაპ! ტკაპ! ტკაპ!: ჩამოდიოდა წვეთებიც – ტკაპ! ტკაპ! ტკაპ! მე გავდიოდი, ვიდექი ბაღში და გახარებული შევეყურებდი ყველაფერს (ასულ. 152, ქვ.7).

ფეხის ხმა – ტკაპ-ტკაპ-ტკაპ!: ბიჭები...გარბიან. – ტკაპ-ტკაპ-ტკაპ! –ასფალტზე (ასულ.183, ქვ. 8).

საკოდელი – კაკ-კუკ! კაკ-კუკ!: გვეჭირა ათი-თორმეტი წლის ბიჭებს საკოდლები და – კაკ-კუკ! კაკ-კუკ! ვურაკუნებდით ალთა-ბალთას (ჯაფ. 135,10).

ხის კოვზები – კაკ-კუკ! კაკ-კუკ!: ჩვენ ხის ჯამები გვაქვს, ხის კოვზები – კაკ-კუკ! კაკ-კუკ! (ალერს. 346, 1).

მოთხრობებში ერთი და იმავე საგნის ხმიანობა ხშირად განსხვავებული იმიტაციითა და სასვენი ნიშნებით დასტურდება.

თოვლის გუნდა – ბაახ! ბუუხ!: წამოვიდნენ თოვლის უზარმაზარი გუნდები მწვერვალებიდან გრიალით, უფრო გაიზარდნენ, გაიზარდნენ და მერე ზედ გზებზე – ბაახ! ბუუხ! – სკდებოდნენ ზომბებივით (შორ. 195, ქვ. 4).

კრონები – ტყაპ! ტყუპ! – (მეთევზეები) შევლენ ამოჩემებულ ბარში, მოიქექავენ ჯიბეებს და – ტყაპ! ტყუპ! – გამყიდველის დახლზე ნორვეგიული კრონები (მოთხრ. 445 ქვ.10).

თხები – ბაკ-ბუკ! ბაკ-ბუკ! – ხანდახან თხებიც შემოვლენ. ბაკ-ბუკ! ბაკ-ბუკ! და გაჩერდებიან (მოთხრ. 195, 12).

კაკლები – ჩხაკ-ჩხუკ! ჩხაკ-ჩხუკ!: წისქვილისკენ ამომავალ ორდობეში ორი ბიჭი მოდის, ორი კოწოწაშვილი – ცამეტ- ცამეტი წლისანი, ...უბეები ნამცვრევი კაკლით აქვთ სავსე... მოდიან და – ჩხაკ-ჩხუკ! ჩხაკ-ჩხუკ! – მოაჩხაკუნებენ... (შორ.115, ქვ.12).

თოვლი – შლაპ-შლუპ: უკვალავ თოვლში – შლაპ-შლუპ, შლაპ-შლუპ, – მივდივარ და მივბაუქებ (შორ. 261, ქვ. 12).

კაკლები – ჩახა-ჩუხი: – ისმოდა ქათმების კრიახი, კაკლების ჩახა-ჩუხი, ცეცხლზე შემდგარი ქონის შიშხინი და ჯამ-ჭურჭლის ჩხარუნი (მოთხრ., 315, 9).

წვეთები – ჭყაპა-ჭყუპი: გარკვევით ისმოდა წვეთების ჭყაპა-ჭყუპი, ნაკადულების ჩუხჩუხი (მოთხრ. 210, ქვ. 3).

ვერხვები – ხათქა-ხუთქი: ამზაპუნდა წყალი, ატკაცუნდა ქვები,

ატეხეს ხათქა-ხუთქი ვერხვებმა, გაფრინდნენ ნორჩი ფოთლების ნა-
ფლეთები ბზრიალ-ბზრიალით... (მოთხრ. 210, 14).

ფარანი – ტინკ-ტანკ: მიდის ტყეში, ფარანი მაღლა აწეული
უჭირავს და ტინკ-ტანკ! – ფარანი ქანაობს (მოთხრ. 447, ქვ. 12).

იმიტაციური სიტყვები გვხვდება მხოლოდ თანხმოვნებით ან
იშვიათად სიტყვის ბოლოს, ხმოვნითაც: (ვერხვის) ფოთლები ყოველ-
თვის ბრწყინავენ, ყოველთვის კარგ ხასიათზე არიან და სულ ცეკვა-
ვენ, მღერიან – **შრრ!.. შრრ!... შრრ!..** ქვეშ კი თითქმის ბნელა (მოთხრ.
408, 17).

ნიავეც სხვაგვარი ქრის. თითქო სველ ტილოს გიცაცუნებნო
სახეზე. – **გრ-გრ-გრ!** – მოისმა ქოფთავის იქიდან (მოთხრ. 209, ქვ. 4).

აბა, ეს... ფურცლები, ფურცლები, ნაჯღაბნი ფურცლები. – რა
ფეხებად მინდა! ა, შეხედა: **ფრრ!... ფრრრ!** კიდეც – **ფრრრ!...** წაიღო ქარ-
მა!“ (გოლ. 143, 13).

შეიძლება ხის ტოტებზე პატარა-პატარა ჭინკებიც კი ქანაობენ,
ან ისინი მღერიან: – **კრრ... კრრ... კრრ...** (ალერს. 538, 12).

კაკალი... ქარი რომ დაუბერავს, როგორ ხმას გამოსცემს, იცი,
– **ფხხხიი!** (ალერს. 310, ქვ 2).

2. ადამიანის მიერ გამოცემული ხმები: დაბლა ყეფით მიქრიან
მემებრები, მისდევენ მონადირეები ძახილით – **ნააჰ! ნააჰ! ნააჰ!** – ხან
აქ გავარდება თოფი, ხან იქ (მოთხრ. 39, ქვ.7). ვიღაცა სანადიროდ გა-
სულიყო და **ნაჰ!-ნაჰ!-ნაჰ!**-ს იძახდა (შორ. 231, 16).

ახლა წუთიერი სმენა! გესმით? **პაჰ, პაჰ, პაჰ,** – მაროო სამჯერ
ჰკოცნის რაფაელას შუბლზე (გოლ. 24,13).

შოო პაპა... **ფუ-ფუ-ფუ!** ფშვინავს არხეინად და თან სულ ლა-
მაზ-ლამაზ სიზმრებს ხედავს (შორ. 184, 7).

კოჭლი ... ატმის კურკას იცდენს. ცოტა იქით მიჩოჩდება და,
თითქოს სასულეში ნამცეცი გადაუვარდაო, ბჟირდება. – **ი-აჰაჰა, ჰი-
ჰაჰა-ხი... ხახახა ...** (მოთხრ. 288, 6).

(მოხუცმა) ჩაიქირქირა: – **ხი-ხი-ხი-ხი!** (მოთხრ. 166, ქვ. 4).

სამასწავლებლოში რომ არ შეხვალ, ორი ერთ კუთხეშია აყუდე-
ბული, ორი მეორეში, ორს ფანჯარაში გაუყვია თავი და **ტუ-ტუ-ტუ!**
ტუტუნებენ, ჩურჩულებენ, თვალებს ბრეცავენ (მეგობ. 70, ქვ. 5).

მწერალი განსხვავებული იმიტაციით გადმოსცემს **ოჩოპინ-
ტრეს** ტუტუნს: – ოჩოპინტრე რაღაცას მიტუტუნებს, **ტუი, ტუი,
ტუი...** (ლამაზ. 149, 4).

მოთხრობებში გვხვდება ჩვენი წყალ-ქალისათვის დამახასიათებელი მწერების, ქვეწარმავლების, ცხოველების, შინაური ფრინველების ხმაბამძვითი სიტყვები:

კრაზანა – ბზზ: კრაზანა... ბზზ... გამიზუზუნებდა ცხვირწინ (მოთხრ. 240, 1).

წაგები – ჩხაპ-ჩხაპ: ფშაზე ცხოვრობენ წყლის ვირთაგვებიც, აქა-იქ – წაგებიც. მათი სოროების შესასვლელები სანახევროდ წყლით არის დაფარული... გამოცვივდებიან წყლის ჩხაპ-ჩხაპით ჩხნდეებიდან და შეიკარგებიან იმ სოროებში (შველ. 51, ქვ. 11).

მაჩვი – ჰიყ! კურდღელი მოკლეს, კურდღელი! – ჰიყ! – ამოიძახა კმაყოფილებით მაჩვმა, – დატეულიყო თავის ადგილას, სად მირბოდა?! (შორ. 277, 12).

სახედარი – პაკ-პუკ! პაკ-პუკ! შიო პაპა და იმისი სახედარი კი ისევ ნელ-ნელა, აუჩქარებლად განაგრძნობდნენ გზას: – პაკ-პუკ! პაკ-პუკ! (შორ. 181,13).

მგელი – აუუუ! ღამდამოხით ძაღლი ველარა ბედავდა დაყეფებას: მგელი დაგვედო, თითქოს ოსმალთა შემოსულაო. რომ დაჰკრავდნენ ბუკს, – აუუუ! ხან აქ – ხან იქ, აცხცახებდა იმათი ხმა ყველაფერს (მოთხრ. ბავშვ. 191, 12).

შველი – ბეე! ბეე! შველი... ჩუმად დაიხავლებდა: – ბეე! ბეე! – არავინ გამოეპასუხებოდა და ისევ წავიდოდა (შველ. 65, 9).

ციყვი – ტკრც! გაპრეხილი კუდით ნაპერწკლების მთელ გროვას გაიყოლებდა, გადახტებოდა მეორე – ტკრც!.. (ციყვი)... გადახტებოდა ერთი და – ტკრც!.. – და იმასაც ნაპერწკლების გროვა მიჰყვებოდა თან (შორ. 36, 11).

ციყვი – ფიტ! ფიტ! ციყვი...გამოვა ფულუროდან, დასკუპდება უკანა ფეხებზე და – ფიტ! ფიტ! – უჯავრდება ჩიტებს (შორ. 148, ქვ. 9).

ბოჩოლა – ემუუ! – ემუუ! ბღავის ბოჩოლა (მოთხრ. 184, 13).

კამეჩი – ნოე! ნოე! ნოე! ააგო კიდობანი ნოემ – შეიყვანა შიგ ყოველი ცხოველისა და ფრინველის დედალ-მამალი. დაიწყო წარღვნა, კამეჩი დარჩენილიყო გარეთ, – ნოე! ნოე! ნოე! – იმახდა საბრალობლად (მოთხრ. 14, ქვ. 15).

ბუნების მესაიდუმლე მწერალი გრძნობს, რომ ცხოველები გარემოების მიხედვით სხვადასხვა ხმას გამოსცემს. ამიტომაცაა, რომ ერთისა და იმავე ცხოველის ხმიანობის აღსანიშნავად სხვადასხვა იმიტაციას იყენებს.

ბაყაყი – ბრე-კე-კე-კე; ყუა!ყუა!: – იქვე, ჩემს ახლოს, ერთი ღიპიანი ბაყაყი ამოხოხებულა, დაკუსული თვალებით შემომყურებს და რაღაცას მეუბნება. – ბრე-კე-კე-კე.... (მოთხრ. 209, 10). – სხედან ლელიანებში თვალებდაკუსული, ფიქრადქცეული ყიყინები, ყურს უგდებენ ერთმანეთის შორეულ გადაძახილს და თვითონაც აწყობით აყოლებენ თავიანთ „ბრე კე-კე-კეს“, ანდა „ყუა-ყუას“ (შველ. 51,17). შესჯდომია ერთ კამეჩს რქასა და რქას შუა გაბერილი ბაყაყი და – ყუა! ყუა! – აქმა! ა ბაყაყა! (მოთხრ.174, 7). (ქალმა) ერთ გუბეს უნდა გაუაროს გზაზე. გამომსხდარან იმ გუბიდან ბაყაყები და იძახიან: – ყუა! ყუა! ყუა! – თქვენმა თავის გახეთქვამო, – ქალმა უთხრა, – ფრჩხილს ხომ აღარ მიირთმევთო. ბაყაყები მაინც თავისას გაიძახიან: – ყუა! ყუა! ყუა! – უყურე ამათ გარყვნასაო! მოუტეხა პური და გადაუგდო. ბაყაყები მაინც თავისას იძახიან: – ყუა! ყუა! ყუა! – უყურე ამათ გარყვნასაო! დაატეხა პურებს ყუები და გადაუყარა, ბაყაყები მაინც თავისას იძახიან: ყუა! ყუა! ყუა! – აი, მეხი კი დაგათხლიშეთ, მიწუნებთ კიდევ ჩემს ლამაზად დაბრაწულ ყუებსო! – გაბრაზდა ქალი, გამობრუნდა და გაბუტული წავიდა შინ (ალერს. 334, 10).

ძაღლი – აგ! აგ! აგ!; ჰაგ-ჰაგ-ჰაგ!; ეე-უუ!: ჯერ ჩვენი მურა გაეპასუხებოდა – **აგ! აგ! აგ!..** მერე ბეზია – გაფხრეწა და გაგლეჯა, აჰა!... ბოლოს მე ჩავიდოდი (მოთხრ. 162, 9). **ჰაგ-ჰაგ-ჰაგ! ეე-უუ!** ყურთასმენა აღარ იყო. ხტოდნენ, ერთმანეთს ახტებოდნენ, გარბოდნენ, ისევ ბრუნდებოდნენ, პატრონებს ეძახდნენ, გამოგვხედეთ, ნახეთ, რა ვქენით, ნახეთ ერთი, რა ვქენით, რა ყოჩაღები ვართ, მგელი დავიჭირეთო... (მიტოვ. 255,16).

მელა – ზაა! ზაა! ზაა!; ბჰა! ბჰა! ბჰა! ბჰაა! ბოლოს დავინახე (მელა):... წინ უდევს მკვდარი, მთლად პატარა, მუცელგაბერილი ლეკვი, და დროგამოშვებით იძახის: – **ზაა! ზაა!** დაიხარა, წაავლო ქეჩოში პირი, აიყვანა, როგორც კატა აიყვანს ხოლმე თავის კნუტს, წამოვიდა და წამოიღო პირდაპირ ჩემსკენ, თავალებულმა, მგონია, თვალებდახუჭულმა (მიტოვ. 323, ქვ. 1). მელას ხმა შემომესმა. მელას ხმა, წმკუტუნის და ხავილი სხვა დროსაც ბევრჯერ გამიგონია, მაგრამ ეს ძახილი სულ სხვანაირი იყო. – **ზაა!** – ამოიძახებდა აშკარად უმწეო, შეწუხებული ნადირი, წავიდოდა ხმა, მიიკარგებოდა სადღაც და მხოლოდ ამის შემდეგ მიაღვენებდა მეორე ძახილს, თან უფრო გულსაკლავს (მიტოვ. 322, ქვ. 13).

უცებ ზევით, სერებზე, ტურები აწკავწკავდნენ. უფრო ახლოს

მელამ მორთო ხავილი: – **ბჰა! ბჰა!** (შორ. 256, 9).

(მელა) წავა, ჩრდილივით უხმოდ გაძვრება ჩაშავებულ პეძვებსა და ურო ბალახის ბლუჯებს შორის, შეჩერდება, აზუზული მოხედავს ქარსა და ჰორიზონტზე დახვავებულ ამღვრეულ ღრუბლებს, უწადინოდ დააღებს პირს და ამოიხავლებს: – **ბჰაა!** (ალერს. 397, 4).

მამალი – ყიყლიყო! მეზობლის ძაღლი იყეფება, მათ ეზოში კი მამალს გაუღვიძია და ის ყივის: – **ყიყლიყო!...** (მოთხრ. 189, ქვ. 5).

რიგ შემთხვევაში სხვადასხვა საგნების ხმაბადვითი სიტყვები ერთსა და იმავე კონტექსტში გვხვდება: ჩვენი მგელიკა ისევ დატრიალდა და – **ტყაბ-ტყუბ, ტყაბ-ტყუბ** – მიირბინა შიშველი ფეხებით სკამთან; **ხრიგ-ხრიგ-ხრიგ** – ახრიგინდა სკამი (მოთხრ. 432, 7).

მაღლიდან **წკაბ-წკაბ!** – წვეთები ცვივა... ძირს **ტკაც-ტკუნ!** ხმელი წკირები იმტვრევა (ჯაფ. 145, ქვ. 14).

ზოგი კაკალი ველარ მოითმენს, ისკუპებს და – **ტყაბ!** – ძირს, ბალახებში. მაშინ ავიღებ გრძელ ხალხას, ავალ ზედ და, რომ დავკრავ, – **ხრ!** – წამოვლენ ჟივილ-ხივილით მიწისკენ (შორ. 146, ქვ. 5).

– თან ხატავს ბუბა ომს, თან ახმოვანებს... **ტრა-ტატა-ტა!** – ტატანებს ტყვიამფრქვევი. – **ჭუუ! ჭუუ! ჭუუ!** – მიჰქრიან რაკეტები. **ბაახ-ბაახ-ბაახ!** – ფეთქდებიან ზარბაზნის ჭურვები (გოლ. 138, 15).

ისევ გარბიან, ერთმანეთს ეჯაჯგურებიან წიფლების კენწეროები ცის შავეთში, მათი ჯაჯგური, ჩხრიალი და ხივილი გახვეულია დიდი მთების დვრინში, მთები გაბმულად ბუბუნებენ. ამ ბუბუნს თითქოს მიჰკაწრავს ჭრიალი და ხვნეშა, – **ჭიი, ჭიი, ვუფ! ვუფ!** – ლაფანზე დაკიდებული ტოტი თუ ეხეთქება მეორე ტოტს. ცვივა წიწიბოები და რკოები. – **ტკაბ! ტკაბ! ტკაბ!** თითქოს მთლად პაწაწა ჩლიქოსანი ცხოველი დაფეთებული აწყდება აქეთ-იქით. – **შუუ! შუუ!**.. ჭახჭახით ჩამოვარდება ხმელი შავი ტოტი. დავარდება ძირს, – უჰო, ერთს ამოიძახებს, სამად გადატყდება და და თეთრად შემომანათებს გადატეხილი ადგილებით (ასულ. 160, 17).

წიუუ... წიუუ... მოედნებზე წითელი მილიციონერები დგანან. იმათაც რომ მთარტყა წკიპურტი, – **წკრიმ-წკრიმ!** მაგრამ მილიციონერის წკიპურტის მირტყმა არ შეიძლება. მიხვალ წყაროსთან, დააჭერ თითს და **ჭუუ!** – ტკბილი წითელი წყალი, რამდენიც გინდა (ჯაფ. 145, ქვ. 3).

– **რას! რას! რას!** – ეცემოდა იატაკზე, მიცოცავდა, მიყიჟინებდა, – ურრა! ურრა! – ისროდა იატაკზე გაფართხული, – **ტრა-ტა-ტა-ტა-ტა!**

ბაახ! ბახ! ბახ! (ალერს. 67, 27).

განსაკუთრებით ხშირად მწერალი ამა თუ იმ ხმიანობის გადმოსაცემად მიმართავს შედარებას.

(ბიჭმა) ბოხვერა **კატასავით** დაიხზავლა: **მიაუ!**... გოგონამ ვერ გაიგონა (ლამაზ. 233, 3).

ჩვენი გოგოები ხომ იცით, როგორც დადიან, – **ბატეზივით: ლაყ-ლუყ! ლაყ-ლუყ!** (მოთხრ. 462, 7).

აი, მეორე დღეს თვითონ თამარმა მოიყვანა ის წუნია (პატარა ნელი). **პაკ-პუკ! პაკ-პუკ!** – შემობაკუნდა **თიკანივით**, თვითონაც ჰგავს, საყვარელ თიკანს გაცეცხული, წარბებაპრეხილი (მეგობ. 129, ქვ.12).

ჩიტვივით: მთის წვერზე რომ ავიდა, იქ იცი, იქ იცი, რა არის საჭირო? ძალიან, ძალიან უნდა ჩაისუნთქო, მერე უცებ ამოისუნთქავ, გაშლი ხელებსა და ფეხებს, დაიქნევ **ჩიტვივით** და წახვალ. მიდიხარ, მიფრინავ – **ტიიუუ!**... **ტიიუუ!** – როგორც ძილში (ჯაფ. 145, ქვ. 13).

(მელია) მომაშტერდა, უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა, ზის და მიყურებს. მე მაინც არ ვინძრევი. ბოლოს, ეტყობა, მოსწყინდა ესე ჯდომა, წამოიწია და მომადხა: – **ბაა!** მეც აღარ შემემძლო მეტი თავშეკავება, გავიქნე ხელი და გავუშვი **თოფის ტყვიასავით:** – **ტუუ!**... შეკრა ძალაყი და რა ძალაყი! (მოთხ. 276, ქვ. 7).

...ოღონდ გამჭვირვალე სახლებიც ასეთები დგას. მიარტყამ, აი ასე, წკიპურტს და **წკრიმ-წკრიმ-წკრიმ!** – **ჭიქასავით** (ჯაფ. 145, ქვ. 7).

(კაჭკაჭს) სანამ ჩიჩიას ან ტკბილს არ მივართმევდით, არ გაჩუმდებოდა. ისწავლა, აგრეთვე, ძალღივით ყეფა, **აფ-აფ-აფ** – კატასავით კნავილი, – **მიაუ-მიაუ!** – ძალუაჩემივით წყევლა, – ცეცხლი! ცეცხლი! – ბოლოს გალიაში აღარცა ვსვამდით, ფრთები შევაკვეცეთ მაკრატლით (შველ. 89, 4).

ბოლოს, რომ ვერაფერი გაგვაგებინა ჩხიკვა, ჩვენი შეშინება მოინდომა. წამოწია მხრები, დასწია თავი დაბლა და, – **მიაუუ!**... **მიაუუ!**... დაიკნავლა **კატასავით**. – ჰავ! ჰავ! ჰავ! ... – მოისმა პასუხად ქვევიდან. მივიხედე და დავინახე: ყურებამდე გაღიმებულ კაცს პირზე შემოეწყო მომუჭული ხელები. ჩხიკვი დაფაციცდა. – ჰავ! ჰავ! ჰაუ!... – განმეორდა და შეშინებული ჩხიკვი შეხტა, ჰაერშივე შებრუნდა და ჩხავილით შეიკარგა ხეებში (ასულ. 192, 11).

ნამდვილი გენიოსი. როგორ ანგარიშობს, ხო იცით, **მანქანასავით. რა-ტა-ტა-ტა-ტა-და** – ზუსტად! (გოლ. 273, ქვ. 11).

მწერლის თხრობისათვის დამახასიათებელია „თბილი იუმორი“ [ჭუმბურიძე 1982: 230]. სხვადასხვა სტილისტიკურ ხერხებთან ერთად იუმორისტული ეფექტისათვის მწერალი მიმართავს ადამიანების, ცხოველებისა თუ საგნების მიერ ერთმანეთის ხმიანობის მიზიდვას, რასაც იგი დიდი მხატვრული ოსტატობით ახორციელებს, განსაკუთრებით გაპიროვნების მეშვეობით.

ვეფხია რომ დაიბადა, მამა სიხარულისაგან მთვრალივით დადიოდა, ... და ცდილობდა მიეზამა კიდეც აკვანში მწოლიარე თავისი ბიჭისათვის. გაშლიდა ხელებს, დააღებდა პირს და, ვითომ პატარა ვარ, მაგრამ მაინც ბოხი ხმა მაქვსო, მოჰყევობოდა ჩხავილს: – **ვაა, ვაა! ვაა!..** (მოთხრ. 429, 6).

მართლაც, ის-ის იყო შებინდდა და წამოვიდა მეზობლების მხრიდან ტურების წკავწკავივით: – „**ჰე! ჰე! ჰე!**“ მერე ჩვენს ეზოშიც შემოჩოჩქოლდნენ სულ პატარა ბიჭები (მოთხ. ბავშვ. 247, ქვ. 15).

ანულიმ...ხეობაში, გაგრძელებულად გააბა: – **აუუუ!**... მთებმა ძახილითვე უპასუხეს: – **ააუუ!**... – **ააუუ!** ისევ იძახდა ანული და ისევ ატრიალებდა თავსახვევს ჰაერში. – **ააუუ!** – კვლავ პასუხობდნენ მთები (მოთხრ. 329, 2).

მგლური ყმუილი პეტრემ და პავლემაც იციან. სადამოშობით, კოლმეურნეები რომ სოფელში ბრუნდებიან, ჩასხდებიან სადმე ჩირგვებში და აუშვებენ ნელ-ნელა: – **უუუ!** ვინც არ იცის, რომ ამ მიდამოებში მგელი და მგლის ლეკვები ცხოვრობენ, შეშინებულები გარბიან. ვინც იცის, ეცინებათ. მოჰკრავენ თუ არა მათ ხმას ყურს, თვითონაც მგლურად გაეპასუხებიან. – **უუუ! უუუ!** (მოთხრ. ბავშვ. 54,15).

– **უუუ!** – ამოიძახა დიდმა მგლის ლეკვმა (მოთხრ. ბავშვ. 59, ქვ.12)

– **უუუ!** –უპასუხა გოგონამ (მოთხრ. ბავშვ. 59, ქვ. 13).

გოგონამ ცალი ფეხით ჩაიჩოქა, თავი მალლა ასწია და გააბა:

– **უუუუუუუ!**

– ბიჭებმა ტაში შემოჰკრეს (მოთხრ.ბავშვ. 59. ქვ. 4).

...და რა აცინებდათ იმ გლეხებს, ეშმაკმა უწყის, ატეხეს ხითხითი: – **ხიი - ხი - ხი - ხი! ხიი - ხი - ხი - ხი!** – ბატონკაცურად – **ვაა- ხა - ხა - ხა** კი არა, გლეხურად: – **ხიი - ხი - ხი - ხი...** იცინოდნენ წელში მოხრილები და ფარაჯის კალთებით იმშრალეზდნენ ცრემლმორეულ თვალებს (შორ. 212, 13).

(ციყვებს)– **ხხხ...ხხხ... ხხხ...** –ისევ შემოესმათ ხვრინვა დაბლიდან (შორ. 224, 7).

(მელია) გულის ასაჩქარებელი თითქოს არაფერია, მაგრამ მაინც ასე მოსდის, მიდის და გული – **დაფ-დუფ! დაფ-დუფ!** (მოთხრ. 205, ქვ. 8).

თაგვები – **ეუჰ, ეუჰ** – იმახდნენ კბილების კაწკაწით (მოთხ. 176, 14).

– **ვახ! ოხ!** – აღმოხდათ თაგვებს და ცაცხანას დაედევნენ (მოთხ. 176, ქვ. 12).

– ციყვი... – **ჰი-ჰი-ჰი!**.. კაკალი? (შორ. 147, ქვ. 7).

მიტოს... თავის ჩარხი „გაწვრთნილი“ ჰყავს. ეტყვის – „აბა იმდერე“ და ჩარხიც შემოსძახებს:

– **იაო, იაო, იაო!**.. (მოთხრ. 96, ქვ. 6).

მწერალი მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს უცხო ხალხის ხმიანობის იმიტაციასაც. მონღოლებმაც ერთხელ იყვირეს,– **აიჰ! აიჰ!** – ამ ყვირილს დაადევნეს. – **დად, დად, დად!** თითქოს ვიღაცას აქეზებდნენ დასადევნებლად (მიტოვ. 85,16).

დასტურდება ხმაბამვითი სიტყვები სხვათა სიტყვის **ო** ნაწილაკითაც: **უხსენებელი** – **ჰიყო**: გამოიტანეს კოლამ და ბეკემ ერთმა – ბარი, მეორემ ნიჩაფი, ის კიდევ, ის უხსენებელი, რომ დაარტყამენ, ერთი – ჰიყო! – ამოიძახებს და როგორც რეზინმა აახტუნოს, ისე ახტუნებს ბარსა და ნიჩაფს (ასულ. 234, 7).

მუხები – **ჰახო**: – **ჰახო!** – რომ დაიძახეს ერთხმად იმ ყორან მთის მუხებმა, ჩვენი გიგო აიქ გაფრინდა (ალერს. 117, ქვ. 11).

ხელი – **თხლაშო**: – და როგორ მოხდა, ვერც კი გაიგო გიგომ, – თხლაშო! – ტალახიანი ხელი იმ სიცილით ჩაბჭირებულ კოლას შიგ ყბაში (ალერს. 117, ქვ. 1).

ტოლჩა – **პაჰო**: იმ ტოლჩას ჩამოატარებენ, **პაჰო** და გაისვამენ ღონიერ მაჯას ტუჩებზე (ალერს. 537, 4).

ძაღლი – **აფუო**: იქ მურა დაუხვდათ, – აფუო! – და ატყდა ერთი ვაი-ვიში (შორ. 15, 10). – **ჰაფო!** – ისკუპებდა მურა, მაგრამ მათიკო ყოველთვის მარჯვედ უსხლტებოდა...სანამ ჩვენ არ გავიდოდით და მათიკოს არ გამოვავდებდით, იყო ერთი **ჰაფ-ჰაფი** და **ჩხი-ჩხი** (მოთხ. 100, ქვ. 8) .

ჰანარი – **ტყლაშო**: რამოდენა იყო ჩვენი დაჭერილი თევზი, და

უცებ, – ტყლაშო! – ჭანარმა, დამკრა ხელისგულზე კუდი, ახტა და გადაერია პირდაპირ წყალში (ასულ. 109, ქვ. 3).

ღორი – ღუკო: ის ნაკერატალი დგას, პირს იქაფებს, როგორღაც უგუნებოდ იხედება აქეთ–იქით... რომ გადაუჟირდაპირდი, ერთი – ღუკო! – იმ ნაკერატალმა, მიბრუნდა და, რომ გაჰკრა, ამ ბლუკს ეიქ გადაუვარდა ქუდი, აი, ქუდიცა, ჯოხიცა (მოთხ. ბავშვ. 45, ქვ. 9).

ღორი – ქუცი, ქუციო: ამ ბლუკმა კიდევაც, გაუკეთა თოკს ყულ-ფი, ერთი ჩუმად უთხრა – **ქუცი, ქუციო**, – და, როგორ იყო, კაცო, როგორ მოსდო ის თოკი მხარ-ილლივ! (ღორს) (ალერს. 262, 9).

თხა – მეეო: მერე, დიდი ბიჭი რომ გამოჩნდა, შალიკო, თხა გაწურთნა, ორ ფეხზე დააყენებდა, დაუმახებდა, ჩემი სულელი ვინ არიო, და თხაც უპასუხებდა, – მეეო. თან მეე-მეეს იმახდა, თან აეგრე სიმრგვლივ დადიოდა და ხალხს თავს უკრავდა (ალერს. 253, ქვ. 4).

მამალი – კოკ-კოკოო: (მამალმა) მე და ბატკანი რომ დაგვინახა, შერტა, ყელთან ბუმბულები აეწია, გაშტერებული მოგვჩერებოდა, უცებ, –კოკ-კოკოო, – მიბრუნდა და ელდანაცემი გაიქცა (შორ. 93, 9).

მამალი – ყოყო-ყოო: გაბღენძილმა (მამალმა) იცნო სკვინჩა, – ყოყო-ყოო, – ვითომდა ღრმაზროვნად ჩაილაპარაკა, მაგრამ სკვინჩას ყურადღება აღარ მიუქცევია (შორ. 127, 1).

საკრეჭი მანქანა – კრიჭი-კრიჭიო: მომიტანა თვალებთან თმის საკრეჭი მანქანა ახალგაზრდა ბიჭმა, – კრიჭი-კრიჭიო, – თქვა გაცინებულმა და მანქანა შუბლზე დამადო (მიტოვ. 268, ქვ. 14).

ცალკე უნდა აღინიშნოს შემახილები, რომლებიც შინაურ ფრინველ-ცხოველთა დასაფრთხოებად თუ წასაქეზებლად გამოიყენება (კვარაცხელია, 2024, გვ. 251).

ქათამი: მეზობლის დედალს დაჰკიოდა – **უცხო ქშა, უცხო ქშაო!** (ჯაფ. 57, ქვ. 4). ორი ქათამი ხელებში უვარდება. – **აქშათ**, თქვე უპატრონოებო! (მოთხრ. 184,10).– **ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ!** – იმახდა ბებია ეფემია და თან ითვლიდა: – ეს ქოჩორა, ეს ნაცარა, ეს ყელტიტველა, ეს ბაჯუ-ჯა, ცანცარა... (მოთხ. 110, 18).

ცხენი: – **დრრ:** მეეტლემ ცხენებს –**დრრრ!**–თან სადავეებიც მიიზიდა (შორ. 211, 11). გაისმის – **ტბრრ!** –ცხენის შეჩერების ხმა (ტ. 4, 17, 8).

ძაღლი: **ქსი! ქსი!** მიდით, არ გაუშვათ! ამან ხომ უფრო გააგულიანა ის ძაღლები (მიტოვ. 214, ქვ.5).

სახედარი: ჰაცე, ჰა! ჰაცე! ჯულა ეცადა, მაგრამ მალე ისევ აქო-შინდა (შორ. 234, 5), ჰაცე! – გამეტებით გადაჰკრა ჭიჭომ სახრე ჯულას (შორ. 236, 1). **ჰაცე, ვირო! ჰაცე, შე უპატრონო!** (მოთხრ. 73, 6); – **ო, ო! ჩოშ! ჩოშ!** კუდი, ელგუჯა, კუდი ნუ გავიწყდება (შორ. 231, ქვ. 5). დელის წყალს ესვამდით, წელი მქონდა მოწყვეტილი მისი ზიდვით... **ჩიშ! ჩიშ!** სად მიხვალ, შე ტიალო! აქეთ მოაბრუნე ბიჭო, აქეთ!.. არჩილმა სახედარი მარჯვნივ შემოატრიალა (მოთხრ. 72, ქვ. 20). რიყისპირა ფლატეზე თხები ჩამორბოდნენ... უკან მწყემსი ბიჭები მოსდევდნენ ყვირილით: – **ჩი-ჰე-ჰე-ჰე!** (მოთხრ. 174, 20).

ღორი: ვარ ერთ „ქუცი-ქუცში“ და ბალნისა და დინგის კრულვაში (მიტოვ. 108, 8).

საერთოდ, თანამედროვე პროზაში არ მოიძებნება მეორე მწერალი, რომელიც ასე ორგანულად გრძნობდეს და განიცდიდეს ბუნებას, როგორც რევაზ ინანიშვილი, იგი უშუალო გამგრძელებელია დიდი ვაჟასეული ტრადიციისა, როცა ადამიანური განცდებით ავსებს და ადამიანური ენით ამეტყველებს ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს, მცენარეულობას [ჭუმბურიძე 1982: 237]. ამის დამადასტურებელია თუნდაც ეს მაგალითი:

ციყვების ენაზე ამ ციყვუნია-ბიჭუნებს ჩვენთვის ძალიან დასამახსოვრებელი სახელები ერქვა, რაღაც ასეთ – **პიპ-პაჟ და პუპ-პაპ-პი**, მაგრამ რაღვან ეს სიტყვები ადამიანების ენაზე უბრალოდ თეთრცხვირიანს და შავცხვირიანს ნიშნავს, ამიტომ ავდგეთ და თეთრცხვირიან და შავცხვირიან ციყვუნია-ბიჭუნებად მოვიხსენიოთ ხოლმე (მიტოვ. 231, 8).

მწერალს გათავისებული რომ ჰქონდა როგორც ადამიანების გულისთქმა, ისე ბუნების იდუმალი ხმები, მოთხრობების სათაურებიც საკმარისი იქნებოდა ამის დასამტკიცებლად. მაგ., თეთრცხვირიანი და შავცხვირიანი (მიტოვ. 231-237); – საკვირველი ამბავი ტყეში (მიტოვ. 237-241); სოფელი (მიტოვ. 241-249); შველი ზამთარში (მიტოვ. 344-347); ძალიან პატარა დიდ ქვეყანაში (ლამაზ. 238-268) და მრავალი სხვა.

ზემოდასახელებული მაგალითები, ვფიქრობთ, იმის დამადასტურებელია, რომ სხვადასხვა განცდებით გამოხატული სმენითი იმიტაციური სიტყვები, მხედველობით და გრძნობად ხატებთან ერთად, მისი მხატვრული ენის განსხვავებულ, ინდივიდუალურ სტილს განაპირობებს.

ლიტერატურა

გაჩეჩილაძე 1979 – ო. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში (ლექსიკონითურ), თბილისი.

გოგოლაშვილი 2019 – გ. გოგოლაშვილი, „ქართული ქართველთ რწმენა“ (ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე), თბილისი.

კვარაცხელია 2024 – გ. კვარაცხელია, ვაჟას „ხმაურიანი სამყარო“. – დედაენა – დვრიტა ქართული ეროვნული სულისა, თბილისი.

კოშორიძე 2005 – ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

შამელაშვილი 1958 – რ. შამელაშვილი, შორისდებული წინადადებაში – განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი.

ჭოხონელიძე 2020 – ნ. ჭოხონელიძე, ჩიტებისა და მათი ხმანობის ამსახველი ლექსიკა რ. ინანიშვილის ენის მიხედვით. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოცე, თბილისი.

ჭუმბურიძე 1982 – ზ. ჭუმბურიძე, მადლი დედაენისა, თბილისი.

წყაროები

ალერს. – ალერსი შიშიანობის დროს თბილისი, 1986.

ასულ. – მთვარის ასული თბილისი, 1987.

გოლ. – პატარა ბიჭი გოლგოთაზე თბილისი, 1989.

ლამაზ. – ლამაზი ცრემლები, თბილისი, 2005.

მეგობ. – მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958.

მიტოვ. – მიტოვებული ბაღი, თბილისი, 2009.

მოთხრ. – მოთხრობები, თბილისი, 2007.

მოთხრ. ბავშვ. – მოთხრობები, ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის, თბილისი, 2007.

საღამ. – საღამო ხანის ჩანაწერები, თბილისი, 1973.

ტ.4. – ჩემი რჩეული, პროზა, ტ. 4, თბილისი, 2012.

შველ. – შველი ზამთრში, თბილისი, 1986.

შორ. – შორი თეთრი მწვერვალი, თბილისი, 1976.

ჯაფ. – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბილისი, 1974.

On Auditory-Imitative Words in Revaz Inanishvili's Works

Summary

In the language of Revaz Inanishvili, one of the artistic-stylistic devices is the use of onomatopoeic, auditory-imitative words, i. e., sounds (phonemes, vocalizations) produced by 1) humans, 2) animals and birds, and 3) inanimate objects (E. Koshorizde, G. Kvaratskhelia).

In the author's works, onomatopoeic phonemes imitating sounds of inanimate objects are most frequently encountered, such as: *baax; brax; bux; dglump; laç; raçv; tkaç; tqap; kaç; tkup; şlap; çaax; çlax*.

To enhance the expressiveness of a text, identical or different onomatopoeic words may be repeated in a sentence two, three, or even more times, for example: *bax! bax! bax!; bum! bum! bum!; tuğ! tuğ! tuğ!; tkaç! tkaç! tkaç!; – nav! nav! nav!; zu-zu-zu!; çxaç- çxaç- çxaç*.

Simultaneously, words exhibiting vowel alternation are also attested, for example: *baax! buux!; kaç-kuğ! kaç-kuğ!; –paç-puğ! paç-puğ!; şlap-şlup, şlap-şlup,; –çxaç-çxuğ! çxaç-çxuğ!; baç-buğ! baç-buğ!; tqap-tpup, tqap-tpup*.

There are also cases where the sound is represented solely by consonants: *şrr!.. şrr!.. şrr!..; krr... krr... krr...; gr-gr-gr!; prr!.. prr!..*

In certain instances, onomatopoeic words of different origins appear within the same phrase, for example: *tqap; xrr!; çkrim!; çuu! çuu! çuu! çuu!; tea-ta-ta-! çuu! çuu! çuu! çuu!; çii, çii; vup! vup! tkaç! tkaç! şuu! şuu!*

2. Sounds produced by humans include: *naah!; a-a-a-a; aauu; iiu; ooo!; ouuu!; uuu; pu-pu-pu; tu-tu-tu!; i-ahaha, hi-haha-xi... xaxaxa...*

3. There are also onomatopoeic words representing insects, reptiles, animals, and domestic birds characteristic of our environment, for example: wasp – *bzz*; frog – *bre-ke* or *qua-qua*; tree frog – *yaak-yaak!*; badger – *hiç*; fox cub – *baa! baa!; squirrel – tkrç; calf – emuu...*

Onomatopoeic words are also attested with other word elements, for example: *snake – hiso*; pig – *ghuko*.

In the author's sentences, onomatopoeic words are sometimes additionally used to express **comparison** or **exaggeration**, demonstrating their stylistic function within the narrative.

ნინო ხახიაშვილი

ბრბო სიტყვის ისტორიისათვის

სულხან-საბა „სიტყვის კონაში“ **ბრბოს** ასე განმარტავს: „**ბრბო** სიმრავლე ჯართა ZAA¹ [სულხან-საბა 1991].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ბრბო** არის: „1. ადამიანთა უწესრიგო გროვა. სარიდანმა გულმოსულად გაარღვია ახარხარებული ბრბოს წრე და თავის გზას გაუდგა (ა. ბელ.). ძალიან მიკვირს, რომ აქამდინაც არ შეუკრა გზა ამ ბრბოს ჩვენმა ლაშქარმა (ვ. ბარნ.). გირშელმა თვალი მოავლო გარს მოჯარულ ბრბოს (კ. გამს.). გასისხლიანებული ყარაული ტკივილისაგან აღრიალდა და ბრბოში შეიჭრა დამნაშავეს საპოვნელად (ს. კლდ.). 2. არაორგანიზებული, ბნელი სულისკვეთების ხალხი. ეს ბრბო, მდუმარე, მარად მორჩილი, ნუთუ კვლავ ათრევს უღელს საზიზღარს? (ი. ევდ.). ბრბო იყო ირგვლივ, უიმედო, როგორც მორევი (ვ. გაფრ.)“ [ქეგლი I, 2005]².

¹ „**ჯარი** მრავალნი კაცნი ZACD...B“ (სულხან-საბა 1991). „**ჯარი** 1. შეიარაღებული და საბრძოლველად მომზადებული ადამიანების ერთობლიობა, – ლაშქარი... 2. ძვ. თავმოყრილი ხალხი, ხალხის დიდი შეკრებილობა... **ჯარად** ზმნს. ერთად, ჯგუფად (ადამიანები)... 3. დღეობაში ან ხატობაში დროს გასატარებლად შეგროვილი ხალხი... (ქეგლი VIII, 1964); ილ. აბულაძის „მველი ქართული ენის ლექსიკონში“ (ილ. აბულაძე 1973) არ არის დადასტურებული არც **ბრბო**, არც – **ჯარი**; ზ. სარჯველაძის „მველი ქართული ენის ლექსიკონში“: „**ჯარი** სიმრავლე“ (ზ. სარჯველაძე 1995).

² ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ **ბრბოს** სინონიმებია: 1. colloq. ქაქანახირი. ადამიანთა შეკრებულება, ხალხი, ჯარი, ჯამაათი, თაბუნი, გროვა, ურდო, ულესი,... მარაქა,... ჯარ-ჯამაათი. 2. ჯოღლომლოლო ხალხი, ხარახურა ხალხი, ნაყარნუყარი ხალხი, ცოცხით მოხვეტილები, ავარა ხალხი, ავარები, ნამირალები... ვიგინდარები, ყარტაყურტა (ხალხი), მოთრეული, დუნდგო (უწესრიგოდ თავმოყრილი ხალხი)... (ალ. ნეიმანი 1978). შედარებით ნეიტრალური მნიშვნელობით არის ეს სიტყვა განმარტებული მცდარბეჭდილის სამძოსა და საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომლობით შექმნილ „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის“ ელექტრონულ ვერსიაში: „**ბრბო** ადამიანთა არაორგანიზებულად თავშეყრილი სიმრავლე. სინონიმი: ჯგრო, ხალხი (ზრდილობ.), მასა, დუნდგო. // ბნელი სულისკვეთების, – ყველაფერზე წამსვლელი ხალხი (ლანძღ.)...“ (სინონიმთა ლექსიკონი 2025).

ბაქარ გიგინეიშვილის „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ სიტყვა **ბრბო**-ს შესახებ შემდეგი ინფორმაციაა: „**ბრბო** შეუგნებელ ადამიანთა გროვა. ძველ ქართულში გამოვლენილი არაა. დამოწმებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებით „სიმრავლე ჯართა“. წარმომავლობა უცნობია“ [გიგინეიშვილი 2016].

ვფიქრობთ, სიტყვა **ბრბო** ფუძის გაორკეცებითაა მიღებული.

ფარნაოზ ერთელიშვილის მონოგრაფიაში „სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“, I ნაწილში წარმოდგენილ სახელური ფუძეების სტრუქტურულ მოდელებში, კერძოდ, ფრთა (CCCV) ტიპის ფუძეებში [თანხმოვანთა თავკიდურა კომპლექსის მოდელები] დამოწმებულია **ბრბო** სიტყვაც [ერთელიშვილი 1980, 7], თუმცა II ნაწილში, სადაც მოცემულია ფონეტიკური ცვლილებები, რასაც განიცდიან მარტივი, წარმოქმნილი და რედუპლიცირებული სახელური ფუძეები, ამ სიტყვის წარმომავლობაზე არაფერია ნათქვამი. ფ. ერთელიშვილი **ბორ** ძირის გაორმაგებით მიღებულ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს განიხილავს, მაგრამ არა – ბრბოს¹.

ფარნაოზ ერთელიშვილის დამოწმებულ ლექსემაებში არის „**ბორი** იხ. **ბური**“ [ქეგლი I, 1950]“ [ერთელიშვილი 1980, 199].

„**ბორი** ჯმელი ნისლი მტვრის მსგავსი Z.Aa...“ (სულხან-საბა 1991). „**ბორი** იხ. **ბური**“ [ქეგლი I, 1950]. „**ბური** 1. სიცხის დროს ჰაერში დამდგარი მტვერი, რაც ჰაერს გამჭვირვალობას უკარგავს... 2. ანაორ-

¹ ერთელიშვილი **ბორ** ძირის გაორმაგებით მიღებულ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს განიხილავს, მაგრამ არა – ბრბოს: ა). „**ბორ** ძირის (**ბორა** – ერთგვარი ფრთიანი მწერი... ქეგლი I) გაორმაგებით ჩანს მიღებული ***ბორ-ბორ** > ***ბორ-ბოლ** > ***ბო-ბოლ** (**ბოხოლი** – დიდრონი ჭია-ჭუა (საბა) [სქ. მეგრულ-ჭანურშიც **ბო-ბოლ** გვაქვს (მეგრ. **ბოხოლია**, ჭან. **ბოხოლა/ბომხოლა** „ობობა“, არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 112...)... მეორე მხრივ, ***ბორ-ბორ** > ***ბო-ბორ** (**ბოხორიცა** – ობობა...)... ***ბორ-ბოლ** ფუძეს მოეპოვება ვარიანტი მეორე სემანტში **ა** გახმოვანებით: **ბორ-ბალ** (**ბორბალა** – ობობა, გურ. ჟღ.)...“ და მკვლევარი პირობითად უშვებს, რომ „**ობობა ბორ-ბალ**–ისა და **ბო-ბო**–ს კონტამინაციური წარმონაქმნია: ***ბო-ბორ-ბალ** > ***ო-ბორ-ბალ** > ***ო-ბორ-ბა** > **ო-ბო-ბა**... ბ). **ბორბოლ** ფუძეს ქართულში შემონახული აქვს „თეთრი ფერის“ მნიშვნელობაც. **ბორ-ბოლი** შემონახულია ხევსურულის კომპოზიტურ წარმოებაში – **ბორ-ბოლ-ი ჭყი** (**ბორბოლიჭყი** – ბროლის კრისტალი, ხევს. ჭინჭ.)... ამავე **ბორ-ბოლ**-ისაგან უნდა მოდიოდეს **ბროლი**... [ფ. ერთელიშვილი 1980, 199].

თქლი, ბურუსი (ბუერი)... 3. გადატ. სიბნელე...“; „**ბორიაცი** დიდი სი-
ცხისგან და მტვრისგან დამდგარი ბურუსი... // ბული... “ [ქეგლი I,
2005].

შდრ.: ქართლურში დადასტურებული **ბრბო**: „**ბრბო** (ქართლ.)
ბული. „ჩამაიღრუბლა და ბრბო დატრიალდა სიციხისა“ (მ. მესხ. 1970)“
[ღლონტი 1984]. ასეთივე მნიშვნელობითაა დადასტურებული ეს სი-
ტყვა თამარ ბეროზაშვილის, მერი მესხიშვილისა და ლამარა ნოზაძის
„ქართლური დიალექტის ლექსიკონში“: „**ბრბო** (ქართლ.) ბული, ალ-
მური. „პატარა სახლი აქთ, ესე, ემოდენაი და სიციხის ბრბო ტრიალფს
სულა (საგურ.). ჩამაიღრუბლა და ბრბო დატრიალდა სიციხისა (სა-
გურ.)“ [ბეროზაშვილი... 1984]. შდრ.: **ბრე** „მტვერი ბუენარევი“ (სულ-
ხან-საბა 1991); **ბრე** „გალეწილი ფეტვის ბუე... „მე ფეტვი, შენ ბრეო
(ხალხური)...“ [შანიძე I, 1984: 293]. აქვე: **ბურბურა**² საერთო სახელწო-
დება რამდენიმე მცენარისა (ქარქვეტასი, წინწკარასი და სხვ.), რო-
მელთაც ახასიათებს თესლის გავრცელების თავისებური ხერხი: თეს-
ლის მომწიფების შემდეგ მცენარის მიწისზედა ნაწილს ქარი ადვი-
ლად მოწყვეტს ხოლმე და ბურთივით მიაგორებს მინდვრებში. მოა-
გორებდა მინდვრებში ქარი ჩემს ეზო-კარზე გაზრდილ ბურბურას
(გ. კვარ.)“ [ქეგლი I, 2005].

ყურადღებას იქცევს მთის დიალექტებში დადასტურებული
სიტყვები **ბრო**, **ბროიანი**: „**ბრო** მთ. **ბროიანი** მთ., მოკ., ფშ., ჳ., თ. შარი-
ანი კაცი, გაჯავრებული, ხანდახან რომ მოუვა გული, მოუთმენელი
(ა. შან.); თ., ფშ. ხანდახან გიჟი, ხანდახან ჭკვიანი...“ [შანიძე I, 1984:
293]. **ბორო**, **ბოროიანი** „კაცი, რომელიც ერთ აზრს, ერთ საქმეს ვერ
შერჩება და ხშირად მოულოდნელად და უმიზეზოდ იცვლის ხოლმე
გუნებას“ (გ. შარაშიძე 2014, „გურული ლექსიკონი“).

საინტერესოა ამ თვალსაზრისით ალ. ჭინჭარაულის ხევსუ-
რულ ლექსიკონში განმარტებული სიტყვა **ბრო**: „**ბრო** ბრუ. **ბროიანი**
თავბრუდასხმული, დარეტიანებული. ეს რაველილ დავ ბროიან
ბატკანივით! (შდრ. ა. შან.: **ბრო**, ა. შან., ო. ქაჯ. **ბროიანი**, გ. შარაშ. **ბო-
რო**, **ბოროიანი**)...“; **ბორბოწია**¹ 1. ქარბორბალა. 2. ირგვლივ ტრიალი,
ორომტრიალი. დასცილებია შაბურასაო ბორბოწიაი მითხოს-ჩდილ-
საო (ხევს. თავის. 421,2). აგრეთვე: **ბორბოწიაობ**-ს ერთ ადგილზე

¹ **ბორბოწია** (ქარი) ფშ. ნ. ქარქვეტა. “ (ავ. შანიძე I, 1984 „ქართული კილოები მთაში“).

ტრიალებს. საუბარ გძლავ[დ] მიდის, მე და ჩალხ ვბორბოწიაობთ ხევ-ჩი (ხევს. თავის. 421,2)“ [ჭინჭარაული 2005].

ბრუ გარშემომყოფი საგნების მოჩვენებითი ბრუნვა-ტრიალი... თავბრუ (შდრ. აბრუებს, ბრუვდება)...

შეიძლება აქვე დავიმოწმოთ სიტყვა **ბორიალი** უგზო-უკვლოდ სიარული, ხეტიალი, – ბოდიალი, ყიალი...; **ბორიალობ-ს** ბორიალით დადის, – ბოდიალობს (მნიშვ. 1), დაყიალობს...“ [ქეგლი I, 2005].

სავარაუდოდ, სიტყვა **ბრზო** სწორედ ამ სიტყვიდან უნდა იყოს მიღებული ფუძის გაორკვებით *ბორ-ბორ->*ბრ-ბორ>ბრზო [შდრ.: კრკო>რკო¹ [„რკო-ს ძველი ფორმის კრკოს თავკიდიურა კომპლექსი ისეთი სტრუქტურისაა (ხშული+ სონანტი+ ხშული), რომელიც ისტორიულად რედუქციცირებული ძირებისაგან შედგენილ ფუძეს გვავარაუდებინებს. კრკო<კრ-კო<*კორ-კოლ<*კორ-კოლ, შდრ. ამ უკანასკნელს მისი მჟღერი ვარიანტი გორ-გოლ... [ერთელიშვილი 1980: 206-207].

„ძნელია ითქვას, რომ თითოეული სონანტებზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ისტორიულად ქართულის კუთვნილებაა. ზოგი, ალბათ, სხვა ენათაგან არის შეთვისებული (ამას სპეციალურად უნდა კვლევად), მაგრამ ფაქტია: ერთმარცვლიან სახელურ ფუძეთა შორის სონანტებით დაბოლოებული ფუძეები ქართულის ერთ ძირითადსა და უძველეს ფენას წარმოგვიდგენენ...“ [ერთელიშვილი 1980: 105].

თუმცა, ერთი შეხედვით, **ბრზო**² და მისი სინონიმები სიმრავლეს გამოხატავს:

¹ ამ სახელს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა აკ. შანიძემ (ეტიმოლოგიური ძიებანი, I, რკო და მუხა, თსუ სამეცნიერო სესიის თეზისები, 1947 წ., გვ. 3-4 (ფ. ერთელიშვილი 1980, 206).

² ენციკლოპედიურ ლექსიკონში **ბრზო** ასეა განმარტებული: „**ბრზო** წარმოადგენს ადამიანთა უსტრუქტურო ერთობას, რომელსაც აერთიანებს საერთო ემოციური განწყობა (უფრო ხშირად აგრესიული) და რომელიც მაღალი სეგესტიურობით, შთაგონებადობით ხასიათდება („ცივილ“.); აქვეა ტერმინი „**ოხლოკრატია**“ „1. ბრზოს ხელისუფლება. 2. ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა, ნიშნავს „ბრზოს მმართველობას“. ფიქრობენ, რომ ეს ტერმინი პირველად ბერძენი ისტორიკოსის, პოლიბიოსის (ძვ.წ. 200-12) მიერ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.... 3. დემოკრატიის გადაგვარებული ფორმა, რომელიც ბრზოს ცვალებად ახირებებს ეფუძნება. ეს ბრზო გამუდმებით ექცევა დემაგოგების ზემოქმედების ქვეშ. **ოხლოკრატია** დამახასიათებელია გარდამავალი და კრიზისული პერიოდებისათვის („ცივილ“.).

გრო ძვ. გუნდი. „ბატონმა გამოიღვიძაო“... – იგრიანებდა საფარშოლადამ ამდენი გრო და აცვივდებოდნენ სასახლეში (აკაკი)... [ქეგლი III].

ძვ. **გრო**. გუნდი. იხილე მრავალი გროდ ჯიპოსთაჲ. ბ. კეს.-ექუს დღ. 119, 12 [აბულაძე 1973].

გროვა 1. ერთგან თავმოყრილი, შექუჩებული, დაგროვილი რამ. ქეების გროვა. – ფოთლების გროვა. – [მცხოვრებლებმა] საჩქაროდ გააკეთეს გროვები თივისა, წივისა, ვაზის წალმისა და მოუკიდეს ცეცხლი (ი. გოგებ.)... 2. თავმოყრილი, შეჯგუფებული ადამიანები, ცხოველები; – ბრბო, კრებული. ნახა, ეზოში ერთი გროვა ყმაწვილები არიან (ქართ. ხალხ. ზღაპ.)... [ქეგლი III].

ჯგრო საუბ. ჯგუფი, ხროვა... [ქეგლი VIII, 1964].

„**დუნდგო**¹ (ქართლ.) ბრბო, ჯგუფი, გუნდი ადამიანებისა [ღლონტი 1984]; აგრეთვე მერი მესხიშვილის ქართლური დიალექტის ლექსიკონის მასალებში: „**დუნდგო** (ქართლ.) გროვა (ხალხისა). ბევრი ხალხი რო შაიყრება ერთათა და რო გადახედამ, რო სუ ერთათა დგანან და ზოგი რას ამოფს, ზოგი რასა, იმაჲ ეტყვიან დუნდგო ხალხსა (იგ.). ე რა ამბავია, ე დუნდგო ხალხი წყლი ნაპირზედა, ლეხურა მოვარდაო? (იგ.). იმოტელა ხალხი იყო, რო სუ დუნდგო იდგა ხალხისაჲ (ოძ.). ვენახიდან მოვდიოდი, მეშეშანთ კარებ რო დოუსწორდი, ვხედავ დუნდგო ხალხი დგა კარებზედა, არი ჩოჩქოლი, გაწევ-გამოწევა... (კავთ.) (მ. მესხიშვილი). [შდრ.: ხევს. **დუნია** მთელი ქვეყანა, მთელი ხალხი, ყველა... ფშ. **დუნია** ქვეყნიერება, ხალხი; ბევრი, აუარებელი... გურ. **ბრეული**² ბევრი; **ბრავალი** მრავალი...].

სავარაუდოდ, როგორც მოყვანილი ილუსტრაციებიდან ჩანს, ამოსავალი მნიშვნელობა **ბრბო** სიტყვისა უნდა იყოს „სიმრავლე“ [შდრ.: სულხან-საბა, ზ. სარჯველაძე, ქართლური დიალექტის მონა-

¹ **დუნდგო** არ იცის საბამ, არ დასტურდება არც ძველი ქართული ენის სხვა ლექსიკონებში. ეს სიტყვა დადასტურებულია ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“.

² „ს.ქართვ. **ბრაჟ-ალ** – „ბევრი, მრავალი“; ქართ. **მრავალ**-ი, გა-**მრავლებ**-ა; ზან. (ლაზ.) **ბრეულ**-ი, მეგრ. **ბრელ**-ი „მრავალი, ბევრი“. გურულ დიალექტში პოვნიერი **ბრეულ**-ი აშკარა ზანიზმია (უფრო ლაზური) და არაფერი აქვს საერთო ირანულიდან ნასესხებ ქართულ **ბევრ**-თან, ისევე, როგორც ზანურ ალომორფებს. ქართულში სავარაუდო ჩანს ბრამრ ფონეტიკური გადაქმნა... (მ. ჩუხუა 2017, 140 „ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური მიებანი“).

ცემები]. შემდეგ თანდათან ამ სიტყვამ მიიღო უარყოფითი მნიშვნელობა [ძირითადად გამოიყენებოდა დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი მნიშვნელობით, დაიტვირთა უარყოფითი სემანტიკით და აღნიშნავდა ისეთ სალანძღავ სიტყვებს, რომლებიც ასე უხვადაა ნეიმანის სინონიმთა ლექსიკონში].

P.S. „ჯერ კიდევ პლატონი იყო დემოკრატიის, როგორც ხალხის (ბრბოს) მმართველობის, კრიტიკოსი. ფილოსოფოსის აზრით, ბრბოს სიბრყვეს უმთავრესად განაპირობებდა მისი ყველა ერთეულის ჩართვა სახელმწიფოს მართვაში, იმის უგულვებელყოფით, აქვთ თუ არა მათ შესაბამისი ცოდნა; სწორედ პირადი აზრიდან ჯგუფურზე გადასვლაა ბრბოს მმართველობის მთავარი პრობლემა...

პლატონისაგან განსხვავებით ჰაიდეგერი არ იყენებს ტერმინ „ბრბოს“. ის მსგავს ჯგუფს მოიხსენიებს, როგორც *das man*, რასაც ქართულად შეიძლება ეწოდოს „საერთო ადამიანი“. ჰაიდეგერის თქმით, *das man* განსაზღვრავს ნამდვილ ცხოვრებას და ყველა მის ინდივიდს უბიძგებს ისეთი მექანიკური არსებობისკენ, მოკლებულნი რომ იქნებიან საკუთარ აზრს.

ბრბოზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ გუსტავ ლე ბონის „ბრბოს ფსიქოლოგია“, მასში ნათქვამია, რომ ბრბოს ცნობიერება დაბლა ჩამოსული მდგომარეობაა, რომელშიც შეუძლებელია ინდივიდის ამაღლება ცნობიერების უფრო მაღალ დონეზე; პირიქით, იგი ეშვება არაცნობიერი ინსტინქტების საფეხურზე...

კორეელ-გერმანელი ფილოსოფოსი ბიუნ-ჩულ ჰანი ნაშრომში „თვითექსპლუატაციის საზოგადოება“ აღწერს, როგორ იქცა თანამედროვე საზოგადოება დამყოლ ბრბოდ, ადამიანები მორჩილად რომ მისდევენ „მოწონების“, „რეიტინგების“ კულტურას და როგორ აქცევენ საკუთარ ერთიანობას **ციფრულ ბრბოდ**...“ [მიქავა 2025].

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“, თბილისი.

ბეროზაშვილი... 1981 – თ. ბეროზაშვილი, მერი მესხიშვილი, ლამარა ნოზაძე, „ქართული დიალექტის ლექსიკონი“, თბილისი.

გიგინეიშვილი 2016 – ბ. გიგინეიშვილი, „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონი“, თბილისი.

ერთელიშვილი 1980 – ფ. ერთელიშვილი, „სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“, თბილისი.

მესხიშვილი 1970 – მ. მესხიშვილი, „მასალები ქართული დიალექტური ლექსიკონისათვის“, თბილისი.

მიქავა 2025 – გ. მიქავა, „სიბრიყვის დემოკრატია: ბრბოს ფილოსოფიური ანატომია“, „მდევარი“, თბილისი.

ნეიმანი 1978 – ა. ნეიმანი, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, თბილისი.

სარჯველაძე 1995 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

სინონიმთა ლექსიკონი 2025 – „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი“ მცდარბეჭდილის სამმოსა და საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომლობით შექმნილი ელექტრონული ვერსია.

სულხან-საბა 1991 – ს.-ს. ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ. I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი.

ქეგლი VIII, 1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული) ტ. VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლი I, 2005 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. I (ა-ბ), ახალი რედაქცია, მთავარი რედაქტორი: ავთანდილ არაბული, თბილისი.

ღლონტი 1984 – ა. ღლონტი, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, თბილისი.

შანიძე I, 1984 – ა. შანიძე, ტ. I „ქართული კილოები მთაში“, თბილისი.

შარაშიძე 1938 – გ. შარაშიძე, „გურული ლექსიკონი“, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ა. ჭინჭარაული, „ხევსურული ლექსიკონი“, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, „ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური დიებანი“, თბილისი.

Nino Khakhiashvili

On the Etymology of the Word *brbo* (“Crowd”)

Summary

Sulkhan-Saba Orbeliani, in his *lexicon* “Bundle of Words” (*siṭqvis ḵona*), defines *brbo* as follows: “*brbo* – *simravle ḵarta* (lit. trans. a multitude of troops)” and “*ḵari* – *mraḵalni ḵacni* (lit. trans. many men)” (Sulkhan-Saba, 1991).

According to the *Explanatory Dictionary of the Georgian Language*, *brbo* denotes “a disorderly gathering of people.” It is noteworthy that in the Kartlian dialect the word *brbo* is attested with the meaning “puff”, e.g., *čamaiṛubla da brbo daṭṛialda sicxisa* “It clouded over, and the *puff* began to roar with heat” (M. Meskhi).

In Georgian scholarly literature, the etymology of the word *brbo* remains unknown.

We propose that the word *brbo* may have been formed through reduplication of a base. As is well known, reduplication is one of the most ancient mechanisms of word formation and simultaneously serves to express plurality and intensity.

**დიდი დედის კულტის ტრანსფორმაცია ძველალთქმისეული
ევადან წმინდა ნინომდე და „ნან“ პირის ეტიმოლოგია
მსოფლიო კულტურათა კონტექსტში**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოში უძველესი დრო-
იდან ფართოდ იყო გავრცელებული ნაყოფიერებისა და სიცოცხლის
მფარველი ქალღმერთის, **ღმერთების დედის, დიდი დედის** თაყვა-
ნისცემის კულტი (შდრ.: **ისიდა/იზიდა** – ეგვიპტეში, **ინანა** – შუა-
მდინარეთში, **კიბელე** – მცირე აზიაში...).

ჩვენი აზრით, დიდი დედის კულტის რეალური პირველწყარო
ძველი ალთქმისეული **ევა** უნდა იყოს; **ევა**, როგორც **პირველი ქალი**;
ევა, როგორც **ყველა ადამიანის, კაცობრიობის დედა!**

ევას შემდეგ მნიშვნელოვან ადგილს ბიბლიაში (და შესაბამი-
სად, ძველ სამყაროში) რამდენიმე ქალი იკავებს (**სარა, რებეკა, რაქი-**
ლი, ესთერი, ივდიითი...).

ახალ ალთქმაში ძველალთქმისეულ ბიბლიურ ქალთა/დედათა
კოჰორტას აგვირგვინებს **დედა-ღვთისმშობლის სახე** – ამრიგად, ძვე-
ლი და ახალი ალთქმა (შესაბამისად, ცივილიზაცია) ერთმანეთს ერ-
წყმის და გვთავაზობს კონცეპტუალურ ტრანსფორმაციას, სადაც კა-
ცობრიობის დედის სახე-ხატება არსებით ცვლილებას განიცდის:

ღვთისმშობელი მარიამი წარმოადგენს რადიკალურ გარდატე-
ხას ძველალთქმისეულ ქალთა სახეებისა. **ღვთისმშობელი, ეს უკვე
ღვთის დედაა, მარადქალწული, ყოვლადწმინდა, უმწიკვლო, ყოვ-
ლადკურთხეული და დიდებული დედოფალი; იგი კაცობრიობის
დედისა და მფარველის სახე-სიმბოლოა. მასავით სრულყოფილი და
უცოდველი ადამიანი არც დაზადებულა და არც დაიზადება. იერარ-
ქიულად იგი არათუ ყველა ადამიანზე, არამედ ყველა წმინდანზე და
თვით ანგელოზებზე მაღლა დგას!**

ევას შეცოდება ღვთისმშობელმა გამოისყიდა!

ქრისტიანობის პერიოდიდან **ღვთისმშობლის** სახეს ხშირად
უკავშირებენ ძველი სამყაროს **დიდი დედის** კულტს და მეტიც – მას

მისგან მომდინარედ მიიჩნევენ, რაც მცდარი ინტერპრეტაციაა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა, ისტორიულად, დიდი დედის კულტი წინ უსწრებს ღვთისმშობლის კულტს - მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ძველი აღთქმის ტექსტებში მაცხოვრისა და ღვთისმშობლის (რომელიც, როგორც ძე ღვთისას დედა - ამავდროულად ყველა არსებისა და მთელი სამყაროს დედაცაა) სახე უკვე გაცხადებული და ნაწინასწარმეტყველებია, საქმე რეალურად უკუმოვლენასთან გვაქვს - ჩვენი აზრით, სწორედ ჯერარდაბადებული, მაგრამ უკვე ნაწინასწარმეტყველები ღვთისმშობლის სახე იქცა შუამდინარული და სხვა ცივილიზაციების დიდი დედის კულტის შთაგონების წყაროდ.

ასე რომ, **მცდარია მოსაზრება, რომ ღვთისმშობლის სახე დიდი დედის კულტის გავლენის ქვეშ, მისი მიზამდითა და ჩანაცვლებით შეიქმნა** (ვინაიდან ამ უკანასკნელის ცნება თითქოსდა უფრო ადრინდელ, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვისდროინდელ წყაროებში დასტურდება). **რეალურად კი, ღვთისმშობლის, როგორც ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებში ნაწინასწარმეტყველები ძე ღმერთის დედის სახე** (ესაიას წიგნი 7:14 „შეგატყობინებთ თქვენ უფალი ნიშნად: აჰა, ქალწული დაფეხმძიმდება და შობს ძეს, და უწოდებენ მას სახელად ემანუელ“ [ებრ. „עֲמָנוּאֵל“ - „ღმერთი ჩვენს შორის“]), **ქრონოლოგიურადაც (დანარჩენ ასპექტებს რომ თავი დავანებოთ) თავად არის ამ ძველი** (შუმერული, ბერძნული...) **ცივილიზაციების დიდი დედისა თუ სხვა ქალღმერთების პირველწყარო** (ერთი დათქმით - თუმცა-ღა ძველიაღთქმისეული ტექსტები უძველესი ხელნაწერებით არ შემოგვრჩა, მაგრამ ტექსტოლოგიური მონაცემები მის არქაულობაზე და პირველობაზე უნდა მიაწინებდეს).

ასე რომ, ჩვენი აზრით, შემდგომში, სწორედ ქალთა (დედათა) ამ ძირითადი სახეების ტრანსფორმაციის გზით, სხვადასხვა ცივილიზაციებში (შუმერები, ბაბილონი, ძველი ეგვიპტე, კრეტა, ინდოეთი...) ჩნდება სიცოცხლის, ნაყოფიერების, მიწის, სიყვარულის... სიმბოლო ქალ-ღვთაებების კულტი.

შუმერულ სამყაროში დედა-ღვთაების გამოხატვის სხვადასხვა ფორმა გვხვდება. ეს არის ქალი ბავშვით ხელში, რომელსაც რამდენიმე სახელი ჰქვია: **დამგალუნა, ნინხურსაგი, ნინმახი, ნინტუ...**

მნიშვნელოვანია, რომ ზემოდასახელებულ ფუძეებში გამოიყოფა ქალის აღმნიშვნელი ძირი 𒊩, უფრო კონკრეტულად Nin, ნინ, რომელიც შუმერულში აღნიშნავს ქალს, ქალბატონს!

მინოსურ-მიკენურ რელიგიურ წარმოდგენებში **დიდი დედა** არა მარტო ყველა ღმერთის და ადამიანის, არამედ, ზოგადად, ყველა ცოცხალი არსების დედაა.

დედა-ქალბატონი ბერძნებთან ინდივიდუალიზებული და დანაწევრებულია – წარმოდგენილია, როგორც **ჰერა, არტემისი/არტემიდა, აფროდიტე, დემეტრა, ათენა**. ამავდროულად, „**დიდი დედის**“ კულტი ბერძნული მითოლოგიის გენეალოგიურ სქემაში არ ჯდება, იგი წინაბერძნული წარმომადგენლისა უნდა იყოს.

ისტორიულ-კულტურული მონაცემების საფუძველზე მიიჩნევა, რომ **ძველ ქართულ სამყაროშიც** (და ზოგადად, **კავკასიაში**) უსათუოდ არსებობდა ქალღვთაების კულტი, რომელსაც პირდაპირი მიმართება სწორედ სხვა კულტურებში დადასტურებულ დიდი დედის კულტის ღვთაებასთან აქვს.

ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კუნძულ **სამოსზე** აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ერთი რიგი (ცხენზე მჯდომი ბავშვიანი ქალღვთაების ქანდაკება, ზანზალაკები, აბზინდები და სხვა...), რომელთა კავკასიურობის თეორია ფაქტობრივად დადასტურებულად ითვლებოდა, ახლა უკვე კონკრეტულად კოლხურ გარემოს დაუკავშირეს (თ. მიქელაძე).

ქართული **ნანას** კულტი ჯერ კიდევ ენეოლოთის ხანაში ივარაუდება. სწორედ ამ პერიოდში წარმოდგენილ კავკასიურ ადრე სამიწათმოქმედო კულტურას უკავშირდება ქალის მცირე ზომის ქანდაკებები, რომლებიც ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების იკონოგრაფიადაა მიჩნეული. საკულტო და მითოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, **ნანა** გაზაფხულზე აღორძინებული ბუნების, სიცოცხლის, შვილიერების, სინათლისა და ნაყოფიერების ქალღვთაებაა და ის სიყვარულის მფარველადაც ითვლება.

ეგევე **ნანა** ძირი დასტურდება საკულტო ლექს-სიმღერა **იავნანას** სახელწოდებაში.

მეორე მხრივ, „იავნანას“ „ია“ ძირის ეტიმოლოგიურმა ძიებამ, შესაძლებელია, ანტიკური სამყაროს „აია“ ტოპონიმისკენ გაგვიკვლოს გზა, რომელიც, როგორც გეოგრაფიული არეალის სახელწოდება „აია“ (**Aiā**) არგონავტების თქმულების უძველეს ვარიანტებში უკვე ფიგურირებს. ჰომეროსი საერთოდ არ იცნობს სახელწოდებას **კოლხიდა**. იგი ახსენებს აიეტის სამფლობელოს, რომელსაც **Aiā** უნდა რქმეოდა.

გარკვეული პერიოდიდან **აია** უკვე კოლხეთის (Κολχιδ) სინონიმს წარმოადგენს (**აია** კოლხეთთან პირველად ჰეროდოტემ გააიგივა). საყურადღებოა, რომ ბერძნულ წყაროებში კოლხეთის პირველად ხსენება ზუსტად ემთხვევა კოლხეთის სახელმწიფოს მოხსენიებას სახელწოდებით **კულხა** // **კოლხა** (**Qulcha** // **Qolcha**) ძვ. წ. VIII ს-ის ურარტულ წარწერებში.

ორი სინონიმური ტოპონიმი (**აია** და **კოლხეთი**), მკვლევართა ვარაუდით, ორ განსხვავებულ არქეოლოგიურ დონეს უნდა ასახავდეს, რომელთაგანაც **აია** ქრონოლოგიურად უფრო ძველია, **კოლხეთი** კი – უფრო გვიანდელი.

სავარაუდოდ, არგონავტების აიაში ლაშქრობის ამბავი ბერძნულ მითოპოეტურ ტრადიციაში ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც სახელი **კოლხიდა** ჯერ კიდევ არ არსებობდა და ამ მხარეს **აია** ერქვა. ზოგადად, სახელწოდებებს **კოლხიდა**, **კოლხეთი** ქართული წყაროები არც იცნობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებული სხვა უძველესი ტოპონიმები და სახელწოდებები ქართველურ ენობრივ სამყაროსთან გვიჩვენებს მიმართებას, რაც უნდა ასახავდეს რეალურად განხორციელებული კონკრეტული მიკენური ექსპედიციის შედეგებს; იმ კონტაქტებს, რომლებიც მიკენურ სამყაროს უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქართველურ სამყაროსთან.

ვარაუდობენ, რომ **Aia** სახელწოდება **Κύταια**-ს შემადგენელ მეორე კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს.

ანტიკურ წყაროთა ნაწილი **Κύταια**-ს აიას ქალაქად მიიჩნევს, ნაწილი კი ორივეს **კოლხეთის** ქალაქად მოიხსენიებს.

თავად სახელწოდება **Κύταια** წყაროებში რამდენიმე ვარიანტით გვხვდება: **Κύτα**, **Κύτη**, **Κυταις**, **Κυταις**, **Κήτης** და სხვა; და იგი კავშირშია **ქუთაის**-თან, რომელიც სამსავე ქართველურ ენაში კანონზომიერი შესატყვისობებით დასტურდება: ქართ. **ქუთაისი**, მეგრ. **ქუთეში**, სვან. **ქუთაში**; რაც საფუძველს იძლევა, ივარაუდონ, რომ ეს დასახლება ან რეზიდენცია საერთოქართველურის ხანაში უკვე დასტურდებოდა.

***ქურთ-/*ქუთ-** ფუძე საერთოქართველურ დონეზე აღადგინა ჰ. ფენრიხმა: ქართ. **ქურდ-/*ქუთ**, მაგ. **ქუთ-ნ-ა/გა-მო-ქუთ-ნ-ა**, **ქურდ-ი**; მეგრ. **ქვირთ-ი ქურდი**; სვან. **ქვით-**, **ქვთ- ქურდი**. მეცნიერთა ვარაუდით, ფუძე უნდა ასახავდეს წინაბერძნულ **κστ-** და ქართველურ

***ქუთ-** ფუძეებს. ამავე ძირს უკავშირებენ „კვირტ“ ფორმასაც [ჯერვალიძე, პეტრიაშვილი 2016]. წინაზღერძული **კუტ-** ფუძის მნიშვნელობა უნდა იყოს **ცარიელი სათავსო**. მას ასევე უდასტურდება მნიშვნელობები: **კოვზი / ბუტკო / ჩენჩო / ფიჭა / ბუდე / ყუთი / გემი**.

მ. ჩუხუას აზრით კი, ძირში მომხდარია შემდეგი სახის **ფონეტიკურ/სემანტიკური** გადასვლები:

ფონეტიკური:

ს. ქართვე.-***ქართ-(ა) - ზან. ქურთა /ქუთა**

სემანტიკური:

ღობე > შემოდობვა > შემოდობილი, შემოსაზღვრული ადგილი > ქალაქი (საზოგადო სახელი) **> კონკრეტული ქალაქის სახელწოდება**

ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია ზემოდასახელებული ჰიპოთეზებისა და, შესაბამისად, სემანტიკური მნიშვნელობების გაერთიანება და ამოსავლად საერთო შინაარსის გამოყოფა შემდეგი სემანტიკური გადასვლებით: **ღობე > შემოდობვა > შემოდობილი > ნებისმიერი მოცულობის შემოსაზღვრული ადგილი** (კოვზი / ბუტკო / კვირტი / ჩენჩო / ფიჭა / ბუდე / ყუთი / გემი) **> ქალაქი** (საზოგადო სახელი) **> კონკრეტული ქალაქის სახელწოდება**.

Αἶα-ს ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, იგი საერთოქართველურ დონეზე არ არის აღდგენილი, თუმცა **აია** გვხვდება ქართველურ ენებში შემონახულ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ ზოგიერთ კომპოზიტში: მეგრ. **აია-ყაშხა** – *სადიდმარხვო კვირადღის სახელი, რიგით მეხუთესი*; სვან. **აია-მი-ჟლადელ** – *ბზობის წინა კვირადღის დღესასწაული*.

რომ დაეუბრუნდეთ „იავნანასა“ და „აია“ ძირის შესაძლო კავშირს – „იავნანა“ ძველი ქართული ხალხური ლექს-სიმღერაა, წარმოშობით – წარმართული საკულტო რიტუალის უძველესი საგალობელი, რომელიც „ნანინას“ ციკლის სიმღერების მსგავსად მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ **ნანას** სახელთან არის დაკავშირებული.

როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს, მნიშვნელოვანი ცნობები **ნანას** შესახებ მოცემულია ქართულ ზღაპრებსა და ლეგენდებში, მისი კულტი კი ვლინდება ჩვენში „ბატონების“ სახელით ცნობილი ინფექ-

ციური ავადმყოფობებით (წითელა, ყვავილი...) დაავადებულთა მოვლა-მკურნალობის რიტუალში. ამ ცნობილი ქართული სიმღერების რეფრენს: „იავ ნანა, ვარდოვ ნანა, იავ ნანინაო“ მეცნიერი ქალღვთაება **ნანას კულტს** უკავშირებს. ბატონების „გასტუმრების“ რიტუალში დიდი დედა ნანას ასტრალური ბუნება, მისი მზესთან კავშირი ავადმყოფის გარშემო წრიული მოძრაობით დასტურდება (იგივე ვითარება გვაქვს ფერხულის ცეკვისასაც); გამოდის, „იავნანამ“ დაკარგა თავისი პირვანდელი ხასიათი და დანიშნულება, დღეს ის ხომ ძილის-პირულია; თუმცა მანამდე, რაღაც პერიოდში, მას ბატონების დაავადებების დროს უმღეროდნენ ბავშვებს. სავარაუდოდ, უკვე ამ პერიოდიდან ფიგურირებს სიმღერაში „**ია**“ (ყვავილის მნიშვნელობით) და „ვარდი“ – ხსენებული დაავადებებისთვის დამახასიათებელ მუწუკებთან ასოციაციური კავშირით და ბატონების გულის მოსაგებად, ამ გამოწყარის ყვავილებთან შედარებით.

მეტიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს სიმღერა ადრე ასე შეზღუდული გამოყენებისა არ იყო და მას უფრო ფართო, ოდისა და ზოგადი საგალობლის სახე უნდა ჰქონოდა... აქედან გამომდინარე, თავდაპირველად აქ „ია“ ძირი, სავარაუდოდ, არც აღნიშნავდა ყვავილს... „ვარდო“ ფორმა ტექსტში, შესაძლოა, „ია“ (* < **აია**) ძირის ყვავილის სახელად გადააზრიანების შემდგომ და მასთან, უკვე როგორც მცენარის სახელწოდებასთან ასოციაციით, მოგვიანებით გაჩნდა...

აი, ამ შემთხვევაში კი უკვე შესაძლებელია „იავ-ნანა“-ს „იავ“ კომპონენტის „აია“ ძირთან დაკავშირება, რასაც შემდგომი ღრმა ინტერდისციპლინური კვლევა-ძიება სჭირდება. თუ ჩვენი მოსაზრება მართებული აღმოჩნდება, ტერმინი ასე გაიშიფრება: **აიას ნანა / ნანა აიადან**.

რაც მთავარია, „იავნანა“ – ეს ძველი ქართული ხალხური ლექს-სიმღერა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სწორედ მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ **ნანას** სახელთან (როგორც შინაარსობრივად, ასევე – ფორმოზრივადაც) არის დაკავშირებული.

როგორც მ. გველესიანი ვარაუდობს, „სახელ „ნინო-ს“ ეტიმოლოგია საძიებელია შუმერული, მცირეაზიური, სპარსული და სომხური სამყაროს ქალღვთაებათა წრეში. აღნიშნულ კონცეფციათა შეჯერებით, იკვეთება „ნინ“-ფუძიანი „ნინო-ს“ მიმართება სპარსულ ანაჰიტასა და შუმერულ ქალღვთაება **ინანა**-სთან (აქადელთა და ბა-

ბილონელთა **იშთართან**), რასაც თანხვდება სომხური **ნანე**-ს წარმო-
მავლობა იმავე **ინანა**-სგან“ [გველესიანი 2022: 103]. ჩვენ ზემოთ უკვე
აღვნიშნეთ, რომ გამოიყოფა ქალის აღმნიშვნელი ძირი **ნნ**, უფრო
კონკრეტულად **Nin, ნინ**, რომელიც ჯერ კიდევ შუმერულში აღნიშ-
ნავს **ქალს, ქალბატონს!**

რაც შეეხება **ნნ** ძირის ამოსავალ შინაარსს, ჩვენი აზრით, მისი
თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „დედა“, „ვინც შობა“.

ნნ ძირი დღესაც გვხვდება „დედის“ აღმნიშვნელ სახელად
ქართული ენის დიალექტებში.

ნნ ძირი „დედის“ მნიშვნელობით გვხვდება იდენტური გა-
ფორმების მქონე ფუძეების შემადგენლობაში მთელი კავკასიის მას-
შტაბითაც.

ნნ ფუძის კავშირი სავარაუდოა მთელი მსოფლიოს სრულიად
სხვადასხვა ენობრივი ოჯახების წარმომადგენელთა მეტყველებაში
დადასტურებულ, ფართოდ გავრცელებულ, უმეტესად „დედის“
(*მშობელი*) აღმნიშვნელ **ნნ** (**ნანა** / **ნენა** / **ნონა** / **ანე**....) ძირებთანაც,
იხ.:

ენა	ფორმა	მნიშვნელობა
ქართული	ნენა, ნენე, ნანა, ნინო, ნონა, ნუნუ	დედა, ბებია, ქალის საკუთარი სახელი
სომხური	Նանա (Nana)	საკუთარი სახელი / ძვ. ქალღმერთი
თურქული	Anne	დედა
სანსკრიტი	Nana, Naini	ქალის სახელი
აქადური / ბაბილონური	Nanaea / Inanna	სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი
არაბული	Nāna, Nana	ბებია
სპარსული	Nana, Nané	ბებია, ძუძუ, დედა
ინგლისური	Nanny, Nana	ძიძა / ბებია
ესპანური	Nana	ძიძა
იტალიური	Nonnina, Nonna	ბებია

ენა	ფორმა	მნიშვნელობა
ფრანგული	Nana (სასაუბრო)	ახალგაზრდა ქალი / გოგონა
გერმანული	Nana, Nänni	ძიძა
შვედური	Nanna	სკანდინავიური ქალღმერთი
უნგრული	Nana, Néni	ბებია, დეიდა
ინდონეზიური	Nenek	ბებია
სუაჰილი	Nana	ბებია
ფილიპინური	Nana, Nanay	დედა
იაპონური	Na-na-chan	გოგონას სახელი
კორეული	Nana	ქალის სახელი

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, უმნიშვნელოვანეს ფაქტს წარმოადგენს, რომ თითქმის ყველა ზემოდასახელებულ ფუძეებში გამოყოფილი ქალის აღმნიშვნელი ძირი **ნნ**, უფრო კონკრეტულად **Nin, ნინ** ამავდროულად ჯერ კიდევ **შუმერულში** უკავშირდება მხოლოდ **ქალს, ქალბატონს!** სხვა, და კონკრეტულად, ქართული დიდი დედა **ნანა**-ს სახელწოდებაც ამ ეტიმოლოგიურ წრეში ექცევა. ამავე რიგში დგას წმინდა **ნინო**-ს სახელიც, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმოშობით სულაც არ არის საკუთარი სახელი – ის საზოგადო სახელია, რომელსაც სწორედ **დიდი დედის შინაარსობრივი დატვირთვა აქვს!** ჩვენი აზრით, იმავე სახისაა დედოფალ **ნანას** სახელიც! ეს ერთი და იმავე ძირის ტრანსფორმაციული ვარიანტები (**ნინო / ნანა**) ან დიდი დედის, ქალღმერთ **ნანა**-ს სახელიდან მოდის, ან ძირის ამოსავალი – **დედის** – შინაარსიდან, ოდნავ გაფართოებული მნიშვნელობით – **მთელი ერის, ეთნოსის დედა!**

შემდგომში ამოსავალი **ნანა** საზოგადო სახელიდან საკუთარ სახელად ტრანსფორმაციის გზით უნდა მიგვეღო ქალის ასევე ფართოდ გავრცელებული სახელები ქართულში – **ნანა, ნენე, ნინო, ნონა, ნუნუ...**

ზედმიწვევითი ეტიმოლოგიური ტრანსფორმაციის ტრაექტორია კი ამ სახით წარმოგვიდგება:

დედა (ვინც შობა) / **ქალი** (როგორც პოტენციური დედა) >
ოჯახის > **გვარის** > **თემის, ეთნოსის, ერის დედა** >
ყველა ადამიანის დედა >
ყველა სულიერი თუ უსულო არსების დედა / დიდი დედა / ქალ-
ღვთაება >
ქალის საკუთარი სახელი (ქალღვთაების პატივსაცემად დარქმე-

ული)

ლიტერატურა

ბარდაველიძე 1957 – ვ. ბარდაველიძე, ქართველ ტომთა უძველესი რელიგიური წარმოდგენები და ტრადიციული გრაფიკული ხელოვნება (რუსულ ენაზე), თბილისი.

გარაყანიძე 2008 – გ. გარაყანიძე, ქართული ეთნომუსიკის თეატრი და მისი საწყისები, თბილისი.

გველესიანი 2022 – მ. გველესიანი, დიდი დედა ქალღვთაება, საქართველო და გარესამყარო; I საერთაშორისო კონფერენციის (საქართველო და კავკასია; წარსული, აწმყო, მომავალი), მასალები, თბილისი.

კიკვიძე 1976 – ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი.

მიქელაძე 1974 – თ. მიქელაძე, მიეზანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი.

ჩუხუა 2018 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ხინთიბიძე 1962 – ა. ხინთიბიძე, „ნანა“, ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ჯერვალძე, პეტრიაშვილი 2016 – ქ. ჯერვალძე, ნ. პეტრიაშვილი, საზოგადო არსებით სახელ კვირტის ეტიმოლოგიისათვის, ჟურნალი „ქართველოლოგია“, №4, თბილისი.

Beekes 2010 – Beekes R.S.P., Etymological Dictionary of Greek, Brill. Leiden. Boston.

Brown 1985 – Brown R., Evidence For Pre-Greek Speech on Crete from Greek Alphabetic Sources, Amsterdam.

Fähnrich 2007 – Fähnrich H., Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Brill. Leiden. Boston.

Frisk 1960 – Frisk H., Griechische etymologisches Wörterbuch I, Heidelberg, Winter.

Furnée 1972 – Furnée E.J., Die wichtigsten konsonantischen Erscheinungen des Vorgriechischen, The Hague: Mouton.

Furnée 1979 – Furnée E.J., Vorgriechisch-Kartvelisches. Studien zum ostmediterranen Substrat nebst einem Versuch zu einer neuen pelagischen Theorie, Leuven: Peeters.

Furnée 1986 – Furnée E.J., Paläokartvelisch-Pelagische Einflüsse in den indogermanischen Sprache, Nachgewiesen Anhand der spätindogermanisch-griechischen Reflexe urkartvelischer Sibilanten und Affrikaten, Leiden: The Hakuchi Press.

Hiller 1991 – Hiller S., “The Mycenaean and the Black Sea”, Thalassa: L’Egée préhistorique et la mer: 207-16.

Lesky 1948 – Lesky A., Aia, Wiener Studien 63, 22-68.

Marinatos, Hirmer 1973 – Marinatos S., Hirmer M., Kreta, Thera und das mykenische Hellas, München, T.115.

Nino Jorbenadze

From the Old Testament Eve to Saint Nino: The Transformation of the Cult of the Great Mother and the Etymology of the Root “Nan” in a Cross-Cultural Perspective

It is well known that since ancient times, the cult of the goddess of fertility and the patroness of life, the **Mother of the Gods**, the **Great Mother**, has been widespread in the world.

In our opinion, **the real original source of the cult of the Great Mother must be the Old Testament Eve**; Eve, as the first woman; Eve, as the mother of all people, of humanity!

In the New Testament, the cohort of biblical women/mothers from the Old Testament is **crowned by the image of the Blessed Virgin Mary** – thus, the Old and New Testaments (respectively, civilization) merge and offer us a conceptual transformation, where the image of the mother of humanity undergoes a substantial change.

In our opinion, later, precisely through the transformation of these basic images of women (mothers), in various civilizations (Sumer, Babylon, Ancient Egypt, Crete, India...) the cult of female deities, symbols of life, fertility, land, love..., appears.

In the Sumerian world, various forms of expression of the mother-goddess are found. This is a woman with a child in her arms, who is called by several names: **Damgalnuna, Ninkhursag, Ninmah, Nintu...**

It is important that in the above-mentioned roots, the root denoting a woman is distinguished, more specifically **Nin**, which in Sumerian means – **a woman, a lady!**

Based on historical and cultural data, it is believed that in the ancient Georgian world (and in the Caucasus in general) there was undoubtedly a cult of female deities, which has a direct relationship with the deity of the Great Mother cult confirmed in other cultures.

The Georgian **Nana** cult is assumed to have existed as early as the Eneolithic period.

The **Nana** root is also confirmed in the name “Yavnana”.

On the other hand, the etymological search for the root “Ya” of “Yavnana” itself may lead us to the toponym “Aya” of the ancient world. If our opinion turns out to be correct, the term will be deciphered as follows: **Aya's Nana / Nana from Aya.**

Returning to the connection between the roots “Yavnana” and “Nana” – “Yavnana” is an old Georgian folk poem-song, originally an ancient hymn of a pagan cult ritual. Like the songs of the “Nanina” cycle, “Yavnana” is also associated with the name of the goddess of the sun and fertility, **Nana.**

As M. Gvelesiani suggests, “the etymology of the name “Nino” is to be found in the circle of female deities of the Sumerian, Asia Minor, Persian and Armenian worlds. We have already mentioned above that the root **N(V)N**, more specifically **Nin**, which in Sumerian means - woman, lady, is distinguished!

As for the original meaning of the root **N(V)N**, in our opinion, it must have been “mother”, “one who gives birth”.

The root **N(V)N** is still found today as a noun denoting “mother” in the dialects of the **Georgian language**.

The root **N(V)N** with the meaning of “mother” is found in the composition of roots with identical formations throughout the **Caucasus**.

The connection of the root **N(V)N** is also likely to be with the widespread roots **N(V)N** (**nana/nena/nona/ane....**), which are attested in the speech of representatives of completely different language families **around the world**, and mostly denote “mother” (parent), see:

Georgian: Nena, Nene, Nana, Nino, Nona, Nunu (**mother, grandmother, woman's Proper name**)

Armenian: Նանու (Nana) (**Proper name / anc. Goddess**)

Turkish: Anne (**mother**)

Sanskrit: Nana, Naini (**female name**)

Akkadian / Babylonian: Nanaea / Inanna (**goddess of love and fertility**)

Arabic: Nānā, Nana (**grandmother**)

Persian: Nana, Nané (**grandmother, breast, mother**)

English: Nanny, Nana (**nanny / grandmother**)

Spanish: Nana (**nanny**)

Italian: Nonnina, Nonna (**grandmother**)

French: Nana (**young woman / girl**)

German: Nana, Nänni (**nanny**)

Swedish: Nanna (**Scandinavian goddess**)

Hungarian: Nana, Néni (**grandmother, aunt**)

Indonesian: Nenek (**grandmother**)

Swahili: Nana (**grandmother**)

Filipino: Nana, Nanay (**mother**)

Japanese: Na-na-chan (**girl's name**)

Korean: Nana (**female name**)

As we have already mentioned above, the most important fact is that in almost all the above-mentioned words the root denoting a woman **N(V)N**, more specifically Nin, at the same time, in Sumerian, is associated only with – **woman, lady!** Another, and specifically, the name of the **Georgian Great Mother Nana** also falls into this etymological circle. The

name of **Saint Nino** also stands in the same row, which, as is known, is not at all a proper name by origin – it is a common name, which has the semantic load of the **Great Mother**! In our opinion, the name of **Queen Nana** is of the same type! These transformational variants of the same root (**Nino** / **Nana**) either come from the name of the **Great Mother, the goddess Nana**, or from the meaning of the root "mother", with a slightly expanded meaning – **the Mother of the entire nation, ethnos**!

Transforming from a Common name to a Proper name, we have also received widespread female names in Georgian – **Nana, Nene, Nino, Nona, Nunu...**

The trajectory of etymological transformation is presented as follows:

N(V)N

Mother (one who gives birth) / **Woman** (as a potential mother) >
Mother of the family > **communit** > **ethnic group** > **whole nation** >
Mother of all people >
Mother of all beings / **Great Mother** / **Goddess** >
Proper name of a woman (named in honor of a goddess)